# ლელო

№188
(12 258)
11 აგვისტო შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა



დროშის ამართვა ახალციხის სტადიონზე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

# უცნაური სტარტი

## ლოკომოტივმა ამერი წააქცია

### ზესტაფონი ბოლო წუთებზე გადარჩა, საფეხბურთო ზეიმი ახალციხეში




გუშინ, ახალციხეში. დებიუტანტთა მატჩი. მწვავე მომენტი მასპინძელთა კართან

**დღეს: ოლიმპი-დინამო, დილა-ბათუმი, სიონი-სპარტაკი; ხვალ: ბორჯომი-მერანი**

# ბუნდესლიგა კობიმ გახსნა!

## ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის ჩემპიონური ფრე

BUNDES LIGA

სასიხარულოა, რომ ლევან კობიაშვილმა მცირე კრიზისი დაძლია და ახალ სეზონს ჩინებულ ფორმაში შეხვდა. ხოლო ის ფაქტი, რომ ბუნდესლიგის პირველი გოლი ქართველმა გაიტანა, არანაკლებად საამაყოა. "შტუტგარტი"-"შალკეს" გახსნითი მატჩის 25-ე წუთზე კობიმ ეფექტურად შეაგდო. მართალია, მცირე რიკოშეტის გამო, თავიდან შტუტგარტელი ჰილბერტის ავტოგოლად ჩაითვალა, მაგრამ შეცდომა მალე გამოსწორდა და გოლი ლევანის ანგარიშზე ჩაიწერა.

მეორე ტაიმის ოთხწუთიან მონაკვეთში შვაბებმა ორჯერ გაიტანეს, მაგრამ მოედანზე კობიაშვილის ნაცვლად შესულმა დებიუტანტმა რაკიტიჩმა ანგარიში გაათანაბრა და ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის ჭიდილი ფრედ, 2:2 დასრულდა. "შპორტალისგან" კობიაშვილმა მაღალი შეფასება, 3-იანი მიიღო.

მეორე ბუნდესლიგაში კი მხოლოდ კარლცაისელმა ილია კანდელაკმა ითამაშა. რომელმაც "ალემანიასთან" გასვლით მატჩში (2:2) მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

ლევან ჯანეზაშვილი

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE



გუშინ, შტუტგარტში. ფაბიან ერნსტი ლევან კობიაშვილს გოლს ულოცავს

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

საქართველოს XIX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. I ტური

# ორდებიუტიანი საღამო და აკაკის ახალი უიღბლობა

**მესხეთი-მგლები**
**1:0**
10.08. ახალციხე. ცენტრალური
3000 მაყურებელი

1:0 ზ. ჩხეტიანი (24)

მესხეთი: სომხიშვილი-აკოფიანი, ყვანია, ნადირაშვილი, ლეკიშვილი-მ. თაყაძე (46. აფრიამაშვილი), გ. თურმანიძე, ინასარიძე (46. კობესაშვილი), გვირჯიშვილი (90. კევლიშვილი), ზ. ჩხეტიანი-კაიდარაშვილი

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, მ. ლონლაძე, სუდაძე, რუსია*

მგლები: დევაძე (34. ივარდავა)-ექონია, მაჭავარიანი, ფარულავა, კაკაბაძე-ზ. ჯანაშია (69. ქირია), ვართაგავა, ჯოჯუა, ხუბუა, კრასოვსკი-ჭედია (46. ზაკარაძე)

*სათადარიგოები: კუტალია, გაბედავა, წურწუმია, ნარსია*

გაფრთხილება: ექონია (6), ვართაგავა (18), ზ. ჩხეტიანი (21), ყვანია (31), აკოფიანი (38), ყვანია (45), ლეკიშვილი (90)

გაძევება: ყვანია (45)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**9 წთ.** გიორგი კრასოვსკიმ მახვილი კუთხიდან თავური დაარტყა, "მესხეთი" გიორგი სომხიშვილმა იხსნა.

**10.** გიორგი ჭედია მეკარესთან პირისპირ გავიდა, სომხიშვილმა დროულად დატოვა კარი და დასწრებაზე ითამაშა, რაც ორივე ფეხბურთელს მიკროტრავმად დაუჯდა.

**21.** თეიმურაზ ფარულავამ შორი მანძილიდან დაარტყა ჯარიმა, მასპინძლები ამჯერად ხარიხამ გადაარჩინა.

**24.** 1:0 სტუმრებმა ზვიად ჩხეტიანს ბურთის მიღებასა და დამუშავებაში ხელი არ შეუშალეს. მანაც დაახლოებით 30 მეტრიდან გამოზომილად დაარტყა და ბურთი აკაკი დევაძისგან მარცხენა დაბალ კუთხეში გაეხვა.

**31.** "მესხეთმა" კუთხური მოაწოდა, ბურთს დევაძე დაეუფლა, მაგრამ უხერხულად დაეცა და არათუ შესაცვლელი, საავადმყოფოში წასაყვანიც შეიქნა.

**45.** გიგა ყვანიამ მეორე გაფრთხილება მიიღო და "მესხეთი" კაცნაკლული დატოვა.

**48.** სომხიშვილს გამოსვლაზე ბურთი გაუვარდა, პაატა ბაკარაძის დამატებულს მცველი კარის ხაზზე გადაელობა.

**80.** პაატა გვირჯიშვილის პასით ალექსანდრე კაიდარაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მისი დარტყმული მანუჩარ ივარდავამ მოიგერია.

**89.** შეცვლაზე შესული დავით ქირიას მაკრატელა გაშეშებული სომხიშვილისა და ახალციხელების ბედად, მიზანს მცირედით ასცდა.

**90.** სომხიშვილს კვლავ გაუვარდა ბურთი, მაგრამ ზუგდიდელებმა ვერც ამით იხეირეს.



ყველაზე მეტი თავსატეხი მგლებს კაიდარაშვილმა შეუქმნა

ნუგზარ სუარიძის ფოტოები





აკაკი დევაძე სასწრაფომ პირველ ტაიმში წაიყვანა, მეორე ტაიმს კი საკუთარი თვალით უყურა

**გ**ადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გუშინ ახალციხეში კარგი საფეხბურთო დღე იყო. "მესხეთის" არსებობის ისტორიაში პირველმა საუმაღლესლიგო მატჩმა ადგილობრივ ქომაგთა შორის საკმაო ინტერესი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ქალაქიდანაა გასული და დასწრებაც, პირველი ლიგისგან განსხვავებით, აღარ იყო თავისუფალი, ტრიბუნაზე ქართული საზომით, ხალხმრავლობა იყო. ადგილობრივი ქართველები და სომხები "მესხეთს" ერთგულად და ენერგიულად გულშემატკივრობდნენ. მოკლედ, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს და საკუთარი თვალით დავრწმუნდი, რომ უმაღლეს ლიგას ერთი არცთუ ურიგო და მზარდი გუნდი შეემატა.

თუმცა, "მესხეთის" თამაში სადღეისოდ იდეალურისგან შორს დგას. ახალციხელებს მრავლად ჰქონდათ ტექნიკური წუნი, თვალში საცემი იყო შეუთამაშებლობა დაცვის ხაზში. მასპინძელთა გამარჯვება ცალკეული ფეხბურთელების საშემსრულებლო ოსტატობის დამსახურება უფრო იყო, ვიდრე გუნდური თამაშისა.

სასტარტო მარცხის მიუხედავად, არც სტუმრებს უნდა დავუკარგოთ თავგანწირვა. პირველი ტაიმი "მგლების" გამორჩეული უპირატესობით წარიმართა, ზუგდიდელებმა ერთიმეორის მიყოლებით შექმნეს რეალური საგოლე მომენტები, გოლი მომწიფდა და გავიდა კიდეც, ოღონდ... მათივე კარში.

კვლავ არ გაუმართლა **აკაკი დევაძეს**. თუმცა მედალს მეორე მხარეც აქვს და მადლობა ღმერთს, წინა დაზიანებებთან შედარებით, ეს მსუბუქი რომ გამოდგა. ქართული სამეკარეო სკოლის გამორჩეულმა წარმომადგენელმა "მხოლოდ" ხელის ძვალი გაიბზარა, საავადმყოფოდან მატჩის დასრულებამდე მოასწრო დაბრუნება და როგორც თქვა, ვარჯიშს საკმაოდ მალე, დაახლოებით ათ დღეში განაახლებს.

პარადოქსია, მაგრამ "მგლების" თამაში უარესობისკენ მას შემდეგ შეიცვალა, რაც რიცხობრივ უმრავლესობაში აღმოჩნდა. არადა, **ყვანიას** გაძევების შემდეგ ადგილობრივი გულშემატკივრები იმას შიშობდნენ, გამარჯვებას ვინ ჩივის, მთლად ნულზე არ დავრჩეთო.

მეორე ტაიმში თამაში გათანაბრდა, საგოლე შანსები ორივე გუნდს მიეცა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. მასპინძელთაგან **კაიდარაშვილი, თურმანიძე** და **გვირჯიშვილი** ათამაშდნენ უკეთ, მათი გამოცდილება სავსებით საკმარისი აღმოჩნდა "მესხეთის" თამაშის დასალაგებლად და შეხვედრის დასკვნითმა მონაკვეთმა უკვე ახალციხელთა გამოსარჩევი უპირატესობით ჩაიარა. თუმცა, ქირიას მაკრატელა რომ გასულიყო, ვიტყოდით, რომ ფრე ამ მატჩის ობიექტური შედეგი იყო.

### პრესკონფერენცია

**კობა თედიაშვილი** ("მესხეთი"): *"ბედნიერი ვარ, რომ სადებიუტო მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდა, თუმცა სავსებით შესაძლებელი იყო, შეხვედრა სულ სხვაგვარი შედეგით დამთავრებულიყო. სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, დარწმუნებული ვარ, "მესხეთი" მალე საგრძნობლად გამოასწორებს თამაშის ხარისხს".*

**ბესიკ შეროზია** ("მგლები"): *"ვულოცავ მეტოქეს ამ გამარჯვებას. სამწუხაროდ, ასპროცენტიანი მომენტები ვერ გამოვიყენეთ, რისთვისაც დავისაჯეთ კიდეც. იმედი მაქვს, რომ შეცდომებს გამოვასწორებთ და მომდევნო ტურებში უფრო ხარისხიან ფეხბურთს ვითამაშებთ".*

### რჩეული

**ალექსანდრე კაიდარაშვილი.** გამოცდილი ფორვარდის დამატებამ "მესხეთის" თამაშს ახალი მუხტი შესძინა. კაიდარაშვილმა ჩვეული ჟინით ითამაშა, ძალიან ბევრი იშრომა (განსაკუთრებით მეორე ტაიმში), თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო, მწვავე პასებიც აკეთა და თავადაც ახლოს იყო მიზანთან. ვერ ვიტყვით, რომ ახალციხეში მაღალი დონის ფეხბურთი ვიხილეთ, მაგრამ მაინც, მოედანზე მყოფთაგან მისი შრომის ცალკე გამორჩევა და დაფასება ვცანით საჭიროდ...

**ლევან ჯანეზაშვილი**
ახალციხე-თბილისი

ლეგიონერები

# ყაზახები ქართველებს უკვე დუბლებში სინჯავენ
## მელქაძეს შახტიორმა შანსი მისცა

ეს უკვე მეტისმეტია. ყაზახეთში ქართველები რომ მიჰყავდათ, ამას ჩვენი მოთამაშეების გაჭირვებული ყოფით კიდევ ავხსნიდით, თუმცა მოთამაშეთა გადინება კატასტროფულად, ქაოსურად დაიწყო. ყარაღანდის "შახტიორის" ოფიციალურ ვებგვერდზე შემაშფოთებელ ინფორმაციას წავაწყდით - თურმე, არა ამ გუნდში, არამედ მის სარეზერვო "შახტიორ-იუნიოსტში" ამჟამად 1989 წელს დაბადებული სამი ქართველი ბავშვი იმყოფება.

ჯერ ყაზახური გუნდი რაა და მერე იმის ფარმ-კლუბი რა იქნება? ახალგზარდა ქართველთა გვარები არა დაკონკრეტებული, მაგრამ თავისთავად ფაქტია შემაშფოთებელი. ერთია, როდესაც **ლევან ყენია** და **დათო თარგამაძე** გერმანიაში მიდიან და სხვაა, როდესაც ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და ასეთებში.

ალბათ, დროა, ქართული ფეხბურთის "გაიაფების" ასეთ ტენდენციას ფეხბურთის ფედერაცია წინ აღუდგეს. ასეთ ლიგებში ქართველები კაპიკების საფასურად არ უნდა მიდიოდნენ და თუ წავლენ, მხოლოდ გამორჩეულ გუნდებსა და ლიგებში.

ყარაღანდის "შახტიორის" ვებგვერდზე სხვა ქართველების შესახებაც შევიტყვეთ **ლაშა ნოზაძე**, ძირითად შემადგენლობაში მოხვდა. დანარჩენებს კი ბოლო ტურში არ უთამაშიათ.

"შახტიორის" პრეზიდენტმა **გრიგორი ლორიამ** ორი დღის წინათ პრესკონფერენცია ჩაატარა და ქართველებზეც ისაუბრა: *"გიორგი გაბიდაურს კონტრაქტი დაუსრულდა და ახალი აღარ შევთავაზეთ. რაც შეეხება ლევან მელქაძეს, ის დარჩება და თავის გამოჩენის შანსს მივცემთ. გასინჯვაზე ჩამოსული გია გურულის დატოვება მთავარმა მწვრთნელმა არ ისურვა".*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. I ტური

## ლოკომოტივი-ამერი 2:1

10.08. თბილისი. მ. მესხი
500 მაყურებელი

0:1 ტატანაშვილი (2. პენ.), 1:1 სამხარაძე (62. პენ.), 2:1 გუშარაშვილი (90+3)

ლოკომოტივი: გვარამაძე - ფოფხაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ქუხილავა - მალიჩავა (58. ტიკურიშვილი), ლალაძე (84. ბარბაქაძე), გულორდავა, სამხარაძე, ყენია - მიქაძე (76. ჩაგელიშვილი)

*სათადარიგოები: ცერცვაძე, ჟღენტი, ალავერდაშვილი, კობიაშვილი*

ამერი: ქვაჩახია - ელბაქიძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, დიდავა - ჯელაძე (78. ცხადაძე), დეკანოსიძე, ბოლქვაძე (65. დოლიძე), დობროვოლსკი - ტატანაშვილი, დავითაშვილი (65. რ. გოცირიძე),

*სათადარიგოები: ნადირაშვილი, მჭედლიშვილი, კობაური, ჩიკვილაძე*

გაფრთხილება: კვახაძე (13), მიქაძე (21), ტატანაშვილი (30), ყენია (59, 90+3), დიდავა (62), დოლიძე (68), ხვადაგიანი (87)

გაძევება: ყენია (90+3)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**2** წთ. 0:1 სულიკო დავითაშვილი ნიკა გუშარაშვილმა საპენალტოდ წააქცია. დიმიტრი ტატანაშვილმა 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა.

**5**. გიორგი მიქაძემ ჯარიმა მოინაგრა, ლევან ყენიამ ოცდახუთიოდე მეტრიდან ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

**13**. დავითაშვილი გიორგი კვახაძემ წააქცია, ბოლქვაძის ხვეული დარტყმა სანტიმეტრებით აცდა მასპინძელთა კარს.

**16**. გიორგი დეკანოსიძემ "ლოკომოტივის" კარის გასწვრივ ჩააწოდა, გიზო ჯელაძემ ვარდნაში, მახვილი კუთხიდან მოინდომა გატანა, თუმცა მიზანი ვერ გაისწორა.

**19**. ირაკლი მალიჩავამ ოცდაათიოდე მეტრიდან დააქუხა - ბურთმა "ამერის" კარის ძელს ჩაუხახუნა.

**32**. ტატანაშვილმა საშუალო დისტანციიდან არაზუსტად დაარტყა.

**39**. დეკანოსიძის პასს ტატანაშვილის არაზუსტი თავური მოჰყვა.

**43**. ყენიამ თავისივე მონაგრებული ჯარიმიდან სცადა გატანა, თუმცა დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან ზუსტად ვერ დაარტყა.

**49**. მიქაძემ 17-18 მეტრიდან გადაავლო ბურთი სტუმართა კარის ხარიხას.

**51**. დავითაშვილმა მარცხენა ფლანგიდან მარჯვენაზე გადაისროლა ბურთი, ჯელაძემ თითქოს უნაკლოდ დაარტყა, მაგრამ დავით გვარამაძე ჩინებულად გაისარჯა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

**52**. "ამერმა" კუთხური გაითამაშა, დეკანოსიძემ არცთუ შორიდან დააქუხა და ისევ გვარამაძემ იმარჯვა.

**59**. დავითაშვილის პასის შემდეგ ტატანაშვილმა 13-14 მეტრიდან დარტყა, მინდორზე არეკნილი ბურთი კვლავ გვარამაძემ არ შეუშვა კარში.

**62**. 1:1 გიორგი ტაკურიშვილმა მოედნის ცენტრიდან "ამერის" საჯარიმომდე მიიტანა ბურთი, სადაც ირაკლი სამხარაძეს უნდა შეესრულებინა დამაგვირგვინებელი დარტყმა, მაგრამ გივი დიდავასთან ორთაბრძოლაში პენალტი მოინაგრა და უნაკლოდაც დაარტყა.

**71**. გრიგოლ დოლიძემ მარჯვენა ფლანგზე გაილალა და რევაზ გოცირიძეს გადააწოდა ბურთი, რომელმაც "ჩიპით" მოინდომა გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა.

**74**. ალეკო ლალაძემ და ყენიამ ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, ლალაძემ მახვილი კუთხიდან არაზუსტად დაარტყა.

**81**. ყენიამ კუთხურიდან ისე ჩაასრიალა ბურთი, ორი ლოკომოტიველი ქვაჩახიასთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ამერელთა მეკარეს ვერ აჯობეს.

**88**. გიორგი გულორდავას რეიდს არაზუსტი დარტყმა მოჰყვა.

**90**. ყენიამ ფინტებით რეტი დაასხა ამერელებს, ცხრიანისკენ ჩაახვია ბურთი და ქვაჩახიამ კუთხურზე მოიგერია ის.

**90+3**. 2:1 ყენიამ ფლანგური ჯარიმა შეასრულა, მცველებს და ქვაჩახიას გუშარაშვილმა აჯობა და თავურით გამარჯვებისა შეაგდო.



ლევან ყენია

# ლოკომოტივის ყეენობა

## ამერი თინეიჯერულად წააქციეს

მოსამზადებელი პირობები, გამოცდილება, ფინანსური მოტივაცია - ამ პარამეტრებით "ამერი" მნიშვნელოვნად აღემატება "ლოკომოტივს", მაგრამ ფეხი ისე დაუცდა, გუშინ დაკარგული სამი ქულა ვინძლო, ძალიან ძვირად დაუჯდეს საჩემპიონო რბოლაში.

მწვრთნელის გამჭრიახობა, მაქსიმალური მობილიზება, გამარჯვების ალბათ, უფრო დიდი სურვილი და **ლევან ყენია** - ამ ფაქტორების ერთობლიობამ გუშინ "ლოკომოტივს" გაამარჯვებინა.

სწრაფმა გოლმა "ამერს" მნიშვნელოვანი უპირატესობა მისცა. "ლოკომოტივი" შეტევაში დიდი ძალებით არ მოდიოდა, რამეთუ მეტოქის ძალას გრძნობდა და ღია თამაშით ალბათ, კიდევ უფრო გაირთულებდა საქმეს. "ამერიც" არ იყო არხეინად, უპირატესობის გაზრდას ცდილობდა და პირველი ტაიმი "ლოკომოტივს" სამ ქულას ნამდვილად არ უქადდა.

მასპინძლებს შეტევის ორგანიზება უჭირდათ, ხშირად საკუთარ ნახევარზევე კარგავდნენ ბურთს, "ამერი" კი ამას კარგად ახერხებდა და მეტოქეც მარწუხებში ჰყავდა მოქცეული - ბურთს მეტწილად "ამერი" აკონტროლებდა.

მეორე ტაიმის პირველი თხუთმეტი წუთიც "ამერის" იყო. საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე დიდებულად გაისარჯა - **დავით გვარამაძემ** რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია და "ამერმაც" თითქოს ამით მოიკლა ჟინი.

**გიორგი კიკნაძემ** პირველივე შეცვლამ გაუმართლა - **გიორგი ტიკურიშვილმა** ტარანითა და სლალომით მოარღვია ამერელთა დამცავი ეშელონები. მის რეიდს მოჰყვა პენალტი და ანაგრიშის გათანაბრების შემდეგ მოედანზე ყველაფერი თავდაყირა დადგა - "ლოკომოტივი" თანდათან დაეუფლა უპირატესობას. "ამერი" კი ფსიქოლოგიურადაც დაიწრიტა და ფიზიკურადაც ვეღარ იყო მხნედ, ჩიხრაძის ფეხბურთელებს მოძრაობა უჭირდათ.

შეცვლებს მიმართა ჩიხრაძემაც, მაგრამ აქედან "ამერმა" ვერაფერი გამოადნო. ერთი გამოკვეთილი ფორვარდი და ორი გარემარბი - ასეთი წინა ხაზი ჩიხრაძემ ორი გამოკვეთილი ფორვარდით (ტატანაშვილი და გოცირიძე) გადააკეთა, თუმცა ეს ეფექტური ვერ გამოდგა.

ამასობაში, 16 წლის ყენიამ ფინტებითა და შეუპოვრობით დაჭყლიტა "ამერი", მისი გახსნილი გონება და ტექნიკა რეტს ასხამდა ამერელებს. კარგად ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შესული **გიორგი ბარბაქაძეც**. მატჩის მიწურულს ისე შეუტია "ლოკომოტივმა" საქართველოს თასის ზედიზედ ორგზის მფლობელს, რომ გამარჯვება მასზე ალალი იყო.

**პრესკონფერენცია**

გიორგი ჩიხრაძე: **"უეფას თასზე "ბელხატოვთან" საპასუხო მოგებამ ალბათ თავბრუ დაახვია ჩვენ ფეხბურთელებს. მეორე ტაიმში მეტოქემ აშკარად გვაჯობა".**

გიორგი კიკნაძე: **"დიდი მადლობა ჩემს ფეხბურთელებს - ისინი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ თამაშს. "ამერი" საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ასეთ მეტოქესთან გამარჯვება ჩვენთვის დიდი წარმატებაა".**

**რჩეული: ლევან ყენია**

მან მეორე ყვითელი ბარათი იმიტომ მიიღო, რომ "ლოკომოტივის" მეორე გოლის შემდეგ მაისურა გაიხადა, მაგრამ მატჩის ბოლო წამებზე მისი გაძევება რა მოსატანია - ყენია მეორე ტაიმში ფანტასტიკური გახლდათ. მისი 45-წუთიანი წარმოდგენა შეხვედრის შემდეგ **კლუს ტოპმიოლერის** თანაშემწე **რალფ მინგემ** ერთი სიტყვით შეაფასა - Unbelievable!

**დავით თავართქილაძე**

სიონი

# პრემიერის ნობათი: სიონს ბაკურიანი, რწმუნებულს შავი ქამარი

ბოლნისის "სიონს" ახალი პარტნიორი ჰყავს - "პრემიერ ბიზნეს-ჯგუფი" და ამასთან დაკავშირებით გუშინ, კლუბ "პრემიერში" პრესკონფერენცია გაიმართა.

"სიონსა" და "პრემიერ ბიზნეს-ჯგუფს" შორის შუამავალი სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტი შეიქნა. "პრემიერ ბიზნეს-ჯგუფი" კიდევ რამდენიმე კლუბთან და სპორტულ ფედერაციასთან აპირებს თანამშრომლობას. ამ კომპანიის დირექტორი **კახა ბასილაიაა**, ვინც, იმავდროულად, საბრძოლო სახეობათა ეროვნული კონფედერაციის პრეზიდენტიცაა.

ხელშეკრულების თანახმად, "სიონი" ყველა პიარაქციას, პრესკონფერენციასა თუ პრეზენტაციას, კლუბ "პრემიერში" გამართავს და თავისი სიმბოლიკის სხვაგან გამოყენებაზე უარს იტყვის. ბოლნისის **თამაზ სტეფანიას** სახელობის სტადიონზე "სიონის" მატჩებზე "პრემიერ ბიზნეს-ჯგუფის" ოთხი ბანერი განთავსდება. თავის მხრივ ეს კომპანია "სიონს" სთავაზობს ორკვირიან შეკრებას ბაკურიანში წინა თუ საშუასეზონო პერიოდში.

"სიონი", რომელიც შარშან საქართველოს ჩემპიონი გახდა, 2006-07 წლების სეზონში ვეღარ იყო ღონიერი გუნდი და უტიტულოდ და ევროსაგზურის გარეშე დარჩა. სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან წავიდნენ მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** და რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელიც. "სიონის" პრეზიდენტიც შეიცვალა - ბოლნისის გამგებლის პოსტი **გიორგი არევაძეს** დაატოვებინეს და კლუბის პრეზიდენტობასაც შეელია. ბოლნისის გამგებლად **გიორგი დაუშვილი** დაინიშნა, ვინც "სიონის" პრეზიდენტიც გახდა. გამგეობის გარდა კლუბს საწარმო "მადნეულიც" აფინანსებს და "პრემიერ ბიზნეს-ჯგუფთან" თანამშრომლობაც არცთუ უმნიშვნელო სარგებელი უნდა იყოს.

ჯემალ ჭიპაშვილი, "სიონის" პრესატაშე: კახა ბასილაიამ და "სიონის" მხრიდან ნუგზარ ლომთათიძემ ერთწლიან ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. გუნდის მაისურზე სპონსორი "მადნეულის" გარდა ამ კომპანიის ლოგოც გამოისახება. კლუბ "პრემიერში" კი "სიონი" მინიმუმ თვეში ერთხელ მოაწყობს მასმედიასთან შეხვედრას. როცა "სიონიდან" და ბოლნისის მმართველობიდან გიორგი არევაძე წავიდა, არცთუ უსაფუძვლო შიში იყო, რომ "სიონი" უპატრონოდ დარჩებოდა, მაგრამ საბედნიეროდ, ბოლნისის ახალ გამგებელსაც ძალიან უყვარს ფეხბურთი. გიორგი დაუშვილი მხოლოდ თავისი კაბინეტიდან როდი უყურებს კლუბს - დაესწრო "სიონის" ვარჯიშებს და საკონტროლო თამაშებსაც.

გიორგი დაუშვილი: ყველანაირად შევეცადეთ და მოვახერხეთ, რომ "სიონი" დაშლას გადავარჩინეთ, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ საპრიზო ადგილებისთვის არ ვიბრძოლებთ. "სიონი" უკვე მყარად დგას ფეხზე. ნოდარ აკობიამ მოკლე დროში შეძლო გუნდის ჩამოყალიბება.

ნოდარ აკობია, მთავარი მწვრთნელი: "სიონიდან" ფეხბურთელთა ბირთვი წავიდა და იმის ცდაში ვიყავით, გუნდისთვის ახალი ფეხბურთელები შეგვერჩია. სელექციას ისევ ვაგრძელებთ და შესაძლოა, ერთი-ორი ფეხბურთელი კიდევ დავიმატოთ. გასათვალისწინებელია, რომ ფეხბურთელთა შეთამაშებას დრო სჭირდება.

კახა ბასილია: ასეთი თანამშრომლობის ინიციატორი სპორტის დეპარტამენტი იყო და ჩვენც გაგვიჩნდა ინტერესი. ასეთი საქმიანობის გამოცდილება ჯერ არ გვაქვს, მაგრამ შევიძენთ. პრეზიდენტის რწმუნებულს ქვემო ქართლში ზურაბ მელიქიშვილს კი შავი ქამრის წოდებას ვანიჭებთ.

ერთიც, "სიონმა" ტრანსფერზე დააყენა სამივე კამერუნელი - **ბოიომო ფრიდოლინი, ერიკ რომეო ჩასემი და გასტონ ევოჩე**, თუმც ფრიდოლინი და ჩასემი მაინც შეიყვანა სასეზონო განაცხადში. "სიონში" გვითხრეს, ამას იმიტომ არ ვაკეთებთ, რომ კამერუნელების შენახვა კლუბს არ შეუძლია, უბრალოდ, ყველა მწვრთნელს თავისი ხედვა აქვსო.

**დავით თავართქილაძე**

## იმედაშვილი ვენტსპილსს ასაიდუმლოებს

"ვენტსპილსი" ევროკავშირის წევრი ქვეყნის ჩემპიონი კი არის, მაგრამ გუნდს ეტყობა, რუსი მეპატრონე რომ ჰყავს. ლატვიის ოქროსმედალოსნების შესახებ ინფორმაცია ისეა გასაიდუმლოებული, როგორც ქვეყნის სამხედრო საიდუმლოება.

საინფორმაციო საშუალებებით უკვე მთელ ქვეყანას მოედო ცნობა, რომ კიევის "დინამომ" **დავით იმედაშვილი** "ვენტსპილსში" გაანათხოვრა, გუნდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე კი ამის შესახებ არაფერი წერია, მხოლოდ ერთი წინადადებაა ფორუმზე - გულშემატკივარი საიტის ადმინისტრატორს ეკითხებოდა რატომ არაფეს წერთ ქართველის ტრანსფერზეო?

შეგახსენებთ, რომ ლატვიის გუნდში იმედაშვილი ზამთარში გასინჯეს, მაგრამ კლუბები საიჯარო თანხაზე ვერ შეთანხმდნენ.

მაშინ ანალოგიური მიზეზით ჩაიშალა თბილისის "დინამოს" მცველის, **დავით გიგაურის** ტრანსფერიც. ლატვიელებს 21 წლის ნიჭიერი მცველის გადაყვანა კაპიკებში სურდათ, მაგრამ ასე სადაა...

სხვათა შორის, ეს ინტერესი "ვენტსპილსმა" დღემდე შეინარჩუნა, რაც რიგის "სკონტოს" ქართველმა მენეჯერმა **მიხეილ ძოძუაშვილმა** გვითხრა.

## ხუბუტია კაუნასში დაბრუნდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი **აკაკი ხუბუტია** ბოლო დროს "შილიუტეში" თამაშობდა. თუმცა ლიტვის ჩემპიონატის მეორე წრის განახლებამდე იგი "კაუნასმა" დაიბრუნა. ეს ორივე კლუბი ცნობილ ბიზნესმენ **ვლადიმერ რომანოვს** ეკუთვნის. ხუბუტია "შილიუტეში" განათხოვრებით თამაშობდა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ეროვნული ნაკრების ფანკლუბის განცხადება

25 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული ნაკრების ფანკლუბისა და ეროვნული სტადიონის დირექციის ინიციატივით, 12 წლამდე ბავშვთა შორის street soccer-ის ტურნირი გაიმართება. თამაშები ეროვნული სტადიონის ტერიტორიაზე, სპეციალურად მოწყობილ მოედანზე ჩატარდება. მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები ელექტრონული ფოსტის მისამართზე fanclub@fanclub.ge გამოგვიგზავნეთ ან დაგვირეკეთ 542 542, 877766770, 893317772. განაცხადები 23 აგვისტომდე მიიღება.

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# იმერულ-ჯორჯიული ზავი



ბედიაშვილმა მეტოქეს დაასწრო

**ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია**

**1:1**

**10.08. ზესტაფონი. ცენტრალური**
**3000 მაყურებელი**

0:1 სახოკია (10), 1:1 ვიეირა (89)

ზესტაფონი: ჭანტურია - საჯაია, თოდუა, ლონლაძე, კ. ჩხეტიანი (60. იონანიძე) - ონიანი (69. ხიდეშელი), კესანი, ნ. კვასხვაძე (46. ბენაშვილი), ვიეირა - ფიფია, გ. ჩხეტიანი.

*სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, დაუშვილი, ჯიშკარიანი, ქორიძე*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი (50. მიქაბერიძე) - პ. დათუნაიშვილი, კაიშაური, კვახაძე, ლომაია - ბეჟვაია, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი (56. მელქაძე), გელაშვილი (61. ინჯგია) - სახოკია

*სათადარიგოები: ადამაძე, ლიპარტია, ღუჭაშვილი, ბერიაშვილი*

გაფრთხილება: ბეჟვაია(47), კვახაძე(62) ინჯგია (69)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**5 წთ.** კლიმიაშვილმა სახოკიას მისამართით გამჭოლი გადაცემა გააკეთა, თავდამსხმელს თოდუამ არ დაარტყმევინა.

**10.** 0:1 გიორგი დათუნაიშვილმა სახოკიას მისამართით გრძელი გადაცემა გააკეთა. ზესტაფონელმა მცველებმა შეცდომა დაუშვეს, სახოკია მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, პირველი დატყმა ჭანტურიამ მოიგერია, მაგრამ ბურთი კვლავ სახოკიას მიუვიდა და ანგარიში გახსნა.

**18.** კახა ჩხეტიანის გადაცემის შემდეგ გაგა ჩხეტიანმა მახვილი კუთხიდან დაარტყა და ააცილა.

**34.** ვიეირამ საჯარიმოს წინა ხაზიდან ძლიერად დაარტყა, ბურთი მეკარემ მოიგერია.

**36.** ფიფიამ რამდენიმე მცველი ჩამოიცილა, თუმცა მისი დარტმული მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**45.** მარჯვნიდან ლონლაძემ იაქტიურა და ვიეირა გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. ბრაზილიელის უძლიერესი დარტყმა ბედიაშვილმა მოიგერია.

**52.** პავლე დათუნაშივილის შორეული დარტყმა ზესტაფონელთა კარის ბადეს გარედან მოხვდა.

**53.** კესანიმ მარჯვენა ფლანგიდან მეკარის ბაქანთან გამჭოლი გადაცემა გააკეთა, გაგა ჩხეტიანმა დასწრებაზე ითამაშა, მაგრამ ააცილა.

**73.** მარჯვენა ფლანგზე იონანიძემ იაქტიურა და საჯარიმოში ფიფია მოძებნა, თუმცა ამ უკანასკნელს მცველებმა დაასწრეს.

**86.** გაგა ჩხეტიანმა ბენაშვილს კარგი გადაცემა გაუკეთა, ამ უკანასკნელმა დააყოვნა და მეკარემ დაასწრო.

**89.** 1:1 ვიეირამ ჯარიმიდან ჩაახვია ბურთი და ანგარიში გაათანაბრა.

"ზესტაფონი" და "ვიტ-ჯორჯია" ერთმანეთის მიმართ ყოველთვის დაუნდობლები იყვნენ. 5:0, 4:0, 3:0...წინა ჩემპიონატებში ძირითადად ასეთი ანგარიშებით მთავრდებოდა ამ გუნდების ურთიერთშეხვედრები. აქამდე ფრე ერთხელაც არ ეთამაშათ. პირველი იმერულ-ვეტერინარული ზავი სწორედ მე-19 ეროვნულის პირველ მატჩში შედგა, რამაც ზესტაფონელებს უფრო დასწყვიტა გული, ვიდრე სტუმრებს, თუმცა თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე ფრე მასპინძლებისთვის მისაღები უნდა ყოფილიყო.

ბილეთების შეძენის აუცილებლობისა თუ შემაწუხებელი სიცხის გამო, ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე ადრინდელივით ხალხმრავლობა არ იყო. ტრიბუნებზე მხოლოდ 3000-მა გულშემატკივარმა მოიყარა თავი. სანაცვლოდ, თბილისიდან "ზესტაფონის" მხარდასაჭერად **ნიკა ქავთარაძე** მეგობრებთან ერთად ჩამოვიდა და საყვარელ გუნდს გულმხურვალედ უქომაგა. მისი ბარაბანი მთელი მატჩის განმავლობაში არ გაჩერებულა. შეხვედრას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი **პეტარ სეგრტიც** ესწრებოდა. იგი ახალგაზრდულის კანდიდატებს აკვირდებოდა და საკუთარ დავთარში რაღაც-რაღაცებს ინიშნავდა.

ტრადიციისამებრ, მატჩის დაწყებამდე გუნდის კაპიტნებმა **კახა ჩხეტიანმა** და **ალექსანდრე კვახაძემ** ეროვნული ჰიმნის ფონზე საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართეს და თამაშიც გახურდა.

**თემურ მახარაძემ** გუნდი კლასიკური 4-4-2 სქემით განალაგა. მისმა ვიზავიმ **ნესტორ მუმლაძემ** უფრო დაცვითი ტაქტიკა აირჩია 4-5-1 და თავდასხმაში მხოლოდ **სახოკია** გაამწესა. ვიტელთა მეორე ნომინალური ფორვარდი **ნიკოლოზ გელაშვილი** კი ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებდა. სტუმრებმა კონტრშეტევებზე გააკეთეს აქცენტი და ამ ტაქტიკამ გაამართლა კიდეც. ვერცხლის წყალივით მოძრავ სახოკიას ზესტაფონელი მცველები ვერაფერს უხერხებდნენ. მე-10 წუთზე **დათუნაიშვილის** გადაცემის შემდეგ მან ორჯერ დაასწრო მცველებს, პირველად **ჭანტურიამ** აუღო, მაგრამ მეორე დარტყმით კი გახსნა ანგარიში.

სახოკიასთან შედარებით პასიური იყო გელაშვილი, თუმცა იგი მისთვის უცხო პოზიციაზე თამაშობდა და შესაძლოა ბოლომდე ამიტომაც ვერ გაიხსნა.

ზესტაფონელები საწყის წუთებში საკუთარ თავს არ ჰგავდნენ. ისინი ხშირად კარგავდნენ ბურთს და მეტოქეს სწრაფი კონტრშეტევების წამოწყების საშუალებას აძლევდნენ. მათდა საბედნიეროდ, ხშირად ვიტელები შეტევებს ველარ ანვითარებდნენ, თორემ ერთ-ორ ეპიზოდში სახოკიას მისამართით ზუსტი გადაცემები რომ გაკეთებულიყო, შესაძლოა ანგარიშიც გაზრდილიყო.

ზესტაფონელებს მოედნის ცენტრში ბურთის დამჭერი არ ჰყავდათ. **ჟონატასი სანტოსის** თავს გადამხდარი უბედურების შემდეგ სტრესში ჩავარდნილა და მისი გამოყენება თემურ მახარაძემ ვერ შეძლო. უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდა გაბონელი **პოლ კესანი**, რომელიც წინა ჩემპიონატში ზესტაფონელთა შუა ხაზის ლიდერად მოგვევლინა. მარჯვენა ფლანგიდან ჩვეულებისამებრ სწრაფად ვერ მოქმედებდა **ნიკა კვასხვაძე** და მეორე ტაიმში შეცვალეს კიდეც **ბენაშვილით**. მასპინძელთა შეტევები ძირითადად მარცხენა ფლანგიდან ვითარდებოდა, **გაგა ჩხეტიანი** და **ფიფია** ბევრს ცდილობდნენ, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში არ უმართლებდათ. პირველ ტაიმში ყველაზე რეალური მომენტი მასპინძლებმა 45-ე წუთზე შექმნეს, როცა **ვიეირას** უძლიერესი დარტყმა ბედიაშვილმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია.

მეორე ნახევარში ფეროელებმა შეტევები გაამწვავეს, "ვიტ-ჯორჯია" კი დროის გაყვანაზე გადავიდა. ხშირი იყო ჯარიმები, რითაც სტუმრები კარგად სარგებლობდნენ და ძვირფას წუთებს იგებდნენ. თამაშის შემდეგ ამაზე თემურ მახარაძემაც გაამახვილა ყურადღება: "*მსაჯებმა თამაში მოკლეს, ყველა შეხებაზე ჯარიმას ნიშნავდნენ, შემდეგ ვიტელებს დროის გაყვანის გამო გაფრთხილებას არ აძლევდნენ და ალბათ, მეორე ტაიმში სულ 25 წუთი თუ გვათამაშეს.*"

მეორე ტაიმში თამაშის სცენარი არ შეცვლილა. "ზესტაფონი" ქაოტურად უტევდა, "ვიტ ჯორჯია" კი თავს იცავდა და წინ ეულად მყოფი სახოკიას იმედზე იყო. ფეროელებს გოლის გატანა ძალიან უჭირდათ. თემურ მახარაძე ვა-ბანკზე წავიდა- **კახა ჩხეტიანის** ნაცვლად მან მოედანზე **ზურაბ იონანიძე** გამოიყვანა და სამი ფორვარდით შეუტია. ვეტერანი იონანიძე აქტიურად ჩაერთო თამაშში და თბილისელ მცველებს სიმშვიდე დაურღვია, თუმცა მის აქტიურობას ორიოდე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი მოჰყვა.

"ვიტ ჯორჯიას" მატჩი გამარჯვებამდე მიჰყავდა, მაგრამ ზესტაფონელებს ბოლო წუთზე მხსნელად ვიეირა მოევლინათ. ბრაზილიელმა ჯარიმა შეასრულა, ბურთი თითქოსდა, ფიფიას თავზე შეეხო და კარში ჩაეშვა, სტადიონის დიქტორმა გოლის ავტორად ფიფია გამოაცხადა, თუმცა მსაჯებმა გოლი ვიეირას ჩაუთვალეს - მისი დარტყმის შემდეგ ბურთი პირდაპირ კარში ჩაეშვაო.

### პრესკონფერენცია

ნესტორ მუმლაძე: "საინტერესო, დაძაბული თამაში გამოვიდა. მოგებაც შეგვეძლო, მარამ ფრითაც არა ვარ უკმაყოფილო. "ზესტაფონი" ძლიერი გუნდია, განსაკუთრებით საკუთარ მოედანზე და მასთან ეს შედეგი მისაღებია. ფეხბურთელებმა ყველა დავალება ზედმიწევნით შეასრულეს და მათი კმაყოფილი ვარ."

თემურ მახარაძე: "პირველი თამაში ყოველთვის ძნელია, მით უმეტეს, ისეთ უხერხულ მეტოქესთან, როგორიც "ვიტ-ჯორჯიაა". ორი წამყვანი ფებურთელი გვაკლდა, სანტოსი და ჟონატასი. სანტოსი ოჯახური პრობლემის გამო ბრაზილიაში იმყოფება. მის თავს გადამხდარი ამბის შემდეგ ჟონატასიც შოკშია და დღეს ისიც ვერ დავიხმარეთ. მთელი მატჩის განმავლობაში ვუტევდით, "ვიტ ჯორჯია" კი თავს იცავდა, მომენტები მრავლად გვქონდა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში კვლავ ბევრს ვცოდავთ. თავდასხმის გაძლიერება აუცილებლად გვჭირდება. გიორგი ჭელიძის თაობაზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ მოსკოვის "ლოკომოტივთან" და შესაძლოა, მომავალ მატჩებში ამ ფეხბურთელით გავძლიერდეთ...."

### რჩეული

ზაზა სახოკია - გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა, მასპინძელ მცველებს მთელი შეხვედრის განმავლობაშიმოსვენება არ მისცა და თანაგუნდელთა სათანადო ხელშეწყობა რომ ჰქონოდა, შესაძლოა, მეტიც გაეტანა.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

## კალაძის გეგმებმა სააკაშვილი გააცინა

"გაზეტა პო-კიევსკი" "მილანისა" და საქართველოს ნაკრების მცველს, **კახა კალაძეს** ესაუბრა. თემა კალაძის პოლიტიკაში წასვლა და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა იყო.

უკრაინულ გაზეთთან კახამ ეს გააბათილა: "*ვინ გითხრათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა მსურს? არა, ასეთი გეგმები არ გამაჩნია. მე ჯერ კიდევ არ ვიცი, კარიერის დასრულების შემდეგ რას გავაკეთებ. შესაძლოა, სადმე სასწავლებლად წავიდე. სხვათა შორის, ჩემი მომავალი "პრეზიდენტობის" შესახებ მეგობარს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ვესაუბრე. როდესაც შეიტყო ინფორმაცია ჩემი სამომავლო "გეგმების" შესახებ, ხუმრობით მკითხა, რა ხდება, კახა, ჩემი ჩამოგდება გსურსო? მაგრად ვიცინეთ*".

კახა 6 სექტემბერს კიევში "დინამოსა" და "მილანის" ამხანაგურ მატჩში ვერ ითამაშებს, რადგან ამ დროს უკრაინის ნაკრებთან შეხვედრისთვის საქართველოს ნაკრებში იქნება გამოძახებული და გაზეთთან დაიქადნა - შევეცდებით, შარშანდელი ნაგებისთვის რევანში ავილოთო.

## აზერბაიჯანი კენტად დარჩა

დღეს აზერბაიჯანში უმაღლესი ლიგის მე-16 გათამაშება იწყება. წლეულს, როგორც გასულ წელს, სამეზობლოში მრავლად ითამაშებენ ქართველი ლეგიონერები. აზერბაიჯანული ლიგის საორგანიზაციო საქმეები რომ ძალიან დაბალ დონეზეა, კიდევ ერთხელ დამტკიცდა - გუშინ "მტკ-არაზის" ხელმძღვანელობამ ფედერაციას წერილი აახლა, კლუბი ფინანსურ კრიზისშია და ლიგაში არ ითამაშებსო. ასე რომ, წლეულს აზერბაიჯანის ჩემპიონატში კლუბები კვლავ კენტად იქნებიან, 13 გუნდი ითამაშებს. "არაზში" ქართველი ლეგიონერები არ ირიცხებიან. "არაზი" ახლახანს შეხვდა პოლონურ "გროცლინს" და ორი მატჩის ჯამში უეფას თასს დაემშვიდობა.

ქართველთა გეოგრაფია აზერბაიჯანში კი მნიშვნელოვნად შეიცვალა, წავიდნენ ძველები და გამოჩდნენ ახლები. "ბაქი" დატოვა ფორვარდმა **გიორგი მეგრელაძემ**, რომელიც ყაზახეთში წავიდა. ჩემპიონ "ხაზარს" დაემშვიდობა **ვალერი აბრამიძე**. "ბაქის" ლიდერი **ალექსანდრე გოგობერიშვილი** იმედოვნებს, რომ წლეულს გუნდი ჩემპიონის ტიტულსაც დაიბრუნებს და თასსაც მოიპოვებს.

აქვე გეტყვით, რომ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინა აზერბაიჯანისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩის გამართვის დრო. **კლაუს ტოპმიოლერის** გუნდი სათამაშოდ "ტოფიკ ბახრამოვზე" 12 სექტემბერს, 21 საათზე გავა.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. I ტურის წინ

# რონალდინიო დორტმუნდს ქომაგობს!

## ოტმარ ჰიტცფელდი: ტონი ჯერ მხოლოდ სკამზე!

**გუშინ**

| | |
|---|---|
| შტუტგარტი-შალკე | 2:2 |

**დღეს**

ბაიერნი-ჰანზა
ლევერკუზენი-კოტბუსი
ბოხუმი-ვერდერი
ჰანოვერი-ჰამბურგი
აინტრახტი-ჰერტა
ვოლფსბურგი-არმინია

**ხვალ**

ნიურნბერგი-კარლსრუე
ბორუსია-დუისბურგი



ჰიტცფელდი ფიქრობს, რომ ტონი ძირითადისთვის მზად ჯერ არ არის

ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, "ბაიერნია" - გუნდი, რომელმაც არსებობის ისტორიაში პირველად, ტრანსფერებში 70 მილიონი ევრო დახარჯა და ბევრის აზრით, თითქმის იდეალური შემადგენლობა ჰყავს. **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდი დღეს ელიტაში აღზევებულ როსტოკის "ჰანზას" უმასპინძლებს. შედარებისთვის, მეკლენბურგელებმა ტრანსფერებში მხოლოდ 500 000 ევრო დახარჯეს. თანაც, **ფრანკ პაგელსდორფს** რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლია - მაგალითად, მცველები **პირსი** და **ლენზე**, ასევე, ფორვარდი **კერნი**. რეკორდმაისტერს **ლუკა ტონი** გამოუჯანმრთელდა და უკანასკნელი ინფორმაციით, იტალიელი სათადარიგოთა სკამზე იქნება - ჰიტცფელდი მის სასტარტოში გამწესებას ვერ გარისკავს, რადგან ტონი უვარჯიშებელია. სამაგიეროდ, თავიდანვე ითამაშებენ **იანსენი, ზე რობერტო, ჰამით ალთინთოფი, რიბერი** და **კლოზე** - "ბაიერნის" 5 ახალწეული. როსტოკელები მიუნხენში გუშინ ჩავიდნენ და პაგელსდორფმა თავისი შეგირდები, განტვირთვის მიზნით, კინოში წაასხა. აღსანიშნავია, რომ "ჰანზას" ოდნავადაც არ ეშინია სუპერ-ბაიერნისა. როსტოკელთა მცველი **დექსტერ ლანგენი** ამბობს: *"მართალია, მიუნხენელებს უფრო ბევრი ფული აქვთ, მაგრამ ფეხბურთის თამაში ჩვენც შეგვიძლია და ამას აუცილებლად დავამტკიცებთ. მიუნხენში 3 ქულისთვის ჩამოვედით!"* ვერაფერს იტყვი, ძალიან ხმამაღალი განცხადებაა...

"ვერდერს" კარგი სტარტის აღება გაუჭირდება. ბრემენელები "ბოხუმს" სტუმრობენ და 5 წამყვანი მოთამაშე აკლიათ: **ფრინგსი, ვომე, ჰანტი, ოვომოიელა** და **კლასნიჩი**. საეჭვოა **ნალდოს, კარლოს ალბერტოსა** და **ანდრეასენის** ასპარეზობაც. ამრიგად, **თომას შააფი** საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. შააფისთვის ერთადერთი შვება ის გახლავთ, რომ მისი მეტოქე სუსტი "ბოხუმია". შარშან, "მუსიკოსებმა" "რურშტადიონზე" 6:0 იმარჯვეს, შინ კი, **მარსელ კოლერის** გუნდს 3:0 მოუგეს. "ბოხუმი" საუკეთესო შემადგენლობით ითამაშებს.

**ჰუუბ სტევენსის** ამბიციური "ჰამბურგი" "ჰანოვერს" სტუმრობს და უნდა აღინიშნოს, რომ ეს გუნდი HSV-სთვის ძალიან უხერხული მეტოქეა. აგერ უკვე 9 თამაშია, რაც ჰამბურგელებს ჰანოვერელები აღარ დაუმარცხებიათ. სტევენსი ორივე ახალწვეულს სასტარტოში გაამწესებს (**ზიდანი, კასტელენი**). "ჰანოვერში" კი ქაოსია, რადგან მადრიდის "რეალმა" ამ გუნდის ერთ-ერთ ლიდერ **ჟაბოლჩ ჰუშტის** დაადგა თვალი (ეს უკანასკნელი მადრიდულ კლუბთან ტესტ-მატჩში, რომელიც "ჰანოვერმა" 3:0 მოიგო, ერთ-ერთი საუკეთესი გახლდათ).

"ლევერკუზენისა" და "კოტბუსის" სახით ერთმანეთს ის გუნდები ხვდებიან, რომლებმაც გერმანიის თასის პირველი ეტაპი ვერ გადალახეს და საქვეყნოდ შერცხვნენ. "კოტბუსის" კარს კვლავ ვეტერანი **ტომისლავ პიპლიცა** დაიცავს - "ენერგის" თავკაცმა **პეტრიკ ზანდერმა** პიპის სასარგებლოდ არჩევანი გუშინ გააკეთა. "ფარმაცევტებს" ახალწვეული **ვიდალი** არ ეყოლებათ (ტრავმა).

"აინტრახტი"-"ჰერტა" - ეს იმ მწვრთნელების დუელი გახლავთ, რომლებიც პოსტიდან გათავისუფლების საუკეთესო კანდიდატები არიან. ტოტალიზატორებში, გაგდების პირველი კანდიდატი "ჰერტას" თავკაცი **ლუსიენ ფავრია**, მეორე კი ფრანკფურტელთა დამრიგებელი **ფრიდჰელმ ფუნკელი**. **ფელიქს მაგათი** კი, თავის ვოლფსბურგულ კარიერას "არმინიასთან" საშინაო მატჩით იწყებს და ცხადია, "დესპოტი ფელიქსის" "მგლები" ფავორიტები არიან.

ხვალ, **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუე" **ჰანს მაიერის** "ნიურნბერგს" ესტუმრება. KSC-ს თავკაცი **ედე ბეკერი** 22-წლიანი (!) პაუზის შემდეგ ბუნდესლიგაში ბრუნდება. იაშკა, სავარაუდოდ, ძირითადში ითამაშებს, მისი უშუალო კონკურენტი **ტიმი** კი, სკამზე გამწესდება. "ნიურნბერგში" **რობერტ ვიტეკის** თამაშია საეჭვო. ხვალვე, დორტმუნდის "ბორუსია" გადაჭედილ "ვესტფალენშტადიონზე" "დუისბურგს" უმასპინძლებს. სხვათა შორის, მწვრთნელები **დოლი** და **ბომერი** ძველი თანაგუნდელები არიან (აინტრახტიდან). დორტმუნდელთა ბრაზილიელი ნახევარმცველი **ტინგა რონალდინიოს** ბავშვობის მეგობარი გახლავთ. ტინგას თქმით, რონი მას თითქმის ყოველდღე ურეკავს და "ბორუსიის" ამბებს ეკითხება. რონალდინიო, ჩემს გამო, BVB-ს ქომაგობსო, ამბობს ტინგა. "ბორუსიის" კაპიტანი **კრისტიან ვიორნსი** ხვალ ბუნდესლიგაში 450-ე შეხვედრას ჩაატარებს და 25-ე ფეხბურთელი გახდება, რომელმაც ამ რიცხვს მიაღწია. აქვე გეტყვით, რომ "დუისბურგის" ფორვარდ **აილტონს** BVB-ს კარში 4 გოლი აქვს გატანილი...

**კიკერის პროგნოზი**

ბაიერნი-ჰანზა 2:0; ლევერკუზენი-კოტბუსი 3:1; ბოხუმი-ვერდერი 0:2; ჰანოვერი-ჰამბურგი 1:1; აინტრახტი-ჰერტა 1:1; ვოლფსბურგი-არმინია 3:1; ნიურნბერგი-კარლსრუე 2:1; ბორუსია-დუისბურგი 2:0.

**BILD**

**ჰემინგუეის** საუკეთესო ნაწარმოებში "მოხუცი და ზღვა", საკუთარ ნავში მჯდომი და ფიქრებში გართული უიღბლო მეზღვაური სანტიაგო, თავის გმირზე ოცნებობს - ბეისბოლისტ დი მაჯიოზე. ოცნებობს იმაზე, თუ რაოდენ დიდი ბედნიერება იქნებოდა, რადიო ჰქონდეს და მატჩის რეპორტაჟს უსმენდეს. ჰემინგუეი, მისი სახით, სპორტის ყველაზე ერთგულ ფანს გვიხატავს.

დღეიდან მეც სანტიაგო ვარ და ყველას ვთხოვ: ნუ შემაწუხებთ ფეხბურთის დროს! ჩემგან პასუხის მიღება მაინც გამორიცხულია და არ მინდა, რომ ვინმე ნაწყენი დარჩეს.

სანტიაგოსგან განსხვავებით, მე ტელევიზორი მაქვს და ჩემი უპირატესობაა ის, რომ შემიძლია, თამაშებს ვუსმინო და ვუყურო კიდეც. ჩემი ცხოვრება სანტიაგოს ცხოვრებაზე ლამაზია! დღეიდან მე ბუნდესლიგას ვუყურებ!

ფრანც-იოზეფ ვაგნერი,
BILD

გერმანია. ბუნდესლიგა. საზაფხულო ტრანსფერები

# ბაიერნი და დანარჩენები

**შტუტგარტი**

**მივიდნენ:** გლედსონი (ჰანზა), სილვიო მაისნერი (კაიზერსლაუტერნი, განათხოვრებული იყო), რაფაელ შეფერი (ნიურნბერგი), ილდირაი ბაშთურქი (ჰერტა), გეორგეს მანდჯეკი (კაჯი სპორტ დუალა), იოჰანეს რანი (კობლენცი), კრისტიან ტრეში (მიუნხენ 1860), დანიელ ლიუბოჟა (ჰამბურგი, განათხოვრებული იყო), ევერტონი (სარაგოსა, არენდით), ჩიპრიან მარიკა (შახტარი).

**წავიდნენ:** იონ დალ ტომასონი (ვილიარეალი), მარკო შტრელერი (ბაზელი), მარკუს ბაბელი (კარიერა დაასრულა), დანიელ ბიროფკა (მიუნხენ 1860), დირკ ჰაინენი (?), ჰაიკო გერბერი (ინგოლშტადტი), ტიმო ჰილდებრანდი (ვალენსია), მარკო კალიგიური (ფიურტი), ელსონი (გოია, არენდა), მარიო კარევიჩი (ლოკერენი), კრისტიან გენტნერი (ვოლფსბურგი, არენდა).

**შალკე**

**მივიდნენ:** ჰაიკო ვესტერმანი (არმინია), ჯერმენ ჯონსი (აინტრახტი), მათიას შობერი (ჰანზა), ივან რაკიტიჩი (ბაზელი), ბენედიქტ ჰიოვედესი (მოყვარულებიდან), მათიას აბელი (ჰამბურგი, განათხოვრებული იყო), მიმუნ აზაუაგი (მაინცი, განათხოვრებული იყო).

**წავიდნენ:** ლინკოლნი (გალათასარაი), ჰამით ალთინთოფი (ბაიერნი), ტიმ ჰოოგლანდი (მაინცი), დენის ლამჟიკი (კასელი), ნიკო ბუნგერტი (ოფენბახი), მიხაელ დელურა (პანიონიოსი).

**ვერდერი**

**მივიდნენ:** კარლოს ალბერტო (კორინთიანსი), ლეონ ანდრეასენი (მაინცი, განათხოვრებული იყო), ნიკო პელატცი (ჰერტა), კევინ არტმანი, მარტინ ჰარნიკი, კევინ შინდლერი (ყველა მოყვარულებიდან), ფრენსის ბანეკი (ბრაუნშვაიგი, განათხოვრებული იყო), ჯონ მოსკერა (ბურგჰაუზენი, განათხოვრებული იყო), ბოუბაკარ სანოგო (ჰამბურგი), დუშკო ტოშიჩი (სოშო).

**წავიდნენ:** მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), ანდრეას რაინკე (?), კასპერ იენსენი (კარლ ცაისი), სებასტიან შახტენი (ბორუსია მ.), ჯერომ პოლენცი (ალემანია).

**ბაიერნი**

**მივიდნენ:** ჰამით ალთინთოფი (შალკე), ხულიო დოს სანტოსი (ვოლფსბურგი, განათხოვრებული იყო), მარსელ იანსენი (ბორუსია მ), ფრანკ რიბერი (მარსელი), იან შლაუდრაფი (ალემანია), ხოსე ერნესტო სოსა (ესტუდიანტესი), ლუკა ტონი (ფიორენტინა), ზე რობერტო (სანტოსი), მიროსლავ კლოზე (ვერდერი), თომას კრაფტი (ბაიერნი II).

**წავიდნენ:** კლაუდიო პისარო (ჩელსი), ჰასან სალიჰამიჯიჩი (იუვენტუსი), მეჰმეთ შოლი (კარიერა დაასრულა), ოუენ ჰარგრივსი (მანჩესტერი), ალი ქარიმი (ყატარ სპორტს კლუბი), როი მაკაი (ფეიენოორდი), ანდრეას გიორლიტცი (კარლსრუე, არენდა), როკე სანტა კრუსი (ბლექბერნი), ხულიო დოს სანტოსი (ალმერია).

**ჰერტა**

**მივიდნენ:** იაროსლავ დრობნი (ბოხუმი), პასკალ ბილერი (როტ ვაის ესენი, განათხოვრებული იყო), სოლომონ ოკორონკვო (როტ ვაის ესენი, განათხოვრებული იყო), ლუკაშ პიჟჩეკი (ზაგლებიე), ლუსიო კარლოსი (გრემიო).

**წავიდნენ:** ელერი კაირო (ქოვენთრი), აშკან დეჟაგა (ვოლფსბურგი), ანდრეას ნოიენდორფი (ინგოლშტადტი), რობერტ შიულერი (კარლ ცაისი), ილდირაი ბაშთურქი (შტუტგარტი), ნიკო პელატცი (ვერდერი), კევინ ელეგაარდი (რენდერსი), დიკ ვან ბურიკი (?), კრისტოფერ შორხი (რეალი), კრისტიან ხიმენესი (დეპორტივო/მექსიკა), კევინ-პრინს ბოატენგი (ტოტენჰემი).

**ლევერკუზენი**

**მივიდნენ:** საშა დუმი (ალემანია, განათხოვრებული იყო), თეოფანის გეკასი (ბოხუმი), ჰანს ადუ შარპეი (ვოლფსბურგი), არტურო ვიდალი (კოლო კოლო), ლუკას სინკიევიჩი (კიოლნი), მანუელ ფრიდრიხი (მაინცი), ვრატისლავ გრეშკო (ნიურნბერგი), რიკარდო ფატი (რომა), ერიკ დომაშკე (ლევერკუზენი II), ატანას კურდოვი (ლევსკი).

**წავიდნენ:** როკე ჟუნიორი (?), ატირსონი (ბოტაფოგო), ჟუანი (რომა), ანდრეი ვორონინი (ლივერპული), ფრედრიკ შტენმანი (გრონინგენი), ჰანს-იორგ ბუტი (ბენფიკა), აჰმედ მადუნი (?), ალექსანდერ მაიერი (დუისბურგი), მარკო ბაბიჩი (ბეტისი), პიერ დე ვიტი (ოსნაბრიუკი).

**ნიურნბერგი**

**მივიდნენ:** ანგელოს ხარისტეასი (ფეიენოორდი), ნიკი ადლერი (მიუნხენ 1860), ლარს იაკობსენი (კოპენჰაგენი), პეერ კლუგე (ბორუსია მ), ზვიეზდან მიშიმოვიჩი (ბოხუმი), იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), რალფ შმიდტი (კარლ ცაისი, განათხოვრებული იყო), ლუკას კლინგი (აუგსბურგი), მიხაელ კამერმაიერი (ნიურნბერგი II), დარიო ვიდოშიჩი (ქუინსლენდი).

**წავიდნენ:** იან პოლაკი (ანდერლეხტი), ვრატისლავ გრეშკო (ლევერკუზენი), რაფაელ შეფერი (შტუტგარტი), მარკუს შროთი (მიუნხენ 1860), თომას პაულუსი (აუე), ივიცა ბანოვიჩი (ფრაიბურგი), დინ ჰაფერნანი (მარინერსი), სებასტიან ჰუბერი (?), ჯერალდ სიბონი (ჰერენვენი).

**არმინია**

**მივიდნენ:** ოლივერ კირხი (ბორუსია მ), ლეონიდას კამპანტაისი (აეკ), შტეფან აიგნერი (ბურგჰაუზენი), როვენ ფერნანდესი, სიაბონგა ნკოსი (ორივე კაიზერ შიფსი/ს. აფრიკა), ფინ ჰოლზინგი (ბრაუნშვაიგი, განათხოვრებული იყო), რობერტ ტეშე, დანიელ რიმერი (ორივე არმინია II), ანდრე მიატოვიჩი (ფიურტი), მათიას ლანგკამპი (ვოლფსბურგი).

**წავიდნენ:** ჰაიკო ვესტერმანი (შალკე), ფატმირ ვატა (კობლენცი), კამილ ვაჩეკი (სიგმა), მარკ ციგლერი (ბორუსია დ), დენის აილჰოფი (კობლენცი), ტიმ დანებერგი (ბრაუნშვაიგი), პასკალ ფორმანი (ზაარბრიუკენი).

**ბორუსია**

**მივიდნენ:** რობერტ კოვაჩი (იუვენტუსი), მლადენ პეტრიჩი (ბაზელი), იაკუბ ბლაჟჩიკოვსკი (ვისლა), დელრონ ბაკლი (ბაზელი, განათხოვრებული), ჯოვანი ფედერიკო (კარლსრუე), მარკ ციგლერი (არმინია), დანიელ გორდონი (ბორუსია II), დიეგო კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი).

**წავიდნენ:** ბერნდ მაიერი (კარიერა დაასრულა), კრისტოფ მეტცელდერი (რეალი), კოსი საკა (ჰამბურგი), სიორენ პირსონი (როტ-ვაის ესენი), მეთიუ ამოა (ბრედა), ნური შაჰინი (ფეიენოორდი, არენდა), სტივენ პიენაარი (ევერტონი, არენდა).

**კარლსრუე**

**მივიდნენ:** ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი), ტამას ჰაინალი (კაიზერსლაუტერნი), კრისტიან ტიმი (ფიურტი), შტეფან ბუკი (უნტერჰახინგი), კრისტოფერ რაინჰარდი (აინტრახტი), ანდრეას გიორლიტცი (ბაიერნი, არენდა).

**წავიდნენ:** იან მენერი (პადერბორნი), ჯოვანი ფედერიკო (ბორუსია დ), ირჟი კაუფმანი (აუე), საშა ტრაუტი (კობლენცი).

**აინტრახტი**

**მივიდნენ:** იუნიჩი ინამოტო (გალათასარაი), კრეშო ლიუბიჩიჩი (მოყვარულებიდან), მეჰდი მაჰდავიკია (ჰამბურგი), აარონ გალინდო (გრასჰოპერი).

**წავიდნენ:** ბენჯამინ ჰუგელი (ბაზელი), ჯერმენ ჯონსი (შალკე), კრისტოფერ რაინჰარდი (კარლსრუე), მარკო რემერი (?), დანიელ კიმენი (ოფენბახი).

**ჰანოვერი**

**მივიდნენ:** მაიკ ჰანკე (ვოლფსბურგი), თომას კლაინე (ფიურტი), გაეტან კრებსი (სტრასბური), სერჟიო პინტუ (ალემანია), ბენიამინ ლაუთი (ჰამბურგი), სალვატორე ძიცო (ლოს ანჯელესი).

**წავიდნენ:** ერინ იენდრიშეკი (კაიზერსლაუტერნი), ტიმო ნაგი (უნტერჰახინგი), რიკარდო სოუზა (ომონია), კრისტოფერ ანდერსონი (ჰელსინბორგი), დენიალ ჰაასი (ჰოფენჰაიმი), იოჰანეს დიტვალდი (?).

**ვოლფსბურგი**

**მივიდნენ:** აბუდა (ანტვერპენი, განათხოვრებული იყო), აშკან დეჟაგა (ჰერტა), იონას დოიმლანდი (ბავშვთა გუნდიდან), დანიელ რიხე (ვოლფსბურგი II), სერგიუ რადუ, ვლად მუნტეანუ (ორივე კოტბუსი), ედინ ჯეკო (ტეპლიცე), დანიელ ბაიერი (მიუნხენ 1860), საშა რიტერი (ფრაიბურგი), რიკარდო კოშტა (პორტუ), კრისტიან გენტნერი (შტუტგარტი, არენდა), ალექსანდერ ლაასი (ჰამბურგი), მარსელ შეფერი (მიუნხენ 1860), მამე შეიხ ნიანგი (მაროკა სუოლოვსი).

**წავიდნენ:** ტომ ვან დერ ლეეგტე (ეინდჰოვენი), ანდრეს დ'ალესანდრო (სარაგოსა), მარიან ხრისტოვი (?), მიროსლავ კარჰანი (მაინცი), ჰანს შარპეი (ლევერკუზენი), დიეგო კლიმოვიჩი (ბორუსია დ), მაიკ ჰანკე (ჰანოვერი), კევინ ჰოფლანდი (ფეიენოორდი), მათიას ლანგკამპი (არმინია), სტივ მიულერი (ლიუბეკი), მიხაელ შტეგმაიერი (კარლ ცაისი).

**კოტბუსი**

**მივიდნენ:** სტანისლავ ანგელოვი (ლევსკი), ეფსტათიოს ალონეფტისი, კრისტიან ბასილა (ორივე ლარისა), ოვიდიუ ბურკა (ბუქარესტი), კრისტიან იპსა (ვარაძინი), მიხაელ ლერხი (დრეზდენი), ტონი ვახსმუთი (კარლ ცაისი), მარტინ მენელი (კოტბუსი II), დენის სიორენსენი (მიდტიულანდი), დიმიტარ რანგელოვი (სტრასბური).

**წავიდნენ:** კევინ მაკენა (კიოლნი), სერგიუ რადუ, ვლად მუნტეანუ (ორივე ვოლფსბურგი), დანიელ გუნკელი (მაინცი), ბენიამინ შიოკელი (ვისბადენი), მარკუს ჰოფმანი (კარლ ცაისი), ლარს იუნგნიკელი (დრეზდენი).

**ბოხუმი**

**მივიდნენ:** მარკ პფერცელი (ლივორნო), როვენ შრიოდერი (ლიუბეკი), სტანისლავ სესტაკი (ჟილინა), დანი ფუხსი (ფიურტი), ფილიპ ჰეერვაგენი (უნტერჰახინგი), მერგიმ მავრაი (დარმშტადტი), ჰაინრიხ შმიდტგალი (ფერლი), მატიას კონჩა (დიურგარდენი), მარკ სანდი (კერნტენი), იან ლასტუვკა (შახტარი), მარჩინ მიჩიელი (პაოკ), ბენიამინ აუერი (კაიზერსლაუტერნი, განათხოვრებული იყო).

**წავიდნენ:** იაროსლავ დრობნი (ჰერტა), ზვიეზდან მიშიმოვიჩი (ნიურნბერგი), თეოფანის გეკასი (ლევერკუზენი), ჰაიკო ბუტშერი (ფრაიბურგი), ფაბიო ჟუნიორი (აპოელი), დავიდ პალასი (?), დარიუშ ვოში (კარიერა დაასრულა), ალექსანდერ ბადე (პადერბორნი), პეტერ სკოვ-იენსენი (?), დანიელ იმჰოფი (?), იორის ვან ჰუტი (ვესტერლო), ფილიპ ტროიანი (ზტ. პაული), თომას რათგებერი (უნტერჰახინგი, არენდა), ბენიამინ ლენზე (ჰანზა).

**დუისბურგი**

**მივიდნენ:** აილტონი (ცრვენა ზვეზდა), მანასე იშიაკუ (ბრიუგე), ფერნანდო სანტოსი (ფლამენგო), მარსელ ჰერცოგი (შაფჰაუზენი), მაიკონი (მადურეირა), საშა მიოლდერსი (დუისბურგი II), სიმონ ტეროდე (ბავშვთა გუნდიდან), ბლაგოი გეორგიევი (ცრვენა ზვეზდა), ალექსანდერ მაიერი (ლევერკუზენი), ტომ შტარკე (პადერბორნი), კრისტიან ტიფერტი (ზალცბურგი), მიხაელ ლამეი (ეინდჰოვენი).

**წავიდნენ:** ალექსანდერ ბუგერა (კაიზერსლაუტერნი), კარსტენ უოლტერსი (დუისბურგი II), კაი კიოტკა (ბრაუნშვაიგი), გეორგ კოხი (ზაგრები), კუიდო ლანდზაატი (ცსკა, სოფია).

**ჰანზა**

**მივიდნენ:** ორესტეს ჟუნიორ ალვეში (ნავალი), შტეფან ვეხტერი (ჰამბურგი), რაიან გიაკი (შეფილდი), სიმონ ტიუფტინგი, ადუვაკუ მენგა (ორივე ოსნაბრიუკი), ფინ ბალტერსი (ჰოლშტაინ კილი), ბენიამინ ლენზე (ბოხუმი), ჰით პირსი (ნორდსიელანდი).

**წავიდნენ:** გლედსონი (შტუტგარტი), მათიას შობერი (შალკე), კევინ ჰანსენი (აუე), ანტონ მიულერი (?), კიმ მადსენი (?), დირკ იონელატი (ბაბელსბერგი), მარტინ პოლი (როტ-ვაის ერფიურტი), მიხაელ ჰარტმანი (ჰანზა II).

**ჰამბურგი**

**მივიდნენ:** მოჰამედ ზიდანი (მაინცი), მიშო ბრეკო (აუე, განათხოვრებული იყო), მუსტაფა კუჩუკოვიჩი (ფიურტი), კოსი საკა (ბორუსია დ), სებასტიან ლანგკამპი (ბაიერნი II), ერიკ-მაქსიმ ჩუპო-მოტინგი (ჰამბურგი II), რომეო კასტელენი (ფეიენოორდი).

**წავიდნენ:** მათიას აბელი (შალკე), რენე კლინგბაილი (?), საშა კირშშტაინი (ფიურტი), დანიელ ლიუბოჟა (შტუტგარტი), შტეფან ვეხტერი (ჰანზა), მეჰდი მაჰდავიკია (აინტრახტი), ბესარტ ბერიშა (ბარნლი), ბენიამინ ლაუთი (ჰანოვერი), ოლივერ ჰამპელი (ფორტუნა), ბორის ლეშინსკი (უნტერჰახინგი), ალექსანდერ ლაასი (ვოლფსბურგი), ბოუბაკარ სანოგო (ვერდერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. სეზონის წინ. მარიო ბასლერის ექსპერტიზა. ბოლო წერილი

# ეს ყველა დროის საუკეთესო ბაიერნია!

## ნუთუ, ვინმეს ეჭვი ეპარება იმაში, რომ ვერცხლის სინი მიუნხენში დაბრუნდება?

იცით, რა მაინტერესებს ყველაზე მეტად? როგორი სახე ექნება **ული ჰიონესს**, ბოლო ტურის ბოლო მატჩში, როცა მსაჯი საფინალო სასტვენს მისცემს, "ბაიერნი" ჩემპიონი რომ არ იყოს. მაგრამ ეს შეუძლებელია... ასეთი რამ მხოლოდ ულის კოშმარულ სიზმარში თუ მოხდება, რომლის შემდეგაც, "ბაიერნის" მენეჯერი ოფლში გაწურული გაიღვიძებს და კმაყოფილი იტყვის, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო...

"ვერცხლის სინი" მიუნხენში დაბრუნდება, ეს ამთავითვე ცხადია და სხვა ყველაფერი მხოლოდ ოცნებაა და მეტი არაფერი. ჰო, მიუნხენურ გიგანტს გერმანიის თასის პირველ ეტაპზე გამარჯვება ძალიან გაუჭირდა, მაგრამ როცა "ბაიერნი" გქვია და რეგიონალლიგის წარმომადგენელ "ბურგჰაუზენს" ეთამაშები, ცხადია, რომ კონცენტრირებული არ ხარ. რეკორდმაისტერი კონცენტრირებული რომ ყოფილიყო, იმ მატჩში 1:1 კი არა, 10:1 დაფიქსირდებოდა. მინიმუმ!

...და შაბათს, კონცენტრაცია აუცილებლად იქნება! მე კი ახლავე ვიტყვი: ღამე მშვიდობისა, "ჰანზა"! როსტოკიდან მიუნხენამდე ხომ ძალიან შორია...

ცოტა სასაცილოა, **ფრანც ბეკენბაუერი** რომ ამბობს, ტიტულს იოლად არავინ დაგვითმობსო. კარგი რა, ფრანც! ორივემ ვიცით, რა და როგორ იქნება! "ვერცხლის სინს" პატრონი ამჯერად არა ბოლო ტურში, არამედ გაცილებით ადრე გამოუჩნდება. "ბაიერნის" უპირატესობა ბოლო ტურის შემდეგ? მინიმუმ 10 ქულა! ჩემთვის წარმოუდგენელია, რა უნდა გააკეთონ სხვა გუნდებმა ისეთი, რეკორდმაისტერს ჩემპიონობა რომ არ დაანებონ.

**რიბერი, ტონი, კლოზე, ზე რობერტო, სოსა, იანსენი** - შურით გასკდომამდე მისულმა ჰიონესმა "ბაიერნს" სული უყიდა! დაუჯერებელია, რომ ამდენი ფული დახარჯა. ვფიქრობ, ეს მისი პირადი ექიმის დამსახურებაა, რომელმაც ალბათ უთხრა, ჰერ ჰიონეს, ან თავს რაღაც კარგის უფლებას მისცემთ, თუ არა და, მომავალ სეზონში თქვენი თავი იმდენად წითელი იქნება, რომ ყველა იფიქრებს, ან ახლა გასკდება, ან ახლაო.

რიბერი ნამდვილი სასწაულია მარცხენა ფლანგზე. ის დაახლოებით ისეთივეა, როგორიც მე ვიყავი, ოღონდ, გაცილებით მეტს დარბის (მე ხომ დღეში ერთ კოლოფ "მალბოროს" ვეწეოდი). ვინც პერსონალურად რიბერის წინააღმდეგ ითამაშებს, ბურთს მხოლოდ ჯარიმების დროს, ცოცხალ კედელში მდგომი თუ შეეხება, ისიც, თუ გაუმართლა...

**ლუკა ტონი** კი ჩემთვის ყველაზე სენსაციური ტრანსფერია. როცა მსოფლიოს ჩემპიონი გამოჯანმრთელდება, ყველას დაგვანახებს, რა და როგორ უნდა აკეთოს თანამედროვე თავდამსხმელმა. ტონის მაქსიმალურზე მაღალ შეფასებას ვუწერ! კლოზეს ტრანსფერიც 100 პროცენტით გამართლებულია, რადგან მირომ "ვერდერში" იმდენი რამ მიჰქარა, რომ უნდა წასულიყო, სხვა გზა არ ჰქონდა. მეორე ტურში "ბაიერნი" ბრემენში ჩადის და კლოზეს იქ ჯოჯოხეთი ელოდება. არა უშავს, ხომ დააშავა? ჰოდა, უნდა აზღვევინონ კიდეც.

მაგრამ კლოზეს არაფერი გაუჭირდება, რადგან გვერდით ნამდვილი ქილერები ჰყავს. პირველი მათგანი **ვან ბომელია**. ოჰ, რომ იცოდეთ, როგორ მომწონს ასეთი დამპალი ფეხბურთელები! არადა, ასეთები ყველას ეჯავრება. პროვოკატორები ფეხბურთში საჭიროა, ისინი ყველა გუნდს სჭირდება - იმისთვის, რომ მოწინაალმდეგეს შიშისა და ზიზღისგან თმები ყალყზე დაუდგეს! თუკი ვან ბომელი მეტოქე ფეხბურთელებისთვის კვერცხებზე ხელის მოჭერას თავს დაანებებს, მაშინ ის "ბაიერნის" ახალი **ეფენბერგი** იქნება - სრულყოფილი შეფი. მეორე ქილერი კი **კანია**...

ჰიტცფელდი ერთ რამეს დროულად მიხვდა: ოტმარს **ლუსიო** უნდა შეეჩერებინა! რაკი ბრაზილიელს წინ წასვლა აეკრძალა, ახლა რეკორდმაისტერს კარგი, სტაბილური დაცვა ეყოლება. საერთოდ, ჰიტცფელდი გენიალური მწვრთნელი და გენიალური ადამიანია.

ეს ყველა დროის საუკეთესო "ბაიერნი" გახლავთ, რომელიც ბუნდესლიგასთან ერთად, ალბათ გერმანიის თასსაც მოიგებს და უეფას თასსაც. ერთადერთი, ვინც რეკორდმაისტერში ვერ გაიხარებს, **იან შლაუდრაფია**, აახენიდან ჩამოსული კაცი. ამ ბიჭს გულით ვუთანაგრძნობ - ის ჰიონესის ერთადერთი შეცდომაა...

**მარიო ბასლერი, BILD**

| ბასლერის პროგნოზი |
| --- |
| 1. ბაიერნი |
| 2. შალკე |
| 3. ვერდერი |
| 4. შტუტგარტი |
| 5. ჰამბურგი |
| 6. ლევერკუზენი |
| 7. ბორუსია |
| 8. ნიურნბერგი |
| 9. ჰანოვერი |
| 10. ვოლფსბურგი |
| 11. ჰერტა |
| 12. კარლსრუე |
| 13. არმინია |
| 14. აინტრახტი |
| 15. ბოხუმი |
| 16. კოტბუსი |
| 17. ჰანზა |
| 18. დუისბურგი |

## ბექჰემის უიღბლო დებიუტი

გუშინ, **დევიდ ბექჰემს** MLS-ში ოფიციალური დებიუტი ჰქონდა. თუმცა ის ვერ გამოვიდა ისეთი, როგორსაც დევიდი და მისი "ლოს ანჯელეს გალაქსი" ისურვებდნენ. "გალაქსიმ" "ვაშინგტონთან" 0:1 წააგო. ბექჰემი თამაშში 72-ე წუთიდან ჩაერთო. მაყურებელი მას ფეხზე ამდგარი შეეგება. მოგეხსენებათ, ბექჰემა პირველად 21 ივლისს, "ჩელსისთან" ამხანაგურ მატჩში ითამაშა. მაგრამ ეს მხოლოდ საჩვენებელი გამოსვლა იყო. ახლა ის მზად არის, "გალაქსისთვის" მთელი თავისი შესაძლებლობები გაიღოს.

## ტაკინარდი ბრეშასკენ, რიგანო ლივორნოში

"იუვენტუსის" ექსნახევარმცველმა **ალესიო ტაკინარდიმ** "ბრეშას" მიაშურა. მას "ვილიარეალში" 18-თვიანი არენდა დაუმთავრდა და მერე ტურინულ გრანდთანაც გაწყვიტა კონტრაქტი. "ბრეშა" ადასტურებს, რომ 32 წლის ფეხბურთელს 2-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა.

კიდევ ერთი იტალიური ტრანსფერი. "ლივორნომ" თავდასხმა **კრისტიან რიგანოთი** გააძლიერა. 33 წლის ფორვარდი ბოლო სეზონში "მესინის" ღირსებას იცავდა, სადაც 27 მატჩში 19 გოლის გატანა მოახერხა.

## ჩილე და ბიელსა გადაწყვეტილია

გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ არგენტინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **მარსელო ბიელსა** ჩილეს ეროვნულ გუნდში იმუშავებს. ამ პოსტზე ის **ნელსონ აკოსტას** შეცვლის. ბიელსა ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე უხელმძღვანელებს. ბედის ირონიით, მისი ოფიციალური დებიუტი სწორედ არგენტინასთან შესარჩევ მატჩში შედგება. ეს შეხვედრა 13 (ან 14) ოქტომბერს ბუენოს-აირესში გაიმართება.



კარლოს ტევესი

მანჩესტერ იუნაიტედი

# ტევესი უკვე ოფიციალურად

**კარლოს ტევესის** გაჭიანურებული სატრანსფერო საგა, გუშინ ოფიციალურად დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ 23 წლის არგენტინელი ფორვარდი "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად ლამის ერთი კვირაა ვარჯიშობს, კონტრაქტზე ხელი ჯერ არ ჰქონდა მოწერილი. "ვესტ ჰემთან" პრინციპული შეთანხმება მიღწეული კი იყო, მაგრამ ჩახლართული საქმის დეტალები მაინც დაზუსტებას საჭიროებდა. გუშინ ესეც მოგვარდა და უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტევესი "წითელი ეშმაკია". ის თავისუფალი აგენტი გახდა მას შემდეგ, რაც მისმა წარმომადგენელმა **კია ჯურაბჩიანმა** "ვესტ ჰემს" 2 მილიონი გირვანქა გადაუხდა, თავად ჯურაბჩიანი კი "მანჩესტერისგან" 10 მილიონ გირვანქას მიიღებს, შესაბამისად, ფეხბურთელი უკვე "მენიუს" საკუთრება გახდება. ტევესი ინგლისის ჩემპიონთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს...

ერთი სიტყვით, არგენტინელს უფლება აქვს, უკვე კვირას "რედინგის" წინააღმდეგ ითამაშოს, თუმცა უფრო მოსალოდნელია, რომ ტევესს დებიუტი 19 აგვისტოს, მანჩესტერულ დერბიში ექნება. სერ **ალექს ფერგიუსონი** ბედნიერი და გაკვირვებულია: *"კარლოსმა ვარჯიშებზე ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, მას მოსამზადებელი პერიოდის დიდი ნაწილი ჩაუვარდა, მაგრამ ის იმდენად ნიჭიერია, მოკლე პერიოდში კარგ კონდიციებს მიაღწია".*

გამოხმაურება

# პლატინი: დომენეკი დაისჯება...



პლატინიმ დომენეკს თითი დაუქნია

**რაიმონ დომენეკის** ბოლო ინტერვიუ სკანდალის მიზეზი გახდა. "ლე პარიზიენთან" საუბარში საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა იტალიელებს თამაშების ჩაწყობაში დასდო ბრალი. მან გაიხსენა სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ეტაპი და კერძოდ, საფრანგეთისა (რომლის მწვრთნელი მაშინ სწორედ დომენეკი გახლდათ) და "სკუადრა აძურის" 21-წლამდელთა მატჩი, რომელშიც არბიტრი ვითომ მეტოქეს მიემხრო. დომენეკი პირდაპირ აცხადებს, რომ იტალიელებს რეფერი ნაყიდი ჰყავდათ. აქედან გამომდინარე, ის შიშობს, რომ 8 სექტემბერს გასამართ ევრო 2008-ის შესარჩევ შეხვედრას, რომელშიც იტალიამ საფრანგეთს უნდა უმასპინძლოს, მსაჯები გააფუჭებენ...

ცხადია, დომენეკის განცხადებას იტალიელთა მხრიდან მკაცრი რეაქცია მოჰყვა. ფედერკალჩო ფიფასა და უეფასგან დომენეკის დასჯას მოითხოვს. ფრანგი სპეციალისტის ინტერვიუს **მიშელ პლატინიც** გამოეხმაურა. უეფას პრეზიდენტმა "ეკიპისთვის" მოკლე კომენტარი გააკეთა:

*"თუ დომენეკი დასაბუთებულ არგუმენტებს ვერ მოიყვანს, ის აუცილებლად დაისჯება. ჩვენ გავუგზავნით წერილს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას და მოვთხოვთ მას ახსნა-განმარტებას მწვრთნელის გამონათქვამებთან დაკავშირებით. ჩვენ გავაფრთხილებთ მათ, რომ თუ ვერ წარმოადგენენ შესაბამის საბუთს, ნაკრების მწვრთნელის მიმართ მკაცრ სანქციას გავატარებთ".*



რეალის სამიზნეში რიკარდო კვარეშმაცაა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# მილანი: ემერსონი მომავალ კვირაში?

## რეალი: თუ რობენი არ გამოვა, მაშინ კვარეშმა

როგორც იტალიური სააგენტოები გვამცნობენ, მომავალ კვირაში **ემერსონი** "მილანში" ამოჰყოფს თავს. ამაზე საუბარი ადრეც იყო, მაგრამ "როსონერის" მესვეურთა ბოლო განცხადებებმა, ჩვენთვის ბაზარი უკვე დახურულიაო, ბრაზილიელი ნახევარმცველის თემა უკანა პლანზე გადაწია, მაგრამ, ეტყობა, დროებით...

როგორც ჩანს, "მილანი" არ ეშვება ხმაურიანი ტრანსფერის იდეას. უკვე აშკარაა ისიც, რომ "პუმა" (ემერსონის მეტსახელი) **ბერნდ შუსტერის** გეგმებში არ მოიაზრება. ამბობენ კიდეც, რომ ემერსონისთვის მწვრთნელს ეს პირდაპირ უთქვამს და დაუყოლებია - ახალი სამსახური ეძებეო. "როსონერის" გენერალური მენეჯერი **არიედო ბრაიდა** ემერსონის აგენტ **ჟილმარ ველოზუს** მილანში შეხვედრია. საქმე ისაა, რომ სეუ ველოზუ **ალეშანდრე პატოს** წარმომადგენელიც გახლავთ. შეხვედრა კი მაშინ შედგა, როცა "მილანმა" ახალგაზრდა ბრაზილიელს კონტრაქტი გაუფორმა...

ემერსონთან მორიგების სცენარი კი ამგვარი გახლავთ: "მილანი", 1.4 მილიონი გირვანქის საფასურად, ერთწლიან არენდას მოითხოვს, ხოლო სეზონის ბოლოს "რეალს" უკვე 4.2 მილიონს გადაუხდის, ფეხბურთელის სრულად გამოსყიდვისთვის კი 7 მილიონი იქნება საჭირო.

რაკი "რეალი" ვახსენეთ, აქვე გეტყვით, რომ სამეფო კლუბს **არიენ რობენის** ტრანსფერის საქმეში მოულოდნელად პრობლემები შეექმნა. **რამონ კალდერონი** შეშფოთებულია. ის სასწრაფოდ დაუკავშირდა აგენტ **ჟორჟე მენდეშს**, რომელიც "პორტუს" გარემარბ **რიკარდო კვარეშმას** წარმომადგენელი გახლავთ. "რეალს" რობენის ალტერნატივად სწორედ კვარეშმა მიაჩნია. მაგრამ აქაც, პრობლემას ფასი ქმნის. "პორტუმ" ფეხბურთელში 40 მილიონი ევრო მოითხოვა, ზუსტად იმდენი, რამდენსაც "ჩელსი" ითხოვდა რობენში. ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან.

ამხანაგური მატჩები

# რეალი აგებს, მილანიც...

შუა კვირაში რამდენიმე საინტერესო ამხანაგური მატჩი გაიმართა. ცხადია, ჩვენი ყურადღება გრანდებისკენაა მიპყრობილი. მას შემდეგ, რაც ტერესა ერერას თასზე "რეალმა", **რობინიოს** მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლით, ძლივს მოახერხა მოკრძალებული პორტუგალიური "ბელენენსეშის" დამარცხება, ოთხთა ტურნირის ფინალურ შეხვედრაში თავად წააგო "დეპორტივოსთან" - 1:2. ანგარიში ლაკორუნიელებმა გახსნეს. პირველი ტაიმის მიწურულს გოლი **რიკიმ** გაიტანა. მეორე ნახევრის პირველივე წუთზე **ჟულიო ბაპტიშტამ** წონასწორობა აღადგინა, თუმცა ორ წუთში, **ვერდუს** გოლით, "დეპორტივო" კვლავ წინ გაიჭრა, ანგარიში ბოლომდე შეინარჩუნა და თასსაც დაეუფლა.

რეალი: **დუდეკი, მიჩელ სალგადო, რამოსი (46. პეპე), აგუსი, მარსელო, გაგო (60. ბალბოა), დე ლა რედი, სისინიო (76. ბუენო), ადრიანი (60. სავიოლა), ჟულიო ბაპტიშტა, სოლდადო.**

▪ ▪ ▪

დამარცხდა კიდევ ერთი გრანდი. "მილანმა" **ექტორ კუპერის** "ბეტისთან" 1:0 წააგო. "რუის დე ლოპერაზე" მატჩს 55 ათასი მაყურებელი დაესწრო. **კარლო ანჩელოტიმ კახა კალაძე** ბოლომდე ათამაშა. ერთადერთი გოლი კი მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა. "მილანის" მეკარე **მარკო სტორარიმ** საჯარიმოში უხეშად ითამაშა **რაფაელ სობისის** წინააღმდეგ და **მარკ გონსალესმა** პენალტი ზუსტად შეასრულა. "როსონერი" ბოლო წუთამდე წვალობდა, **კლარენს ზეედორფმა, კაკამ** და **ალბერტო ჯილარდინომ** რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ "ბეტისი" თავს კარგად იცავდა.

*"ეს სასარგებლო ტესტი იყო,* - თქვა ნამატჩევს ანჩელოტიმ, - *მიუხედავად იმისა, რომ უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობთ, ჯერ ფორმაში არ ვართ. შედეგი, რა თქმა უნდა, ცუდია, მეტადრე იმ ფონზე, რომ გოლების გატანა შეგვეძლო. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ დაცვაში ბევრი შეცდომა დავუშვით, მთავარი კი გოლის მომენტში იყო. თუმცა წლის ამ დროს ამგვარი შეცდომები ნორმალურია. ჩემპიონატის დაწყებისთვის უკეთეს კონდიციებში ვიქნებით".*

მილანი: **დიდა (46. სტორარი), ოდო (46. კაფუ), ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი (46. სერჟინიო), გატუზო, პირლო (46. გურკუფი), ამბროზინი (65. ბროკი), ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო (82. ობემეიანგი).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. I ტურის წინ

# ისევ ორი გამოკვეთილი ფავორიტი?

## ახალი ტელეკონტრაქტი, რეკორდული შემოსავალი და რეკორდული დანახარჯიც: უმაღლესი დივიზიონის 20-მა კლუბმა ზაფხულის ტრანსფერებში 700 მილიონი დოლარი დახარჯა...

**დღეს**

ასტონ ვილა-ლივერპული
ბოლტონი-ნიუკასლი
დერბი-პორტსმუთი
ევერტონი-ვიგანი
მიდლსბრო-ბლექბერნი
სანდერლენდი-ტოტენჰემი
ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი

**ხვალ**

არსენალი-ფულჰემი
ჩელსი-ბირმინგემი
მანჩესტერ იუნ-რედინგი

პრემიერლიგის მე-16 სეზონი დღეს, "სანდერლენდისა" და "ტოტენჰემის" მატჩით გაიხსნება. მსოფლიოს უმდიდრესი საკლუბო ლიგა კიდევ უფრო მდიდარი გახდება, რადგან ამ სეზონთან ერთად, ძალაში შედის ახალი, სამწლიანი სატელევიზიო კონტრაქტი. ის ლიგას 1.706 მილიარდ გირვანქას მოუტანს. ამ თანხაში შედის შემოსავლები სატელევიზიო რეპორტაჟების გაყიდვიდან, ინტერნეტიდან და მობილური ტელეფონების ოპერატორებისგან. 1.7 მილიარდს დავუმატოთ უმთავრესი სპონსორის, "ბარქლეის" მიერ გადახდილი თანხაც და საბოლოოდ, კლუბი, რომელიც წლევანდელ ჩემპიონატს მოიგებს, 50 მილიონი გირვანქით გაისქელებს ჯიბეს. პრემიერლიგის მაჩანჩალა კლუბსაც კი ასტრონომიული თანხა, 26.8 მილიონი (50 მილიონ დოლარზე მეტი) შეხვდება. შედარებისთვის, "მანჩესტერ იუნაიტედმა" 90 დღის წინ მოპოვებული ტიტულისთვის 30.4 მილიონი გირვანქა მიითვალა.

"სანდერლენდი"-"ტოტენჰემი" პრემიერლიგის რიგით 5 947-ე მატჩია. წლევანდელი სეზონის პირველი გოლი ლიგის 15 464-ე გოლი იქნება. პრემიერლიგის პირველი გოლი **ბრაიან დინმა** 1992 წლის 15 აგვისტოს შეაგდო. მისმა "შეფილდ იუნაიტედმა" კი "მანჩესტერ იუნაიტედი" შინ 2:1 დაამარცხა. პრემიერლიგის 15 სეზონის მატჩებს178 მილიონი მაყურებელი დაესწრო. თამაშების რეპორტაჟები 200 ქვეყნის 500 მილიონმა მაყურებელმა ნახა. მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში ამაზე მეტი მაყურებელი არცერთ სხვა ლიგას არ ჰყოლია და ალბათ, კარგა ხანს არ ეყოლება.



ფერგიუსონი და მოურინიო: ისინი ისევ მეტოქეები არიან

როგორც ალვნიშნეთ, წინა გათამაშება 90 დღის წინ დასრულდა, დასრულდა "ვესტ ჰემთან" დაკავშირებული სკანდალური ისტორიით. კანონდარღვევით განხორციელებული ტრანსფერების გამო "ჩაქუჩები" სასწაულებრივად გადაურჩნენ ქვედა დივიზიონში გაძევებას. ახალ სეზონს მიმომხილველები და გულშემატკივრები დიდ იმედებს უკავშირებენ. არცთუ უსაფუძვლოდ. პრემიერლიგის კლუბებმა ზაფხულის ტრანსფერებში რეკორდულად დიდი თანხა, 350 მილიონი გირვანქა (710 მილიონი დოლარი) დახარჯეს. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა ფავორიტად კვლავ "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ჩელსის" ასახელებს.

გასულ უქმეებზე "იუნაიტედმა" სეზონის პირველი ჯილდო, "ქომიუნითი შილდი", იგივე ინგლისის სუპერთასი მოიპოვა. მან "ჩელსის" პენალტების სერიაში მოუგო. "ეშმაკები" ჩემპიონატს ხვალ, "რედინგთან" მატჩით გახსნიან. **სერ ალექს ფერგიუსონი** იმედოვნებს, რომ გათამაშებას ომახიანად დაიწყებს. შეგახსენებთ, გასული სეზონის პირველ ათ ტურში "მენიუმ" 25 ქულა დააგროვა და აკრეფილი ტემპი ბოლო ტურამდე არ დაუგდია.

ფერგი იმაზე ფიქრობს, თუ რომელი შემტევი სქემა დაუპირისპიროს ხვალინდელ მეტოქეს. "ჩელსის" ბოს **ჟოზე მოურინიოს** 16 ჯანმრთელი ფეხბურთელის შეგროვებაც კი პრობლემად ექცა. "არისტოკრატებიც" ხვალ ითამაშებენ. მათი მეტოქე პრემიერლიგაში დაბრუნებული "ბირმინგემ სიტია". საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ახალწვეულებს, **სტივ სიდველსა** და **ტალ ბენ ჰაიმს** ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ.

ფავორიტთა მატჩების გარდა, ყურადღებას იპყრობს "არსენალისა" და "ფულჰემის" ლონდონური დერბი. "არსენალი" მასპინძელია. მაყურებელი პირველად იხილავს საყვარელ გუნდს **ტიერი ანრის** შემდგომ ეპოქაში. პირველად ოფიციალურ მატჩში, თორემ ათიოდე დღის წინათ "არსენალმა" ძირითადი სპონსორის, "ემირიტსის" თასი მოიგო და ამას როტერდამის ტურნირის ოქროს მედლებიც მიაყოლა. საკონტროლო შეხვედრებში **არსენ ვენგერის** შეგირდებმა საუცხოო შთაბეჭდილება დატოვეს. ვნახოთ, რას იზამენ ისინი წლევანდელ ჩემპიონატში.

საინტერესო თამაშია სანდერლენდშიც. პრემიერლიგაში დაბრუნებული მასპინძლები ამბიციურ "ტოტენჰემს" შეხვდებიან. უმაღლეს დივიზიონში "სანდერლენდის" ბოლო სეზონი (2005-06 წწ) სრული ფიასკოთი დასრულდა. გუნდმა შინ პირველად ჩემპიონატის მიწურულს, მაისში მოიგო. "შავი კატების" თავკაცი **როი კინი** არ მალავს, რომ მხოლოდ ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლას არ აპირებს. "ტოტეჰემთან" მატჩი მისი ამბიციების გასაზომად მშვენიერი შანსია. "მამლები" ოთხეულსა და ჩემპიონთა ლიგის საგზურს უმიზნებენ. მათ შემადგენლობის გასაძლიერებლად 40 მილიონი გირვანქა დახარჯეს. მარტო "ჩარლტონს" თავდამსხმელ **დარენ ბენტის** სანაცვლოდ 16 მილიონი გირვანქა გადაუხადეს (შედარებისთვის, ტიერი ანრი "ბარსელონაში" 13 მილიონად გაიყიდა). "ტოტენჰემმა" მოსამზადებელ ეტაპზე ზედიზედ შვიდი მატჩი მოიგო. გუნდი სეზონს საუკეთესო კონდიციებში ხვდება.

ამბიციები არ აკლია ფერნანდო ტორესით გაძლიერებულ "ლივერპულს". დღეს ის "ასტონ ვილას" ესტუმრება. მერსისაიდელები ჩემპიონობაზე აცხადებენ პრეტენზიას, თუმცა სულ მალე გაირკვევა, რამდენად საფუძვლიანია მათი ამბიციები. "აპტონ პარკზე" ამბიციური "ვესტ ჰემი" **სვენ გორან ერიქსონის** "მანჩესტერ სიტის" დაუხვდება. ეს იქნება სვენის პირველი მატჩი ნისლიან ალბიონზე ინგლისის ნაკრებიდან უსახელოდ წასვლის შემდეგ. "ნიუკასლის" ახალი თავკაცი **სემ ელერდაისი** სეზონს მის ყოფილ კლუბ "ბოლტონთან" გასვლითი მატჩით გახსნის. "ევერტონი" "ვიგანს" მიიღებს, დებიუტანტი "დერბი" - პორტსმუთს, ხოლო **ზურაბ ხიზანიშვილის** "ბლექბერნი" "მიდლსბროს" ესტუმრება.

ინგლისი. პრემიერლიგა. საზაფხულო ტრანსფერები

# სარეკორდო სატრანსფერო სეზონი

**წინასამატჩო** მიმოხილვაში აღვნიშნეთ, რომ ამ ზაფხულს პრემიერლიგის კლუბებმა სარეკორდოდ დიდი თანხა, 350 მილიონი გირვანქა დახარჯეს. პირველად ბოლო წლების განმავლობაში მხარჯველთა შორის პირველი ადგილი "ჩელსის" აღარ უკავია. მასზე მეტი ფული გაიღეს "მანჩესტერ იუნაიტედმა", "ლივერპულმა" და, თქვენ წარმოიდგინეთ, "ტოტენჰემმა", "ვესტ ჰემმა" და "მანჩესტერ სიტიმაც" კი. ამაში თავად დარწმუნდებით, თუ ინგლისური ტრანსფერების სიას შეავლებთ თვალს.

### მანჩესტერ იუნაიტედი

მივიდნენ: ნანი (სპორტინგი, პორტუგალია, 25.5 მლნ), ანდერსონი (პორტუ, პორტუგალია, 31.5 მლნ), ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი, გერმანია, 25 მლნ), პიკე (სარაგოსა, არენდის ვადა დაუსრულდა), ბენ ფოსტერი (ოუტფორდი, არენდის ვადა დაუსრულდა), ტომაშ კუშჩაკი (ვესტ ბრომვიჩი), კარლოს ტევესი (ვესტ ჰემი)

ნავიდნენ: ტომ ჰოვარდი (ევერტონი, 4.5 მლნ), კირან რიჩარდსონი (სანდერლენდი, 8.2 მლნ), ალან სმიტი (ნიუკასლი, 9 მლნ), ჯუსეპე როსი (ვილიარეალი, 9.95 მლნ)

### ჩელსი

მივიდნენ: სტივენ სიდველი (რედინგი, უფასოდ), კლაუდიო პისარო (ბაიერნი, გერმანია, უფასოდ), ალექსი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია, არენდის ვადა დაუსრულდა), გლენ ჯონსონი (პორტსმუთი, არენდის ვადა დაუსრულდა), ტალ ბენ ჰაიმი (ბოლტონი, უფასოდ), ფლორან მალუდა (ლიონი, საფრანგეთი, 20 მლნ), ჯო კინანი (ვილემი, ჰოლანდია, არენდის ვადა დაუსრულდა)

ნავიდნენ: ნუნუ მორაიში (აპოელი, კვიპროსი, უფასოდ), ივ მაკაბა-მაკალამბი (ჰიბერნიანი, შოტლანდია, უფასოდ), ჯერემი ნჯიტაპი (ნიუკასლი, უფასოდ), ხალიდ ბულარუზი (სევილია, ესპანეთი, არენდით)

### ლივერპული

მივიდნენ: ლუკასი (გრემიო, ბრაზილია, 10 მლნ), ანდრეი ვორონინი (ბაიერი, გერმანია, უფასოდ), ნიკოლაი მიხაილოვი (ლევსკი, ბულგარეთი), ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო, ესპანეთი, 35 მლნ), იოსი ბენაიუნი (ვესტ ჰემი, 6 მლნ), რაიან ბაბელი (აიაქსი, ჰოლანდია)

**ნავიდნენ**: ფლორან სინამა-პონგოლი (რეკრეატივო, ესპანეთი, 4 მლნ), ლუის გარსია (ატლეტიკო, ესპანეთი, 6 მლნ), ბუდევეინ ზენდენი (მარსელი, საფრანგეთი, უფასოდ), კრეიგ ბელამი (ვესტ ჰემი, 11 მლნ), ჯიბრილ სისე (მარსელი, 9 მლნ), რობი ფაულერი (კარდიფი, უფასოდ), იეჟი დუდეკი (რეალი, ესპანეთი, უფასოდ)

### არსენალი

**მივიდნენ**: ლუკაშ ფაბიანსკი (ლეგია, პოლონეთი, 4.5 მლნ), ჰოვარდ ნორდვეიტი (ჰოგესუნდი, ნორვეგია, 3 მლნ), ედუარდო და სილვა (დინამო, ხორვატია, 13 მლნ), ბაკარი სანია (ოსერი, საფრანგეთი, 9 მლნ)

**ნავიდნენ**: მარტ პოომი (უოტფორდი), ჟულიო ბაპტიშტა (რეალი, ესპანეთი), არტურო ლუპოლი (ფიორენტინა, იტალია, უფასოდ), ჟერემი ალიადიერი (მიდლსბრო, 3 მლნ), ტიერი ანრი (ბარსელონა, ესპანეთი, 24 მლნ), ფაბრის მუამბა (ბირმინგემი), ფრედი ლიუნგბერგი (ვესტ ჰემი, 4.5 მლნ), კარლოს ველა (ოსასუნა, ესპანეთი, არენდა), ხოსე ანტონიო რეიესი (ატლეტიკო, ესპანეთი, 12 მლნ)

### ტოტენჰემი

**მივიდნენ**: როდრიგო დეფენდი (რომა, იტალია), გარეთ ბეილი (საუთჰემპტონი, 14.7 მლნ), ადელ ტაარაბტი (ლანსი, საფრანგეთი, 4 მლნ), დარენ ბენტი (ჩარლტონი, 24.75 მლნ), კევინ-პრინს ბოატენგი (ჰერტა, გერმანია, 7.4 მლნ)

**ნავიდნენ**: რეტო ციგლერი (სამპდორია, იტალია)

### ევერტონი

**მივიდნენ**: ტიმ ჰოვარდი (მანჩესტერ იუნაიტედი, 4.5 მლნ), ფილ ჟაგელკა (შეფილდ იუნაიტედი, 6 მლნ), ოიჰან ფოგელი (ბეტისი, ესპანეთი, უფასოდ)

**ნავიდნენ**: გარი ნეისმიტი (შეფილდ იუნაიტედი, 1.5 მლნ), რიჩარდ რაიტი (ვესტ ჰემი, უფასოდ), ალესანდრო პისტონე, დევიდ ბიტი (შეფილდ იუნაიტედი, 6 მლნ)

### ბოლტონი

**მივიდნენ**: ბლერიმ ჯემალი (ციურიხი, შვეიცარია), ჯერალდ სი (ბორდო, საფრანგეთი), ჯეი ლოიდ სემუელი (ასტონ ვილა), გევინ მაკენი (ასტონ ვილა, 1.5 მლნ), ჰეიდარ ჰელგუსონი (ფულჰემი, 2.85 მლნ), კრისტიან ვილჰელმსონი (ნანტი, საფრანგეთი, 500 ათასი)

**ნავიდნენ**: სესარ მარტინი, დევიდ ტომპსონი, კუინტონ ფორჩუნი, ჰენრიკ პედერსენი, ტალ ბენ ჰაიმი (ჩელსი, უფასოდ)

### რედინგი

**მივიდნენ**: კალიფა სისე (ბოავიშტა, პორტუგალია, 1.5 მლნ), ანდრე ბიკეი (ლოკომოტივი, რუსეთი, 1.5 მლნ), ემერს ფაე (ნანტი, საფრანგეთი, 4.5 მლნ)

**ნავიდნენ**: სტივენ სიდუელი (ჩელსი, უფასოდ), გრეგ ჰალფორდი (სანდერლენდი, 5.2 მლნ), პეტერ მატე (დებრეცენი, უნგრეთი)

### პორტსმუთი

**მივიდნენ**: ანდრეა გუატელი (ციურიხი, შვეიცარია), მბესუმა (მარიტიმუ, პორტუგალია), სილვენ დისტენი (მანჩესტერ სიტი, უფასოდ), ჰერმან ჰრეიდარსონი (ჩარლტონი, უფასოდ), მუნტარი (უდინეზე, იტალია, 10 მლნ), ჯონ უტაკა (რენი, საფრანგეთი, 10 მლნ)

**ნავიდნენ**: დუალა (სპორტინგი, პორტუგალია), გლენ ჯონსონი (ჩელსი, არენდის ვადა დაუსრულდა), არნოლდ მვუემბა (რენი, საფრანგეთი), ნვანკვო კანუ, სვეტოსლავ ტოდოროვი (ჩარლტონი, უფასოდ), ენდი გრიფინი (დერბი)

### ბლექბერნი

**მივიდნენ**: გუნარ ნილსენი (ფრემ კოპენჰაგენი, დანია), მასეო რიტგერსი (ნაკ ბრედა, ჰოლანდია, 1.2 მლნ), როკე სანტა კრუსი (ბაიერნი, გერმანია, 5 მლნ)

**ნავიდნენ**: ენდი ტოდი (დერბი ქაუნთი, 650 ათასი)

### ასტონ ვილა

**მივიდნენ**: ნაიჯელ რეო-კოკერი (ვესტ ჰემი, 12.5 მლნ), მარლონ ჰარვუდი (ვესტ ჰემი, 5.5 მლნ)

**ნავიდნენ**: ჯეი ლოიდ სემუელი (ბოლტონი), გევინ მაკენი (ბოლტონი, 1.5 მლნ), აარონ ჰიუზი (ფულჰემი, 1.5 მლნ), კრის სატონი (კარიერა დაასრულა), სტივენ დევისი (ფულჰემი), ლაიამ რიდჯუელი (ბირმინგემი, 3 მლნ)

### მიდლსბრო

**მივიდნენ**: ჯონათან ვუდგეიტი (რეალი, ესპანეთი, 10 მლნ), ჟერემი ალიადიერი (არსენალი, 3 მლნ), თუნჯაი სანლი (ფენერბაჰჩე, უფასოდ), ლუკ იანგი (ჩარლტონი, 2.5 მლნ)

**ნავიდნენ**: აბელ შავიერი (ლოს ანჯელეს გელაქსი, ამერიკა, უფასოდ), სტიუარტ პერნაბი (ბირმინგემი, უფასოდ), მარკ ვიდუკა (ნიუკასლი, უფასოდ), მალკოლმ კრისტი

### ნიუკასლი

**მივიდნენ**: ჯონ ბარტონი (მანჩესტერ სიტი, 8.6 მლნ), მარკ ვიდუკა (მიდლსბრო, უფასოდ), დევინ როზენალი (პსჟ, საფრანგეთი, 4.5 მლნ), ჯერემი ნჯიტაპი (ჩელსი, უფასოდ), ალან სმიტი (მანჩესტერ იუნაიტედი, 9 მლნ), კლაუდიო კასაპა (ლიონი, საფრანგეთი, უფასოდ), ხოსე ენრიკე (ვილიარეალი, ესპანეთი, 6 მლნ)

**ნავიდნენ**: ოგუჩი ონიუევე (სტანდარდი, ბელგია), ტიტუს ბრამბლი (ვიგანი, უფასოდ), კრეიგ მური, ოლივიე ბერნარი, პაველ სრნიჩეკი, სკოტ პარკერი (ვესტ ჰემი, 10.3 მლნ), ანტუან სიბიერსკი (ვიგანი, უფასოდ), ალან ობრაიენი (ჰიბერნიანი, შოტლანდია)

### მანჩესტერ სიტი

**მივიდნენ**: კელვინ უტუჰუ (როჩდეილი), ჯოვანი (კრუზეირო, ბრაზილია), ხელსონ ფერნანდესი (სიონი, შვეიცარია, 5.5 მლნ), როლანდო ბიანკი (რეჯინა, იტალია, 13 მლნ), მარტინ პეტროვი (ატლეტიკო, ესპანეთი, 7 მლნ), ელანო (შახტიორი, უკრაინა, 11 მლნ), ხავიერ გარიდო (რეალ სოსიედადი, ესპანეთი, 2.25 მლნ), ვედრან კორლუკა (დინამო, ხორვატია, 12 მლნ), ვალერი ბოჟინოვი (ფიორენტინა, იტალია, 8 მლნ)

**ნავიდნენ**: ნათან დილარეა (როჩდეილი) ჰატიმ ტრაბელსი, დამარკუს ბისლი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), ტრევორ სინკლერი, სტივენ ჯორდანი, სილვენ დისტენი (პორტსმუთი, უფასოდ), ჯონ ბარტონი (ნიუკასლი, 8.6 მლნ)

### ვესტ ჰემი

**მივიდნენ**: სკოტ პარკერი (ნიუკასლი,10.3 მლნ), კრეიგ ბელამი (ლივერპული, 11 მლნ), რიჩარდ რაიტი (ევერტონი, უფასოდ), ჟიულიენ ფობერი (ბორდო, საფრანგეთი, 9 მლნ), ფრედი ლიუნგბერგი (არსენალი, 4.5 მლნ)

**ნავიდნენ**: კეპა (სევილია, ესპანეთი), ჯონ პეინტსილი, ნაიჯელ რეო-კოკერი (ასტონ ვილა, 12.5 მლნ), ტაირონ მაიერსი (დერბი ქაუნთი, 1 მლნ), ჰაიდენ მალინსი (ჩარლტონი, 1.5 მლნ), პოლ კონჩესკი (ფულჰემი), მარლონ ჰარვუდი (ასტონ ვილა, 5.5 მლნ), კარლოს ტევესი (მანჩესტერ იუნაიტედი, 3.5)

### ფულჰემი

**მივიდნენ**: რიკარდო ბატისტა (უიკომბი), აარონ ჰიუზი (ასტონ ვილა, 1.5 მლნ), სტივენ დევისი (ასტონ ვილა), დიომანსი კამარა (ვესტ ბრომვიჩი, 9.6 მლნ), პოლ კონჩესკი (ვესტ ჰემი), ლი კუკი (ქუინზ პარკ რეინჯერსი), დევიდ ჰილი (ლიდსი, 2.25 მლნ)

**ნავიდნენ**: მარკ პემბრიჯი, ტომაშ რაძინსკი, კლაუს იენსენი, მარკ კროსლი (ოლდჰემი), ჰეიდარ ჰელგუსონი (ბოლტონი, 2.85), მაიკლ ბრაუნი (ვიგანი), ფრენკ კედრიუ (ბირმინგემი, 3.75 მლნ)

### ვიგანი

**მივიდნენ**: ტიტუს ბრამბლი (ნიუკასლი, უფასოდ), ანტუან სიბიერსკი (ნიუკასლი, უფასოდ), მარიო მელხიოტი (რენი, უფასოდ), ანდრეას ტრანკვისტი (ჰელსინგბორგი, შვედეთი, 1 მლნ), ჯეისონ კუმასი (ვესტ ბრომვიჩი, 6.9 მლნ), მაიკლ ბრაუნი (ფულჰემი)

**ნავიდნენ**: ლუის ანტონიო ვალენსია (ვილიარეალი, ესპანეთი), არიენ დე ზეუვი, დევინ ანსუორთი, მეტ ჯექსონი (უოტფორდი)

### დერბი ქაუნთი

**მივიდნენ**: რობერტ ირნშოუ (ნორვიჩი, 3.5 მლნ), ენდი ტოდი (ბლექბერნი, 650 ათასი), ტაირონ მაიერსი (ვესტ ჰემი, 1 მლნ), ენდი გრიფინი (პორტსმუთი)

**ნავიდნენ**: პაოლო პასკუალე პოსჩისოლიდო, სეტ ჯონსონი, ლიონელ აინსუორთი, სტივენ კანი, ლი გრანტი, პოლ ბორტიენი, მორტენ ბისგაარდი

### ბირმინგემი

**მივიდნენ**: სტიუარტ პერნაბი (მიდლსბრო, უფასოდ), გარო ოკონორი (ლოკომოტივი, რუსეთი, 4 მლნ), ოლივიე კაპო (ლევანტე, ესპანეთი), დანიელ დე რიდერი (სელტა, ესპანეთი), ფრენკ კედრიუ (ფულჰემი, 3.75 მლნ), ლაიამ რიდჯუელი (ასტონ ვილა, 3 მლნ)

**ნავიდნენ**: მეტიუ ბირლი, პეტ კავანო, ჯულიან გრეი, ბრუნო ნგოტი (ლესიტერი, 100 ათასი)

### სანდერლენდი

**მივიდნენ**: კრეიგ გორდონი (ჰართსი, 10 მლნ), გრეგ ჰალფორდი (რედინგი, 5.2 მლნ), რასელ ანდერსონი (აბერდინი, შოტლანდია, 1.5 მლნ), კირან რიჩარდსონი (მანჩესტერ იუნაიტედი, 8.2 მლნ), დიქსონ უტუჰუ (ნორვიჩი, 1.5 მლნ)

**ნავიდნენ**: უილიამ მოსკე, კევინ სმიტი, ტომი მილერი, კენი კანინგემი

*შენიშვნა: სატრანსფერო თანხები მითითებულია ევროებში.*

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბენიტესს ტორესის იმედი აქვს

ლივერპული. პრემიერლიგის სტარტის წინ

# რაფა ბენიტესი: ჩვენ ფავორიტები არ ვართ

**"ლივერპულის" დამრიგებელ რაფა ბენიტესს სჯერა, რომ ამ სეზონში გუნდს მყარი საფუძველი აქვს იმისთვის, რათა ტიტულს შეეჭიდოს. თუმცა ის იქვე აფრთხილებს ფანებს, რომ უსაზღვრო იმედებით ნუ ალიჭურვებიან...**

## ძლიერი ბაზისი

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **რაფა ბენიტესისთვის** ეს იყო საუკეთესო სატრანსფერო ზაფხული. "ლივერპულის" ამერიკელმა მფლობელებმა **ჯორჯ ჯილეტმა** და **ტომ ჰინქსმა** ქისას თავი მოხადეს და რამდენიმე სერიოზული შენაძენი გააკეთეს. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს **ფერნანდო ტორესს** ეხება. საუკეთესო ზაფხული იყო იმ მხრივაც, რომ პირველად, ბენიტესის ლივერპულური კარიერის განმავლობაში, მას საშუალება ჰქონდა, გუნდი მთლიანად საკუთარი არჩევანით დაეკომპლექტებინა. მნიშვნელოვანი იყო სწორედ შემტევი პოტენციალის გაძლიერება და მან ეს გააკეთა კიდეც. ამიტომაც ჰგონია ბენიტესს, რომ "ლივერპულს" დასაბუთებული საჩემპიონო ამბიცია აქვს...

- პირველ რიგში, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ყოველწლიურად ბევრი ფეხბურთელის ყიდვა საჭირო აღარ არის, - ამბობს რაფა "ლივერპულის" ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში, - ავიყვანეთ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე, რომლებმაც ხარისხი უნდა შეგვმატონ. ასეთი დოზებით უნდა მოხდეს გუნდის შევსება ყოველ მომდევნო სეზონში. ახლა, "ლივერპული" იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია, ნებისმიერი ტიტულისთვის იბრძოლოს, თუმცა ისიც კარგად გვესმის და ვაღიარებთ, მსგავსი ამბიცია და შესაძლებლობა სხვა კლუბებსაც აქვთ...

## ჩვენ ჯერ არ ვართ ფავორიტები

- ახლა ნამდვილად კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ პრემიერლიგის ეს გათამაშებაც ძალიან რთული იქნება. და ეს ნორმალურია. ამას წინათ, გაზეთში ერთ-ერთი ჟურნალისტის წერილი წავიკითხე, რომელშიც ის წერდა, რომ რაკი "ლივერპულმა" ამ ზაფხულს დიდი ფული დახარჯა, ჩემპიონობის მოგებაც ძალუძსო. მაგრამ იგივე გვერდზე, და იგივე ჟურნალისტი, წერდა, რომ უფრო მეტად დაიხარჯა "მანჩესტერ იუნაიტედი", რომელიც უპირველესი ფავორიტია, შემდეგ კი "ჩელსი" მოდისო...

- დიახ, ჩვენ ვიცით, რომ ამ სეზონში გულშემატკივრებისგან წნეხი მეტი იქნება, მაგრამ ისიც ვიცით, რომ პრემიერლიგაში, ობიექტურად, "ლივერპულზე" უკეთესი გუნდები იყვნენ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ჩვენ ახლა მთელი ძალ-ღონე უნდა ჩავაქსოვოთ იმაში, რომ ეს განსხვავება მოვსპოთ. თუმცა ეს ძალიან ძნელი იქნება. შევახსენებ ჟურნალისტებსა და ქომაგებს, რომ ბევრი ფულის დახარჯვა არ ნიშნავს, რომ იმ წუთშივე ფავორიტი გახდები...

- ჩვენ სწორად უნდა გავაანალიზოთ სიტუაცია. რეალობა გვიჩვენებს, რომ ამ სეზონში მეტი გოლის გატანა შეგვიძლია, შეგვიძლია ვითამაშოთ კარგი ფეხბურთი და, შესაბამისად, მოვიგოთ გაცილებით მეტი მატჩი, ვიდრე გასულ ჩემპიონატში. მაგრამ ამავე დროს, ვუყურებ "იუნაიტედს" და ვხედავ მის ხარისხს, და "ჩელსიც" ბოლო ხუთი-ექვსი წელიწადია, აშენებს გუნდს და ამაში ასეულობით მილიონ დოლარს ხარჯავდა. ახლა კი, არც "ჩელსისა" და არც "მანჩესტერ იუნატედს", ყოველ ზაფხულს ამდენი ფულის ხარჯვა აღარ სჭირდებათ...

- ლოგიკურია, რომ ტოპ-კლუბებს ყველა მატჩისა და ყველა ტურნირის მოგება სწყურიათ. მაგრამ აქაც არის პრიორიტეტები. პირველი, რა თქმა უნდა, პრემიერლიგაა, მერე ჩემპიონთა ლიგა, შემდეგ მოდის ასოციაციის თასი და ბოლოს ლიგის თასი. ასეა ყველა დიდი კლუბისთვის. ცხადია, სეზონის განმავლობაში, გამომდინარე შედეგებიდან, ზოგიერთმა ტურნირმა, შეიძლება, მეტი მნიშვნელობა შეიძინოს, ზოგმაც ნაკლები, თუმცა პრემიერლიგაში წარმატება ყველასთვის პირველი რიგის ამოცანა იქნება...

## როტაცია გაგრძელდება

- როცა შარშანდელ სეზონს ვაანალიზებ და მერე დღევანდელობაში ვბრუნდები, მათ შორის აშკარა სხვაობას ვხედავ და პირველ ყოვლისა, იმ მხრივ, რომ ახლა უკეთესი გუნდი გვყავს. თუ ყოველი მატჩის წინ მკითხავთ, ვინ ითამაშებს თავდასხმაში, ჩემი პასუხი ყოველთვის ასეთი იქნება: კრაუჩი, ტორესი, ვორონინი და კუიტი. და იმიტომ, რომ ოთხივე ძლიერია. ასევეა ნახევარდაცვაშიც, სადაც ჯერარდი, ჩაბი ალონსო, სისოკო, მასკერანო და ლეივა გვყავს. ყველა რგოლი დაბალანსებულია და შეგვიძლია, თამამად მივმართოთ ვარირებას, მეტადრე სტუმრად, სადაც გაცილებით მეტი სათამაშო ვარიანტი გვექნება. ასე რომ, როტაცია გაგრძელდება...

## მოლოდინი

- ამ ოთხი წლის განმავლობაში ბევრი კარგი და სასარგებლო საქმე გავაკეთეთ, მაგრამ ამავდროულად, შეცდომებიც მრავლად დავუშვით. სეზონიდან სეზონამდე ამ შეცდომებს შეძლებისდაგვარად ვასწორებდით. ახლა უფრო მეტი ისეთი ფეხბურთელი გვყავს, ვინც გუნდს აუცილებლად სჭირდებოდა. არის თუ არა ეს საკმარისი? ამას თითოეული მატჩი გვიჩვენებს...

- წლეულს თავდასხმაში განსაკუთრებულად ძლიერები ვართ, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში ვიყავით. მთავარია, კარგი სტარტი გამოგვივიდეს. თუ პირველ რამდენიმე ტურში სასურველ შედეგებს მივაღწევთ, ეს სერიოზული ფსიქოლოგიური ფორა იქნება და მყისვე პოზიტიურად იმოქმედებს ფეხბურთელების განწყობაზე. დიდი იმედი მაქვს, რომ სწორედაც წარმატებული სტარტი გვექნება. კარგი დასაწყისი ხომ საქმის ნახევარია...

ინტერვიუ ფერნანდო ტორესთან

# ლივერპულში მსოფლიო დონის ფორვარდად ჩამოვყალიბდები

## ელ ნინიო ატლეტიკოში ველარ გაიზრდებოდა, ამიტომ მან ინგლისის ყველაზე ტიტულოვან კლუბს ყოველგვარი ეჭვების გარეშე მიაშურა

**ხვალ, პრემიერლიგა დაიწყება. ინგლისური კლუბები ინტენსიურად ემზადებოდნენ. სეზონის დაწყების წინ ტრადიციულად ფავორიტებზე ბევრს საუბრობენ. როგორც ყოველთვის, საუკეთესო შანსებს რამდენიმე კლუბს მიაწერენ. მათ შორისაა "ლივერპული". მოგეხსენებათ, რაფა ბენიტესის გუნდი ამ ზაფხულს საგრძნობლად გაძლიერდა. ყველაზე წარმატებულ შენაძენად ცალსახად ფერნანდო ტორესის ტრანსფერი უნდა მივიჩნიოთ. ესპანელი ჟურნალისტები "ელ ნინიოს" ბრიტანულ ცხოვრებას დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ინგლისის ჩემპიონატამდე მცირე ხნით ადრე, მადრიდიდან ტორესს ინტერვიუს ასაღებად ჩააკითხეს.**

**- ალბათ, ესპანეთი ჯერ არ მოგნატრებიათ. ასეა?**

- სიმართლე გითხრათ, დრო არ მქონდა იმისთვის, რომ ჩემი ქვეყანა მომნატრებოდა. უკვე კარგა ხანია ლივერპულში ვარ, მაგრამ იმისთვისაც ვერ მოვიცალე, რომ ქალაქი დამეთვალიერებინა. მთელ დროს ვარჯიშებში ვატარებ. შეკრებიდან საკმაოდ კარგად მომზადებულები დავბრუნდით, თუმცა მუშაობა წამითაც არ შეგვიწყვეტავს. მოკლედ, საკუთარ თავთან მარტო დარჩენის საშუალებაც არ მქონდა. ამ პირობებში, ბუნებრივია, მონატრებასა და ნოსტალგიაზე საუბარიც არ შეიძლება იყოს (იცინის).

**- ისეთი რამ ხომ არ გინახავთ, რამაც ძალიან გაგაკვირვათ?**

- ჯერჯერობით, არაფერს გავუოცებივარ. მსურს, ყოველდღე დიდი სიამოვნება მივიღო და ჩემი საქმე მაღალ დონეზე ვაკეთო. შესაძლოა, ვინმეს გონებაშეზღუდულ ადამიანად მოვეჩვენო, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ ვარჯიშის გარდა, არაფერი მაინტერესებს. შინ მისული ვცდილობ, მალე დავიძინო, რათა მეორე დღეს ენერგიულად ვიმუშაო. აქეთ-იქეთ არ ვიყურები. 100 პროცენტით ფეხბურთზე ვარ კონცენტრირებული. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს პროფესიულ კარიერას, მხოლოდ და მხოლოდ ახლა ვიწყებ. მახსოვს, როცა "ატლეტიკოს" ძირითად გუნდში მოვხვდი და პრიმერა დივიზიონისთვის მზადება დავიწყე, უახლოესი ადამიანების ზარებსაც ვერ ვპასუხობდი. მეგობართა ერთმა ნაწილმა იფიქრა, ფერნანდოს დიდება თავში აუვარდაო. არადა, არ მინდოდა, ყურადღება გამფანტვოდა და მოედანზე თავი შემერცხვინა. მოგვიანებით ყველა მეგობარი მიხვდა, რომ მართალი ვიყავი. პროფესიული ფეხბურთი უდიდეს მსხვერპლს მოითხოვს. წლები ისე გადის, ოჯახის წევრებთან ნორმალური ურთიერთობის საშუალებაც არ გვეძლევა.

**- "ლივერპული" და "ატლეტიკო" რითი გვანან ერთმანეთს?**

- ჩემი აზრით, "ლივერპული" არც ერთ ესპანურ გუნდს არ ჰგავს. ის ყველაზე დიდი საფეხბურთო გუნდია მთელ ინგლისში. ალბათ, ყველა ესპანელმა გულშემატკივარმა იცის, რომ "ლივერპულს" ბრიტანულ გუნდებს შორის ყველაზე მეტი ტიტული აქვს მოპოვებული. ჩემი გუნდი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტილში თამაშობს. ასეთ ატმოსფეროს ესპანეთში ვერსად წააწყდებით. იმედია, ჩემი თანამემამულეები არ მიწყენენ (იცინის).

**- რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა საბოლოოდ გადაწყდა, რომ "ატლეტიკო" უნდა დაგეტოვებინათ?**

- ძალიან რთული დღე იყო. ვგრძნობდი, რომ ეს მომენტი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დადგებოდა. ბევრი ვიფიქრე და ეს ნაბიჯი თამამად გადავდგი. ახლა შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ძალიან კმაყოფილი ვარ. გამოგიტყდებით, წასვლის დღეს უამრავი უცნაური გრძნობა დამეუფლა. "ატლეტიკოში" 10 წლის ასაკში მივედი. ერთ წამში თავში მთელმა ცხოვრებამ გამიელვა. ყველა მოგონება ამომიტივტივდა. ვშიშობდი, რომ "როხიბლანკოს" გულშემატკივრები ჩემს წასვლას ცუდად შეხვდებოდნენ და მომიძულებდნენ. საბედნიეროდ, სკეპტიკური ვარაუდი არ გამართლდა. ინჩასებმა აშკარად მაგრძნობინეს, რომ ჩემს გვერდზე იყვნენ. პროფესიული წინსვლისთვის სიტუაციისა და ქვეყნის გამოცვლა მჭირდებოდა. მადლობა ღმერთს, ქომაგებმა "ატლეტიკოდან" ოვაციებით გამაცილეს. ხალხი ქუჩაში მაჩერებდა და წარმატებებს მისურვებდა. მათ არასოდეს დავივიწყებ. რა თქმა უნდა, ჩემი გულის ნაწილი "ვისენტე კალდერონზე" დარჩა.

**- ინჩასებმა მართლაც გულთბილად გაგაცილეს, მაგრამ ზოგს მიაჩნია, რომ თქვენ მათ სიყვარულს არაადეკვატურად უპასუხეთ...**

- რას გულისხმობთ?

**- მადრიდიდან წასვლის დღეს გულშემატკივრებმა და ჟურნალისტებმა გთხოვეს, "ატლეტიკოს" მაისურით სამახსოვრო ფოტო გადაგეღოთ, მაგრამ თქვენ ეს არ ისურვეთ...**

- დიდად მადლობელი ვარ, რომ გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების უდიდესმა არმიამ აეროპორტამდე მიმაცილა. ჩემი აზრით, "ატლეტიკოს" მაისურით სურათის გადაღების თხოვნით მომართვა, მათ კეთილგანწყობას გამოხატავდა. ამისთვისაც უზომოდ მადლიერი გახლავართ, მაგრამ საქმე ის არის, რომ იმ მომენტისთვის "ლივერპულთან" უკვე კონტრაქტი მქონდა გაფორმებული, ანუ მე მისი საკუთრება გავხდი. მეორე დილით "ენფილდზე" პრეზენტაცია მქონდა და ძველი კლუბის მაისურით პოზირება ძალიან არადელიკატური საქციელი იქნებოდა. "ლივერპულთან" ხელშეკრულების გაფორმების წამიდან "ატლეტიკო" წარსულის განუყრელ ნაწილად იქცა. რაოდენ ძნელიც უნდა იყოს, ადამიანმა წარსულისა და აწმყოს გამიჯვნა უნდა შეძლოს.

**- "ლივერპულში" წასვლისკენ რამ გიბიძგათ?**

- მრავალი ფაქტორი შემიძლია დაგისახელოთ. "ატლეტიკოს" საინტერესო პროექტი ჰქონდა, მაგრამ "ლივერპულის" წინადადებაზე უარს ვერაფრით ვიტყოდი. "წითელი ეშმაკები" ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან. პრემიერლიგა უზომოდ მომწონს. შესაძლებლობას ხელიდან არ ვუშვებდი, რომ პირდაპირი ტრანსლიაციებისთვის თვალი მედევნებინა. თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ პროფესიული ზრდისთვის "ლივერპული" გაცილებით მეტად გამომადგება. მადრიდში ჩემი სული და გული დავტოვე, მაგრამ მოდით, ვიქნები გულწრფელი და ვიტყვი, რომ "ატლეტიკო" ვერც წლეულს და ვერც გაისად იმას ვერ მომცემდა, რაც მე მსურს.

**- და რა გსურთ ასეთი?**

- ტიტულები და არაფერი ტიტულების გარდა (იცინის). მართლაც, 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ "ლივერპულში" მსოფლიო დონის ფორვარდად ჩამოვყალიბდები. სამწუხაროდ, "როხიბლანკოში" საამისო შანსი ნაკლებად მექნებოდა...

**- ასეა თუ ისე, თქვენი ტრანსფერის შემდეგ "ვისენტე კალდერონზე" ისეთი ფეხბურთელები მივიდნენ, როგორებიც დიეგო ფორლანი, სიმაო და რეიესი არიან. საინტერესოა, მათთან ერთად თამაში სიამოვნებას არ მოგანიჭებდათ?**

- "ატლეტიკოს" ყოველთვის დიდი გუნდი ჰყავდა, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო, წარმატებას ფაქტობრივად, ვერასოდეს აღწევს. იმედია, ამჯერად ყველას გაგვიმართლებს. მართალია, სხვა კლუბში წავედი და ახლა "ლივერპულის" მოთამაშე ვარ, მაგრამ მსურს იცოდეთ, რომ ფერნანდო ტორესი "ატლეტიკოს" თავგადაკლულ გულშემატკივრად რჩება. ღმერთმა ქნას, მომავალ სეზონში ჩემმა ყოფილმა კლუბმა ყველა მიზანს მიაღწიოს. ბედნიერი ვიქნები, თუ ახალი შემადგენლობა იმას შეძლებს, რაც მე ვერ მოვახერხე. წარმოდგენა არ მაქვს, მეტი რა უნდა ვისურვო.

**- ესპანეთში დაბრუნების შემთხვევაში, "ატლეტიკოს" გარდა, სხვა არც ერთ კლუბში ითამაშებთ?**

- რა თქმა უნდა, არა! ზოგადად მუდამ წამგებიანია რაიმეს იმპერატიული ტონით მტკიცება. ამ შემთხვევაში საკუთარი სიტყვების მძევალი ხდები, მაგრამ დღეს თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ "ატლეტიკოს" გარდა არც ერთი ესპანური გუნდის ღირსებას არ დავიცავ. დღევანდელი გადმოსახედიდან ეს გამორიცხულია.

**- "ბარსელონასა" და სამეფო კლუბში გადაბარგების რეალური შესაძლებლობა არასოდეს გქონდათ?**

- არა. მადრიდელები და კატალონიელები ზოგჯერ მართლაც მირეკავდნენ, მაგრამ მაშინ მიმაჩნდა, რომ "ატლეტიკოდან" არსად არ უნდა წავსულიყავი. ამის გამო, მოლაპარაკებები სიღრმისეულ ფაზაში არასოდეს შესულა.

**- ასეთი სიტუაცია წარმოვიდგინოთ, "ლივერპულთან" ერთად "ატლეტიკოს" "ვისენტე კალდერონზე" დაუპირისპირდით და ხალხმა გამყიდველი გიწოდათ. შეძლებთ წონასწორობის შენარჩუნებას?**

- როგორც გითხარით, გულშემატკივრების უდიდესმა ნაწილმა თბილად გამაცილა. დრო იმ ინჩასებსაც მოულბობს გულს, რომლებიც ჯერ კიდევ ნაწყენები არიან. რაც არ უნდა მოხდეს, "ატლეტიკოს" ქომაგების წინააღმდეგ არასოდეს გავილაშქრებ.

**- სხვათა შორის, გულშემატკივრები თქვენს წასვლაში დირექტორატს ადანაშაულებენ...**

- ვფიქრობ, ინჩასები მოგებულები დარჩნენ. სენიორ სერესომ შესანიშნავი პროექტი გამოამზეურა. მისი ძალისხმევით, "როხიბლანკომ" კარგი მოთამაშეები დაიმატა. აქამდე შედეგებს ვერ ვაღწევდით და ხალხი დამნაშავეს ეძებდა. დარწმუნებული ვარ, წარმატებებთან ერთად საზოგადოების განწყობა უკეთესობისკენ შეიცვლება.

**- ლივერპულელი თანაგუნდელები კარგად გაიცანით?**

- დღევანდელმა შემადგენლობამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია, მაგრამ ისინი მაინც არ კმაყოფილდებიან და მომავალშიც უმაღლესი მწვერვალების დასაპყრობლად იბრძოლებენ. შესანიშნავ ფეხბურთელებთან ერთად მომიწევს თამაში. "ლივერპულის" მსგავსი კლუბი არსად მეგულება. რა თქმა უნდა, ადაპტაციისთვის დრო დამჭირდება. ინგლისური ფეხბურთი აბსოლუტურად განსხვავებული კულტურისა და მსოფლმხედველობის მატარებელია. იმედია, ახალ გარემოსა და სრულიად განსხვავებულ ფილოსოფიას მალე შევეგუები.

**- ალბათ, იმის კითხვაც არ არის საჭირო, რომ "ლივერპული" მომავალ სეზონში პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის იბრძოლებს...**

- აბსოლუტურად მართალი ბრძანდებით. ჩვენ უდიდესი ამბიციები გვამოძრავებს, თუმცა ამავდროულად ვაცნობიერებთ, რომ ამოცანა ურთულესია. კონკურენციას უამრავი მაღალი დონის კოლექტივი გაგვიწევს. მთავარია, რომ არავისი გვეშინია.

**- რაფა ბენიტესთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ?**

- შესანიშნავი. რაფას აქამდეც კარგად ვიცნობდი. აი, ნახავთ, ფანტასტიკური თანამშრომლობა გვექნება.

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# დიდია ბრიტანეთი



ლუოლ დენგისა და ზაზა ფაჩულიას ორთაბრძოლა NBA-ში

**საქართველო-ბრიტანეთი 64:82**

23:12, 16:17, 12:29, 13:24

საქართველო: გამყრელიძე, ელისი (8 ქ), მ. მარკოიშვილი (11 ქ. 4 მ), ნაცვლიშვილი, ფაჩულია (25 ქ. 6 მ), ცინცაძე (6 ქ), სანიკიძე (11 ქ. 5 მ), ტულუში (3 ქ), ა. ბოისა, უგრეხელიძე.

საქართველოს ნაკრებმა საკონტროლო მატჩების ციკლი გუშინ, საფრანგეთში, დიდი ბრიტანეთის ნაკრებთან მარცხით დაასრულა - 64:82. B დივიზიონის შეხვედრებისთვის მზადებისას ქართველებმა 8 თამაში ჩაატარეს და მოგება-წაგებათა რაოდენობა თანაბრად გაანაწილეს - 4/4.

გუშინწინ **კენ შილდსის** შეგირდებმა "ჩიკაგო ბულზის" ვარსკვლავის **ლუოლ დენგის** განეიტრალება კარგად შეძლეს და ამიტომაც მოიგეს (65:63), გუშინ იგი მხოლოდ პირველ ტაიმში შეაკავეს: საწყის 20 წუთში დენგის ანგარიშზე 4 ქულა იყო (9-დან 2 ორქულიანი). მიუხედავად იმისა, რომ მეორე შეხვედრისთვის კუნძულელებს კიდევ ორი NBA-ელი დაემატათ (ბეტსი და აზუბუიკე), აშკარად გამოჩნდა, რომ მთელი ბრიტანეთის ნაკრები დენგია.

პირველ ტაიმში ქართველემა მეტოქეს კარგი დაცვა დაუპირისპირეს და 29 ქულას დააჯერეს, თვითონ კი 39 ჩააგდეს. ჩვეული დამაჯერებლობით ირჯებოდა **ზაზა ფაჩულია**, რომელმაც საბოლოოდ 25 ქულას მოუყარა თავი. კარგად გამოიყურებოდა **ვიქტორ სანიკიძე**. მან 3-დან 3 სამქულიანი გამოიყენა. მეტი შორეული ტყორცნა ქართველებს აღარ ჩაუგდიათ.

მეორე 20-წუთეულში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა - ათამაშდა ლუოლ დენგი და ბრიტანელებს ანგარიშის გასათანაბრებლად მხოლოდ 3 წუთი დასჭირდათ. 23-ე წუთის შემდეგ კი საქართველოს ნაკრები აღარ დაწინაურებულა.

მატჩისშემდგომი კომენტარი მეორე მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** გააკეთა: *"საწყის 20 წუთში საქართველოს ნაკრებმა დაცვაში შესანიშნავად ითამაშა. დროის ამ მონაკვეთში ბრიტანელებს შეტევაში ბევრი არაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ მეორე ტაიმში დენგის წინამძღოლობით კუნძულელებმა თამაში გამოასწორეს და გვიჩვენეს, რომ მინუსებზე კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო. დენგმა პირველ ტაიმში ჩაგდებულ 4 ქულას მეორეში - 20 მიამატა".*

დავით უსტიაშვილისვე თქმით, საქართველოს ნაკრები ლუქსემბურგთან ოფიციალურ მატჩამდე მსუბუქ ვარჯიშებზე გადავა. მზადება საფრანგეთის ქალაქ პოში გაგრძელდება. ჩვენი ნაკრები სამშობლოში 21 აგვისტოს, ჯუჯებთან მატჩის შემდეგ გამოფრინდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ირაკლი ბერიშვილი



დავით ბერიშვილი

# მაკაბიმ ტყუპები დაიმატა და შერმადინსაც ტოვებს

ივნისის ბოლოს "მაკაბის" მეფარემ **გიორგი შერმადინმა** მითხრა, მწვრთნელი გუნდის სერიოზულად გაძლიერებას აპირებსო. როგორც ჩანს, კლუბის თავკაცი **ჯამლეტ ხუხაშვილი** მას შემდეგ სატრანსფერო საკითხებზე აქტიურად მუშაობდა და სადღეისოდ ორი შენაძენიც გააკეთა: მომავალ სეზონში "მაკაბის" მაისურს ტყუპები, **ირაკლი და დათო ბერიშვილები** მოირგებენ. ისინი ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდში ბოლოს 2001-02 წლების სეზონში თამაშობდნენ, მას შემდეგ ბათუმის "ბასკო", ბაქოს "ნტდ დევონი", სტუ, თსუ და "ავიამშენი" მოიარეს. გასულ ჩემპიონატში ავიატორთა რიგებში ვერცხლის მედლები მოიგეს.

საქართველოს ჩემპიონატის კვალობაზე ტყუპები სერიოზულ ძალას წარმოადგენენ და დღეს თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ "მაკაბი" საფლეიოფო გუნდი იქნება. ძმების ამ გუნდში გადასვლა კლუბისთვის სასარგებლოა და შეიძლება საქართველოს ჩემპიონატისთვისაც. საკითხავი ისაა, თავად ბერიშვილები თუ მიიჩნევენ "მაკაბიში" გადასვლას წინგადადგმულ ნაბიჯად?

*- ყოველ წელიწადს თითქმის ერთი და იგივე მეორდება - ელი ახალი კლუბის ვარიანტს და სატრანსფერო საკითხების მოგვარებას დროულად რომ ვერ ასწრებ, ძალაუნებულად არჩევანისთვის დრო აღარ გრჩება: ხვალ ჩემპიონატი იწყება, თუ გინდა, ჩვენს პირობებს დათანხმდი, თუ არა, გზა მშვიდობისა გქონდესო. ეს რომ არ მომხდარიყო, გადავწყვიტეთ, ბატონი ჯამლეტის წინადადება მიგვეღო. მან სავსებით მისაღები პირობები შემოგვთავაზა.* - გვიამბობს **დავით ბერიშვილი**.

იგი თავის ტყუპისცალთან ერთად ახალ გუნდთან ვარჯიშს უკვე შეუდგა (შეგახსენებთ, რომ "მაკაბიში" ზაფხულის განმავლობაში საწვრთნელი პროცესი არ წყდება) და რამდენიმე ძველ მაკაბელთან ერთად ახალი სეზონისთვის აქტიურად ემზადება. "ძველ მაკაბელებში" გიორგი და **სოსო შერმადინებს, ირაკლი დოლიძესა** და **გივი ვაშაკიძეს** ვგულისხმობთ.

ზოგს შეიძლება გაუჩნდა კითხვა: გიორგი შერმადინი გაისადაც საქართველოში ითამაშებს? გამოგიტყდებით, ეს კითხვა მეც დამებადა, პასუხი კი ოთხასოიანია - დიახ!

რომელიმე ევროპულ გუნდში გადასვლა გიორგი ნამდვილად არ აწყენდა, მაგრამ რადგან ეს არ მოხერხდება, იმედი დავიტოვოთ, რომ 216 სმ. სიმაღლის ნიჭიერი ცენტრი მოძლიერებულ "მაკაბიში" პროგრესს განაგრძობს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ავიაამბები

ამ ზაფხულს ქართულ საკლუბო ამბებზე ძალიან ცოტას ვსაუბრობთ. ამის მიზეზი მარტივია - სალაპარაკო თითქმის არაფერია, ჩვენი გუნდები ხომ აგვისტოს მეორე ნახევრიდან იწყებენ შეკრებებს და მათი დაკომპლექტების პროცესი ოქტომბრამდე გრძელდება.

თუმცა, შეკრებას ვინ ჩივის, როცა თსუ-სა და სტუ-ს ყოფნა-არყოფნის საკითხი ბეწვზე ჰკიდია. სამაგიეროდ ახლახან გაირკვა, რომ "ავიამშენი" უმაღლეს ლიგაში კვლავ ითამაშებს და მთავარი მწვრთნელი, **ლევან მოსეშვილი** მინიმუმ წინა სეზონის მიღწევის გამეორებას იმედოვნებს. "ავია" ხომ შარშანდელი სეზონის ფინალისტია, შარშანწინ კი ჩემპიონობა არავის დაუთმო.

*- სამი დღის წინ "თბილავიამშენის" ქარხნის დირექტორს, ბატონ პანტიკო თორდიას ვესაუბრე და გადაწყვეტილია, რომ "ავია" ამ სეზონშიც დაფინანსდება.* - გვითხრა ლევან მოსეშვილმა.

გამოცდილ მწვრთნელს გუნდში ძლიერი კალათბურთელების თავმოყრის იმედი აქვს, თუმცა, ჯერჯერობით ცნობილი არ არის არც ერთი მოთამაშის გვარი, რომელიც გაისად "ავიამშენის" მაისურს მოირგებს. საქმე ისაა, რომ წინა სეზონში მოასპარეზე ველა კალათბურთელს კონტრაქტის ვადა ამოწურული აქვს და ჯერჯერობით თავისუფალი აგენტია.

*- ყველა მოთამაშეს გამოვუცხადე: ვინც კლუბის დატოვებას აპირებს, დროზე შემატყობინოს-მეთქი. თუმცა, წასვლის სურვილი ჯერ არავის დაუფიქსირებია. არც ტყუპ ბერიშვილებს უთქვამთ რამე, რომლებსაც სხვა გუნდში თამაში გადაუწყვეტიათ. როცა წამსვლელთა ვინაობასა და რაოდენობას დავადგენთ, ახლებს მერე დავიმატებთ. ეს ყველაფერი 20 აგვისტომდე უნდა მოგვარდეს.* - გვიამბობს "ავიას" მთავარი მწვრთნელი.



ლევან მოსეშვილი

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ 20-ში გუნდი თბილისში შეიკრიბება და ახალი სეზონისთვის მზადებას შეუდგება. ვიცე ჩემპიონის ბანაკიდან სიახლეებს შეკრებამდე კიდევ შეგატყობინებთ.

# ბრძნული შეგონება და გაზომვა სიგანეში

პარიზში მიმდინარე NBA-ს კემპის მეოთხე დღე ტრადიციულად სემინარით გაიხსნა და მატჩებით დასრულდა.

შეხვედრათა მიმოხილვა ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო ნამდვილად არ იქნება, სამაგიეროდ ყურადსაღები დარიგება მისცა ახალგაზრდებს "სან ანტონიოს" მეორე მწვრთნელმა **დონ ნიუმენმა:** *"ლიდერობა ნებისმიერ თქვენგანს სურს, მაგრამ ბევრს არ შეუძლია. ლიდერობისთვის აუცილებელია თანაგუნდელთა პატივისცემა, სამაგალითოობა როგორც მუშაობისას, ასევე თამაშისას და მოედნის მიღმა. მაგრამ არ გეგონოთ, რომ ამაზე ზედმეტი ფიქრი რამეს გარგებთ. ყველას უნდა იდეალური იყოს, მაგრამ ასეთი არავინაა. როცა ცდილობ სხვებს აჯობო, ცდილობ შეცდომა არ დაუშვა, სწორედ მაშინ უშვებ შეცდომებს. იმიტომ, რომ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ექცევი. თუ გსურს საუკეთესო იყო, ფიქრებში რიგით ჯარისკაცობას დაყაბულდი".*



ვფიქრობთ, საინტერესო დარიგებაა, რაც პარიზში მყოფ **ნიკა მეტრეველსა** და **კოკა ტომარაძეს** აუცილებლად გამოადგება. ...საინტერესოა ფოტოზე გამოსახული პროცესიც: ტომარაძეს არა სიმაღლეში, არამედ სიგანეში ზომავენ.

პარიზის კემპის მეხუთე დღე "ოლ-სტარს" დაეთმობა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი | ლეგიონი

# ერთი მოვისტუმრეთ, ორსაც უქმეებზე მოვრჩებით...



სოფიკო ნიკოლაძე

ქართული საჭადრაკო ლეგიონის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას ესპანეთიდან დავიწყებთ, სადაც ორ ტურნირში ასპარეზობენ ჩვენებურები. ერთ-ერთში - კატალონიურ პობლა დე ლილეტში ტურნირი უკვე დასრულდა. იქ ოთხმა ქართველმა სცადა ძალები - **ანა მათნაძემ, სოფიკო ნიკოლაძემ, სოფიკო გურამიშვილმა** და **მარიამ დანელიამ**. ჩვენდა სასიხარულოდ, ქართველმა მანდილოსნებმა წარმატებით განვლეს სატურნირო გზა და ზედა საფეხურებზე დაიკავეს პოზიციები.

მკითხველი მეექვსე ტურის შემდეგ ინფორმაციას არ ფლობდა. ამ დროისთვის ქართველთაგან ყველაზე კარგი შედეგი სოფიკო ნიკოლაძეს ჰქონდა და მეშვიდეში ერთ-ერთ ფავორიტს - სომეხ **კარენ მოვსესიანს** ხვდებოდა. სოფო კარენთან დამარცხდა და ვერც მერვე ტურში მოახერხა ტურნირის პირველ ნომერთან (რომელიც საბოლოოდ გახდა კიდეც გამარჯვებული), ებრაელ **არტურ კოგანთან** თავის დაცვა, მაგრამ მეცხრეში კი ესპანელ **იოზეფ ბახრის** ფარ-ხმალი დააყრევინა და 6 ქულით საბოლოო ცხრილში მეხუთე ადგილზე გავიდა. ცხადია, შედეგი შესანიშნავია და ვულოცავთ სოფოს წარმატებას. ასეთმა თამაშმა სოფოს რეიტინგში 32.1 ქულა შემატა; მთავარი კი ის გახლავთ, რომ ნიკოლაძემ დიდოსტატის ბალი შეასრულა!

ექვსი ქულა დააგროვა **ანა მათნაძემაც** და სოფოს შემდეგი, საფეხური - მეექვსე დაიკავა. ცხადია, ანას შედეგიც ქებას იმსახურებას, თუმცა მისი მაღალი რეიტინგის გამო მატებამ მხოლოდ 1.3 პუნქტი შეადგინა.

სტარტი, მაინცა და მაინც, კარგი ვერ ჰქონდა **მარიამ დანელიას**, მაგრამ შუაწელიდან ისე გაეჩვია კატალონიურ ჰავას და საჭადრაკო ატმოსფეროს, რომ ბევრ მასზე რეიტინგით ძლიერ მოჭადრაკეს დააყრევინა თავები: მეშვიდე ტურში ესპანელ ჯერ ხორდი მალს აჯობა; მერვეში ისევ ესპანელი **ხოსეპ კოდინა** დაამარცხა, მეცხრეში კი თანამემამულე და მეგობარ სოფიკო გურამიშვილთან შავებით ყაიმით დაასრულა შეხვედრა - ამ პარტიაში გამარჯვებისთვის არც ერთს გამოუდვია თავი... სხვათა შორის, ეს ერთადერთი ქართული დერბი იყო ტურნირზე. მარიამმა 6 ქულა დააგროვა და ცხრილში მეცხრე იყო, - 14 წლის გოგონასთვის ეს შესანიშნავი შედეგია. ამ წარმატებისთვის მარიამი რეიტინგში 32 ქულას შეიმატებს.

მართალია, ქართველებში სოფიკო გურამიშვილმა ბოლო ადგილი დაიკავა, მაგრამ საერთო ცხრილში მეცამეტეზე გავიდა, რაც თავისთავად წარმატებაა, 5.5 ქულით კი საერთაშორისო ოსტატის ბალი მოიპოვა; 6-ქულიან მარიამ დანელიას კი იგივე წარმატებისთვის საერთაშორისო წოდების მქონე მეტოქეთა რაოდენობა არ ეყო...

ერთი სიტყვით, პირველი ტურნირი ჩვენმა ქალბატონებმა წარმატებულად დაასრულეს და იმედია, იგივეს დანარჩენებშიც მიაღწევენ. დავძენთ, რომ ნიკოლაძემ ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა და შესაბამისი ფულადი პრიზიც მიიღო...

პობლა დე ლილეტიდან უკვე დღეს გოგონები ბარსელონაში გადაინაცვლებენ და ორდღიან ტურნირში ჩაებმებიან. ტურნირი სწრაფ, 25-წუთიან ჭადრაკში გაიმართება და საკმაოდ დიდი საპრიზო ფონდით გამოირჩევა...

ესპანეთში, სუად დე ბადალონაში **ლევან აროშიძე** თამაშობს. იქ 8 ტურია განვლილი და ერთი დარჩა დასასრულამდე. ლევანმა მეშვიდე ტურში თეთრებით კუბელ **ომარ ალმეიდასთან** ქულა გაიყო, მერვეში კი ჩეხ **იაკუბ ჩაკონისთან** გამარჯვებას მიაღწია. ბოლო ტურის წინ ქართველს 6.5 ქულა აქვს და ნახევარით ჩამორჩება ბულგარელ დელჩევს, 6.5 ქულა კიდევ ესპანელ **ოლდენ ერნანდესსაც** აქვს.

მეცხრე, გადამწყვეტ ტურში აროშიძე თეთრებით პოლონელ **ზბიგნევ პაკლეჟას** ხვდება.

ყველაზე დიდი ლეგიონი ბერძნულ კავალაში გვყავს - 12 კაცი, მაგრამ იქ ჯერ კიდევ საკმაოდ აქვთ სათამაშო. დღეისთვის ექვსი ტურია ჩავლილი. ქართველთაგან ყველაზე მეტი ქულა ტურნირის მეორე ნომერ თამაზ გელაშვილს აქვს - 5, გიორგი მარგველაშვილსა და თორნიკე სანიკიძეს კი - 4.5.

მეშვიდე ტურში გელაშვილი პირველ დაფაზე ერთპიროვნულ ლიდერს, ბერძენ **ბასილიოს კოტრონიასს** ხვდება თეთრებით და იმედია, გაიმარჯვებს. დანარჩენ ქართველებს კი შემდეგი მეტოქენი ჰყავთ: ვლადიმირ პეტკოვი (ბულ; 4.5)-თორნიკე სანიკიძე (4.5); გიორგი მარგველაშვილი (4.5)-დანილო მილანოვიჩი (სერ; 4.5); ნანა ძაგნიძე (4)-მირჩა პარიგლასი (4; 2542); შოქაათ განე (ირანი; 4)-ნიკოლოზ შავთვალაძე (4); ბაჩანა მორჩიაშვილი (4)-ილაჰა კადიმოვა (აზერ; 4); სოფიკო ხუხაშვილი (3.5)-ილარინ დორფანისი (საბ; 3.5); სალომე მელია (3.5)-ლაზაროს გიმნოპულოსი (საბ; 3.5); დიმიტრიოს კაფორისი (საბ; 3.5)-ივერი ჭილაძე (3.5); სალომე ხაჟომია (3)-ივიდიუ ფოიშორი (რუმ; 3); იულია მაკა (საბ; 3)-ნიკოლოზ მანაგაძე (3); პანაგ სპირიდულოსი (საბ; 2)-ელისაბედ ზარქუა (2).

**ზვიად შათირიშვილი**

ძიუდო

# ჩინეთი, რუმინეთი, პოლონეთი

ამ დილით საქართველოს ახალგაზრდა "ანტიკოსთა" ნაკრები პეკინში გაფრინდა, სადაც 21-22 აგვისტოს თანატოლთა მსოფლიო პირველობაში იჭიდავებს, მანამ კი იქვე ათდღიან შეკრებას გაივლის. მსოფლიო პირველობაზე საქართველოს ღირსებას დაიცავენ: **გიორგი გოგბერაშვილი** (50), **ლაშა გოგიტაძე** (55), **რევაზ ლაშხი** (60), **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **ბექა როყვა** (74), **სერგო ნინუა** (84), **გენო ხელია** (96) და **დიმიტრი ჯავახიშვილი** (მძიმე).

ევროპირველობის შემდეგ ნაკრების თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** გუნდი ლამის მთლიანად გადააახლისა. იმ შემადგენლობიდან დარჩნენ გოგიტაძე და ნინუა, რომლებმაც კონტინენტის პირველობაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. უმედლოთაგან მწვრთნელმა ნაკრებში მხოლოდ ჯავახიშვილი დატოვა.

ორ დღეში პეკინში "თავისუფლებიც" გაემგზავრებიან ასეთი შემადგენლობით: **დავით ბერძნიშვილი** (50), **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **გიორგი მაყიშვილი** (60), **ნიკოლოზ რეხვიაშვილი** (66), **გოჩა ლომთათიძე** (74), **ბექა ჭელიძე** (84), **ზაალ მარტიაშვილი** (96) და **გიორგი ნიკურაძე** (მძიმე).

ესენი მსოფლიო ჩემპიონატში 24-25 აგვისტოს იჭიდავებენ და ჩინეთშიც შედარებით გვიან ამიტომ მიდიან. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მწვრთნელმა **ნუგზარ სხირელმა** ეს ნაკრებიც გადაახალისა. დატოვა ბრინჯაოს პრიზიორები - ლომთათიძე და ჭელიძე, უმედლოთაგან - მაყიშვილი, რეხვიაშვილი და ნიკურაძე. აქ ისიც ვთქვათ, რომ რადგან ევროპისა და მსოფლიო პირველობები ახლო პერიოდში ტარდება, სხირელი რადიკალურ ცვლილებებს მოერიდა.

ამ უქმეებზე "ანტიკოსთა" ეროვნული გუნდი რუმინეთში იჭიდავებს, სადაც ნაკრების თავკაცი ბეგი დარჩია თითქმის უძლიერეს შემადგენლობას გამოცდის: **მამუკა ხოზრევანიძე** (55), **დავით ბედინაძე** (60), **ლაშა ლომაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია** (74), **ბადრი ხასაია** (84), **რამაზ ნოზაძე** (96), **რევაზ ჭელიძე** და **გურამ ფერსელიძე** (ორივე - მძიმე).

უახლოეს ხანებში ეროვნულის კიდევ ორი კანდიდატი - **გენადი გოგიშვილი** (74) და **გივი მორჩილაძე** (მძიმე) პოლონეთში გამოცდის ძალებს.

**ირაკლი თავაძე**

თარიღი

**სერგეი კოვალენკო.** დაიბადა 11.08.1947, პორტ-არტური. კალათბურთი (215 სმ). თამაშობდა თბილისის "ბურევესტნიკში" (1965-68), კიევის "სტროიტელსა" (1969-75) და მოსკოვის ცსკა-ში (1976-80), იყო სსრკ ნაკრების წევრი (1966-73). 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1970), ევროპის ჩემპიონი (1969) და მესამე პრიზიორი (1973), მსოფლიოს უნივერსიადის მეორე პრიზიორი (1973), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1976, 80) და ორგზის მესამე პრიზიორი (1970, 74), სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი (1979). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**დავით მარგოშვილი.** დაიბადა 11.08.1980, ახმეტა. ძიუდო (60 და 66 კგ). ევროპის ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (2001, 03), ევროპის ჩემპიონი (2003) და მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (2002) გუნდურ პირველობაში, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1998), 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (დამარცხდა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში).

რაგბი | საქართველოს ნაკრები

**საქართველო-აჟენი (23) 6:17**

საქართველო: (15-9) **ჯიმშელაძე, ელიზბარაშვილი, გიგაური (კაჭარავა), ი.გიორგაძე, მაჩხანელი (ხამაშურიძე), კვირიკაშვილი, სამხარაძე (აბუსერიძე); (1-8) ხინჩაგიშვილი (მაგრაქველიძე), შველიძე (ა.გიორგაძე), ზირაქაშვილი, გორგოძე, დიდებულიძე (დათუნაშვილი), ი.მაისურაძე, ურუშაძე, ზ.მაისურაძე (უდესიანი)** - *ა, ს: კვირიკაშვილი*

# ნაგება ბრონკანის ახალგაზრდებთან

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, რომელიც საფრანგეთში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება, მეორე საკონტროლო მატჩი გამართა და ისევ დამარცხდა. ამჯერად ბორჯღალოსნების მძლეველი, საფრანგეთის პირველი დივიზიონიდან გავარდნილი "აჟენის" ახალგაზრდული გუნდი გახდა. ჩვენმა მორაგბეებმა შეხვედრა 6:17 დათმეს.

საქართველოს ნაკრებმა თამაში წინა, "ოშთან" შეხვედრისგან რადიკალურად განსხვავებული შემადგენლობით დაიწყო. თუმცა, როგორც ანგარიშიდან ნათლად ჩანს, ახალგაზრდა აჟენელების წინააღმდეგ, რომელთაც ჩვენი ნაკრების კონსულტანტი **ანრი ბრონკანი** წვრთნის, ღირებული ვერაფერი შექმნეს. მეტოქეს, რომლის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ქართველი ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილია**, ბორჯღალოსნებმა ერთი ლელოც ვერ გაუტანეს.

პირველი ნახევარი მასპინძლებმა ორი ქულით მოიგეს 5:3. მათ ლელოს საჯარიმოდან ზუსტი დარტყმით **მერაბ კვირიკაშვილმა** უპასუხა. მანვე მეორე ნახევარში 10:3-ზე არეკნით შეძლო ანგარიშის შემცირება 10:6. თუმცა ბოლო სიტყვა თამაშში მაინც ფრანგული კლუბის მორაგბეებმა თქვეს და ჩვენ გუნდს, საკმაოდ დამაფიქრებელი მარცხი აგემეს - 6:17.

მორიგ შეხვედრას ჩვენი მორაგბეები 14 აგვისტოს "აჟენის" ძირითად გუნდთან გამართავენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ფრენბურთი | მსოფლიო ტური




# გეორ-გია აგრძელებს

კრისტიანსანდში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე წარმატებით ასპარეზობს ქართული წყვილი **გეორ-გია.** ტურნირის მესამე დღეს ჩვენმა ფრენბურთელებმა ორივე შეხვედრა მოიგეს და ასპარეზობას განაგრძობენ.

დღის პირველ მატჩში გეორ-გია იტალიელებს **ამორესა** და **ბიძოტოს** დაუპირისპირდა და საკმაოდ იოლად, ორ სეტში დაამარცხა -21:15, 21:12. დიდი წინააღმდეგობა ჩვენ ფრენბურთელებს ვერც ფრანგებმა **დურიმ** და **გალიანომ** გაუწიეს. გეორ-გიამ ისევ ორ სეტში გაიმარჯვა 21:17, 21:13.

დღეს გეორ- გია მეცხრე ადგილისთვის მეოთხედფინალში ჰოლანდიელებს **რონესისა** და **დე გრუიხტერის** წინააღმდეგ ითამაშებს. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ფრენბურთელები მე-7 ადგილისთვის ნახევარფინალში ითამაშებენ . აქაც თუ მოიგებენ მაშინ მე-5 ადგილისთვის იმავე სტადიაზე იბრძოლებენ. აქ გამარჯვების შემთხვევაში კი უკვე საჩემპიონო ნახევარფინალში გაალწევენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# რუმინელებთან წააგეს

რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარაში გრძელდება ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, სადაც ორი ჩვენებური მონაწილეობდა. მეორე წრემ ერთი ქართველი შინ გააბრუნა - 15 წლის **გიორგი ხმიადაშვილი** რუმინელ **ნადინ ინდრესთან** დამარცხდა - 5:7, 1:6. მე-7 ნომრად განთესილმა **ნიკოლოზ ქურდაძემ** კი ეს წრეც წარმატებით დაძლია, მან პოლონელ **იაკუბ კოვალსკის** მოუგო - 7:5, 6:2. ქურდაძე მეოთხედფინალში დამარცხდა - მან მე-3 ნომრად განთესილ რუმინელ **ვლად ჩირლასთან** წააგო - 3:6, 3:6.

**ნ. ნ.**

NBA. ჰიუსტონ როკეტსი

# სკოლა მოდის, სკოლა!

## არგენტინა, ანუ სუპერი და მეტიც

NBA-ში სიტყვა "ახალბედა" ნელ-ნელა კარგავს თავის მნიშვნელობას. ახალბედა თავისთავად ასეთ დონეზე, პროფესიონალებში დამწყებს ნიშნავს, მაგრამ ზელიგის ბოლო დეკადის "ახალბედების" ნაკადს თუ შევავლებთ თვალს...კარგით რა, ვინ იყო ახალბედა, **ემანუელ ჯინობილი**, რომელსაც "სან ანტონიოში" გადასვლამდე ევროპაში თითქმის ყველა არსებული გუნდური თუ ინდივიდუალური ჯილდო ჰქონდა მოგებული? თუ შარშანდელი დრაფტის პირველი ნომერი **ანდრეა ბარნიანი**, ვისაც კლუბშიცა და იტალიის ნაკრებშიც საშუალოდ 24-27 წუთი და 11-14 ქულა ჰქონდა აკრეფილი? მაშინდელის არ იყოს, "კალგარი ფლეიმზმა" რუსი **სერგეი მაკაროვი** რომ აიყვანა-და ამ ბებერმა, ოლიმპიადებისა და მუნდიალების მრავალგზის ტრიუმფატორმა **მაიკ მოდანოს** (ნაღდი "რუქი") აჯობა?!

ასევეა წლეულს. ლიგა რომ თავისივე პიარ-კომპანიებში ჩაიხლართა და **გრეგ ოდენისა** და **კევინ დიურანის** ავ-კარგზე ჯორდანისებურად ლაყბობს, უფრო ფრთხილი, გამოცდილი ხალხი ყურადღების გამახვილებას ორ არაამერიკელზე გვირჩევს. ერთი "გოლდენ სტეიტის" **მარკო ბელინელია**, მეორე კი...აი, ნაღდი დებიუტანტი, კიდევ ერთი არგენტინელი, თავის ნაკრებში მანუზე არანაკლები მასშტაბისა და მნიშვნელობის მქონე **ლუის სკოლა**, რომელიც კარიერას "ჰიუსტონში" გააგრძელებს.

3 წელიწადი ეჩალიჩა "სპურსი" ლუისის გუნდს, ესპანურ ტაუს ამ ოქრო-კაცის ტრანსფერზე, მაგრამ პირენეელები უკან არ იხევდნენ და მოთმინების ფიალა ბოლოს ისეთ პრაგმატულ კაცსაც აევსო, როგორიც "სან ანტონიოს" მთავარი მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩია**. წაიყვანეს თავის სკოლა მილიონებითო და ლუისის არჩევის უფლება გრეგმა თანაშტატელ "ჰიუსტონს" გადაულოცა, საპირისპირო მიმართულებით კი **ვასილის სპანულისი** წამოვიდა.

ლუისი დღესაც გულდაწყვეტილია, რომ "სპურსმა" და ტაუმ საერთო ენა ვერ გამონახეს, რადგან ამ შემთხვევაში



ლუის სკოლა

"სან ანტონიოში" არგენტინული მაგიური სამკუთხედი სანაკრებო დონეზე რომ აზანზარებს ყველაფერს, არანაკლებ შთამბეჭდავი იქნებოდა. მანუ, ლუისი და **ფაბრიციო ობერტო** აქაც ერთად იქნებოდნენ და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ლუისი **ტიმ დანკანისა** და **ტონი პარკერის** გვერდითაც ითამაშებდა.

*"სპურსი" ჩემი ოცნების გუნდი იყო, მაგრამ სადღაც მაინც ვთვლი, რომ ამ გუნდმა ჩემთვის ბოლომდე არ იბრძოლა. ტაუს ჩემში მხოლოდ იმ თანხის მიღება სურდა, რასაც, ალბათ, ვიმსახურებდი, მაგრამ მისტერ პოპოვიჩი დალალა გაუთავებელმა ვაჭრობამ. ეს ხომ ის კაცია, ვისაც თითქმის არ ეუბნებიან სიტყვა "არას". დღეს მთელი გულით "ჰიუსტონში" ვარ და სადღაც მსურს კიდეც "სპურსის" წინააღმდეგ ჩემი საუკეთესო თამაშის ჩვენება. არავის არაფერს ვუმტკიცებ, საამისოდ უკვე დავბერდი. უბრალოდ, როგორ გითხრათ, ალბათ, მაინც მინდა დავანახო "სპურსის" ბოსებს, რომ ჩემთვის ბრძოლა ღირდა"*, - ამბობს ლუისი SLAM–თან საუბარში.

ბოლო წლების განმავლობაში სკოლა არა მარტო ტაუს, არამედ მსოფლიო კალათბურთის ყველაზე ჩუმ ვარსკვლავად იქცა. იგი რაღაცით დანკანსაც ჰგავს, ოღონდ ტიმი თუ არ ჭორაობს და საკუთარ თავს არ აქებს, ამას მის მაგივრად ჩვენი ამერიკელი კოლეგები აკეთებენ, სკოლა კი ესპანეთშიც სხვის ჩრდილშია.

ესპანურ, ევროპაში უძლიერეს ლიგაში ლუისი სამაგალითო თანაგუნდელად, ლიდერად და ყველაზე საიმედო მოთამაშედ იქცა.

27 წლის ლუისმა თავის გუნდს ევროლიგა ვერ მოაგებინა, მაგრამ ამაში ყველაზე ნაკლებად სწორედ ამ მონათხრობის მთავარი გმირია დამნაშავე. თუ ტაუ იგებდა, ლუისი საუკეთესო იყო, ხოლო თუ აგებდა...პრინციპში, სტატუს-ქვო არც ამ შემთხვევაში იცვლებოდა, რადგან სკოლა კვლავ ყველაზე გამორჩეული ფიგურა გახლდათ.

სკოლა ძალიან ნიჭიერი და ამავე დროს, მშრომელი ახალგაზრდაა. იგი არაჩვეულებრივად ხედავს მოედანს, აგრესიულია მოედნის ორივე მხარეს და საშუალო მანძილიდან თავისი სიმაღლის მოთამაშეებში ერთ-ერთ საუკეთესო სროლასაც ფლობს.

ვინ არის ლუისის მთავარი კონკურენტი "როკეტსის" სასტარტოში მოსახვედრად? **ჩაკი ჰეიესი** და თუ "ჰიუსტონის" ახალმა თავკაცმა **რიკ ადელმანმა** უპირატესობა ჰეიესს მიანიჭა, წასულა ხელიდან სპორტიცა და ადელმანიც.

ლუისი არგენტინის ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. 2004-ში მან და მანუმ არგენტინას ოლიმპიადების ისტორიაში პირველი ოქრო მოაგებინეს. ათენში არგენტინელებმა მხოლოდ 2 ოქროს მედალი აიღეს, მაგრამ როგორი - ფეხბურთსა და კალათბურთში, გზად კი დანკანის, **ალენ აივერსონის, ლებრონ ჯეიმსის, კარმელო ენტონისა** და **სტეფონ მარბერის** ამერიკა დააჩოქეს. იმ ტურნირზე სკოლა ერთ მატჩში საშუალოდ 17.6 ქულას აგროვებდა, ხოლო ფინალში, რომელიც არგენტინამ იტალიას 84:69 მოუგო, ლუისმა გუნდს 25 ქულა და 11 მოხსნა შესძინა.

არგენტინას ბოლო მუნდიალიც უნდა მოეგო, მაგრამ ნახევარფინალში ესპანეთს მეტად გაუმართლა და ლუისის გუნდიც საფინალო ჯახში ველარ გავიდა. სკოლამ ის ტურნირი საშუალო 14.3 ქულითა და 7.2 მოხსნით ჩაამთავრა.

მოკლედ, ასე, ლუისი კომერციულ, ცივ და დაუნდობელ ლიგაში მოდის, მაგრამ თუ მანუ ჯინობილიმ დესპოტი პოპოვიჩი მოარჯულა და დღეს ყველაფერზე მწვანე შუქი აქვს ანთებული, სკოლასდარ მომთმენ პიროვნებას დაკუნთული მილიონერების სამყაროში თავისი ადგილის პოვნა არ უნდა გაუჭირდეს.

ცოტაც და, სკოლა დაიწყება...

**ზურაბ თალაკვაძე**





სებასტიან ბურდე

ფორმულა 1

# ბურდე ტორო როსოში

მომავალი სეზონიდან, ფორმულა ერთის იტალიურ-ავსტრიულ საჯინიბო "ტორო როსოს" ბოლიდით ისპარეზებს ავტოსპორტის ფრანგი ვარსკვლავი, ჩემპ ქარის მსოფლიო სერიის სამგზის ჩემპიონი და ფორმულა 3000-ის ყოფილი ჩემპიონი **სებასტიან ბურდე**.

28 წლის ბურდეს ჩრდილოამერიკულ სარბოლ სერიაში ბოლო სამი სეზონია, ბადალი არ ჰყავს. თუმცა, მისი დიდი ხნის ოცნება ფორმულა ერთში ასპარეზობაა. დდი პრიზების ცირკში გამოსვლის რეალური შანსი მას ჯერ კიდევ მას შემდეგ ჰქონდა, რაც 2002 წელს ფორმულა 3000-ის ჩემპიონატი მოიგო. მაგრამ მაშინ მან ვერ შეძლო ტოპ-გუნდების დაინტერესება, რის გამოც, ბედის საძიებლად ოკეანის გაღმა გაემგზავრა. ტოპ-გუნდებში მისთვის ადგილი არც ამჯერად აღმოჩნდა, თუმცა ასაკის გამო, ბურდემ მაინც გადაწყვიტა ფორმულა ერთში გადმოსვლა.

*"ფორმულა ერთის რბოლებში მონაწილეობა ჩემი დიდი ხნის ოცნება იყო და მოხარული ვარ, რომ ბოლოსდაბოლოს, ამ ოცნების ასრულებას შევძლებ"*, - განაცხადა ბურდემ, ვინც "ტორო როსოს" ხელმძღვანელობა ტესტების სერიის დროს ნაჩვენები კარგი შედეგებით მოხიბლა.

ამგვარად, მომავალ სეზონში გუნდს აღარ ეყოლება ის ორი პილოტი, რომლებთან ერთადაც, "ტორო როსოს" სახელით 2006 წლიდან ასპარეზობს (მანამდე მას ავტოსპორტის მოყვარული "მინარდის" სახელით იცნობდა). შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, გუნდში ამერიკელი **სკოტ სპიდის** ადგილი გერმანელმა **სებასტიან ფეტელმა** დაიკავა, ბურდე კი იტალიელ **ვიტანტონიო ლიუცის** შეცვლის.

ბურდე ჩემპ კარის მეხუთე ჩემპიონია, ვინც თავის შესაძლებლობეს ფორმულა ერთშიც სცდის. პირველი ამერიკელი **მაიკლ ანდრეტი** იყო, ვინც დიდ პრიზებში ბედი 1993 წელს სცადა, მაგრამ ფიასკო განიცადა და სეზონის დასრულებამდე გაბრუნდა ამერიკაში. შემდეგი კანადელი **ჟაკ ვილნევი** იყო, რომლის დებიუტიც ფორმულაში 1996 წელს შედგა, მომდევნო ჩეზონში კი ის ჩემპიონი გახდა. ანდრეტის მსგავსად, კრახი განიცადა იტალიელმა **ალესანდრო ძანარდიმაც**, კოლუმბიელი **ხუან პაბლო მონტოია** კი გაცილებით წარმატებული იყო, თუმცა ჩემპიონის გვირგვინს ვერ შესწვდა. ახლა კი ბურდეს ჯერია...

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შტუტგარტი-შალკე | 2:2 |

შტუტგარტი: რ. შეფერი, ჰილბერტი, ტასკი, ფერნანდო მეირა, ბოკა, პარდო, ხედირა, ჰიტცლშპერგერი, და სილვა (84. ფარნერუდი), კაკაუ, მარიკა (77. ევერტონი).

შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი, **კობიაშვილი** (70. რაკიტიჩი), იოზილი (46. ჯოუნსი), ასამოა (81. ბაირამოვიჩი), ლოვენკრანდსი, კურანი.

გოლები: 0:1 **კობიაშვილი** (25), 1:1 ხედირა (63), 2:1 პარდო (67-პენ), 2:2 რაკიტიჩი (76)

მაყურებელი: 57 500

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ალემანია-კარლ ცაისი | 2:2 |
| ოსნაბრუკი-ფრაიბურგი | 2:1 |
| სტ. პაული-კიოლნი | 0:2 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ზანდჰაუზენი-აალენი | 3:0 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აიაჩო-გენგამი | 1:1 |
| დიჟონი-ამიენი | 1:0 |
| გრენობლი-რეიმსი | 2:0 |
| გენიონი-შატორუ | 3:1 |
| ლიბურნი-ჰავრი | 3:1 |
| ნიორი-სედანი | 0:1 |
| ტრუა-ანჟერი | 2:2 |
| ბულონი-მონპელიე | 2:0 |
| ნანტი-კლერმონი | 2:2 |

**ჰოლანდია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპელდორნი-დენ ბოში | 0:1 |
| კამბური-დორდრეხტი | 2:1 |
| ეინდჰოვენი II-ტელსტარი | 0:0 |
| ომნიუორლდი-ვაალვიკი | 2:2 |
| ვოლენდამი-ვეენდამი | 2:2 |
| იგლზი-ემენი | 6:0 |
| ჰაარლემი-ცვოლე | 1:1 |
| მაასტრიხტი-დენ ჰააგი | 2:1 |
| როსენდაალი-ფორტუნა | 1:0 |
| ტოპ ოსი-ჰელმონდი | 1:1 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ვესტერლო-შარლერუა | 1:0 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ავსტრია (ვ)-ტიროლი | 6:1 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| შვადორფი-კერნტენი | 2:0 |
| ლუსტენაუ-ავსტრია A (ვ) | 1:1 |
| კაპფენბერგი-პარნდორფი | 1:4 |
| შვანენშტადტი-ავსტრია (ლ) | 2:3 |
| ბად აუსე-ზალცბურგი A | 3:2 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ციურიხი-სტ. გალენი | 3:1 |

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| გოსაუ-ივერდონი | 1:1 |
| შო დე ფონი-კონკორდია | 2:3 |
| ლუგანო-კრიენსი | 1:1 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ისტანბული-ფენერბაჩე | 2:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-კორკ სიტი | 2:1 |
| დერი-ლონგფორდი | 3:1 |
| დროგედა-სტ. პატრიკსი | 2:0 |
| დუბლინი-გოლუეი | 2:2 |
| უოტერფორდი-შემროკი | 0:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| შენეცი-ტრნავა | 1:3 |

**უკრაინა**

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-ზარია | 1:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| რუხი-სოსნოვეცი | 1:0 |
| ვისლა-კორონა | 4:0 |

**ხორვატია**

| | |
|---|---|
| დინამო-სიბალია | 2:1 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-ნოვა გორიცა | 0:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| დიოშდიორი-მტკ | 2:2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ჰეერენვეენი-ესპანიოლი | 1:3 |
| ვილიარეალი-ბრაგა | 3:1 |

### ჩოგბურთი

**ATP**

**მონრეალი**

| | |
|---|---|
| ფედერერი-ჰიუიტი | 6:3, 6:4 |
| დავიდენკო-სტეპანეკი | 4:6, 5:7 |
| ჯოკოვიჩი-როდიკი | 7:6, 6:4 |

**ვიგო**

| | |
|---|---|
| ლოპესი-ალდი | 6:3, 6:0 |
| ა. მარტინი-მ. გონსალესი | 2:6, 3:6 |

**სტამბოლი**

| | |
|---|---|
| ზვერევი-მიულერი | 6:3, 6:1 |
| კუბოტი-ლაკო | 6:7, 6:7 |
| ჯოუნსი-პრპიჩი | 6:0, 4:6, 2:6 |
| შუტლერი-ლევი | 6:4, 4:6, 2:6 |

**სან მარინო**

| | |
|---|---|
| მონტანიესი-დოლგოპოლოვი | 7:6, 6:4 |
| არგელო-რამირეს-იდალგო | 6:2, 6:4 |

**WTA**

**ლოს ანჯელესი**

| | |
|---|---|
| პეტროვა-რაცანო | 6:7, 6:4, 6:1 |

## TV სპორტი

### 11 აგვისტო. შაბათი

**EUROSPORT**

09:30. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. ბრაზილია-ტაივანი (იაპონია, I ჯგუფური ეტაპი)
10:45. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. ჩინეთი-პოლონეთი (ჰონგ კონგი) (LIVE)
12:45. სნუკერი. შანხაის მასტერსი. 1/2 ფინალი
15:00. კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი. დუისბურგი (გერმანია)
16:30. სნუკერი. შანხაის მასტერი. 1/2 მასტერსი
18:00. პლაჟის ფრენბურთი. სვოტჩის ტურნირი. ქალები. ფინალი (ნორვეგია) (LIVE)
19:00. ახალი ამბები
19:30. ტრამპლინი. 4 ერის გრან პრი (გერმანია)
21:15. სნუკერი. შანხაის მასტერსი. 1/2 ფინალი
23:30. ჩოგბურთი. ჭთA. ლოს ანჯელესი. 1/2 ფინალი (LIVE)
01:15. მეომართა კლუბი

**EUROSPORT 2**

08:30. ახალი ამბები
10:30. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. აშშ – რუსეთი (მოსკოვი) (LIVE)
12:30. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. იაპონია – ჰოლანდია (იაპონია) (LIVE)
14:00. ახალი ამბები
14:15. პლაჟის ფეხბურთი. მალიორკა (ფინალი)
15:15. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. ჩინეთი – პოლონეთი (ჩინეთი) (LIVE)
16:30. პლაჟის ფეხბურთი. ქალები. 1/2 ფინალი (ნორვეგია)
17:30. ყველაზე ძლიერი კაცი (მოსკოვი)
18:00. ყველაზე ძლიერი კაცი (მოსკოვი)
18:30. ყველაზე ძლიერი კაცი (ლონდონი)
19:00. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. აშშ – რუსეთი (მოსკოვი)
19:45. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. ჩინეთი – პოლონეთი (ჩინეთი)
21:00. ახალი ამბები
21:30. ვიკინგი
22:00. ვიკინგი
22:30. კიკბოქსინგი
00:00. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. ჩინეთი – პოლონეთი (ჩინეთი)
00:15. ახალი ამბები
02:00. ახალი ამბები

**SPORT 1**

08:30. მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი. Მიმოხილვა
09:00. ახალი ამბები
09:13. ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. შტუტგარტი-შალკე 04
11:00. ფეხბურთი. ამერიკის ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-დი სი იუმაითედი
12:47. პლაჟის ფეხბურთი. Kიევი
13:50. სპორტის სამყარო
14:20. გზა პეკინისკენ
14:50. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერ ლიგა. Pრევიუ
15:45. ფეხბურთი. ინგლისი. პრემიერ ლიგა. I ტური. სანდერლენდი-ტოტენჰემი (LIVE)
17:42. სპორტული ტანვარჯიში
18:00. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ბოლტონი-ნიუკასლი (LIVE)
19:56. უკრაინის სპორტის ისტორია. 1957 წელი
20:15. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ასტონ ვილა-ლივერპული (LIVE)
21:05. შახტარი-პიუნიკი (მიმოხილვა)
22:13. პლაჟის ფეხბურთი. Kიევი
23:17. ჰოკეი. NHL ფლეი ოფი. 2006/07. ანაჰაიმი-დეტროიტი
01:01. უკრაინის სპორტის ისტორია. 1955 წელი
01:10. ფეხბურთი. ბაზილია. სნ პაულუ-ატლეტიკო (პარ)
03:10. ფეხბურთი. აერიკის ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-დი სი იუნაითედი
04:55 მსოფლიოს სპორტი
05:24. პლაჟის ფეხბურთი. კევი
06:27. გზა პეკინისკენ
06:55. უკრაინის სპორტის ისტორია. 1955 წელი

### 12 აგვისტო. კვირა

**EUROSPORT**

09:30. ახალი ამბები
10:00. კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი. დიუსბურგი (გერმანია) (LIVE)
11:00. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. მოსკოვი. რუსეთი – კუბა (მოსკოვი) (LIVE
12:30. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. იაპონია – ბრაზილია (იაპონია) (LIVE)
14:00. ტრამპლინი. 4 ერის გრან პრი (LIVE)
15:45. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. დომინიკანეთი – პოლონეთი (LIVE)
17:00. კანოე. მსოფლიო ჩემპიონატი. დიუსბურგი (გერმანია) (LIVE)
18:00. მძლეოსნობა. ვატეშაიდი (გერმანია)
20:00. სნუკერი. შანხაის მასტერსი. 1/2 ფინალი
22:00. პროფესიული კრივი (პორტუგალია)
24:00. ჩოგბურთი. ჭთA. ლოს ანჯელესი. 1/2 ფინალი (LIVE)
01:45. პლაჟის ფრენბურთი. კაცები. ნორვეგია (ფინალი)

**EUROSPORT 2**

08:15. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. დომინიკელთა რესპ. – პოლონეთი (LIVE)
10:15. სნუკერი. შანხაის მასტერსი. (LIVE)
12:30. პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. კაცები. 1/2 ფინალი (LIVE)
13:00. პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. კაცები. 1/2 ფინალი (LIVE)
14:00. უიქენდის ახალი ამბები
15:00. ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. რუსეთი – კუბა (LIVE)
15:15. გასართობი პროგრამა
16:00. პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. კაცები. 1/2 ფინალი (LIVE)
17:00. პული. ევროტური. ავსტრია
18:00. ვიკინგი
18:30. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. დომინიკელთა რესპ. – პოლონეთი
19:45. უიქენდის ახალი ამბები
20:00. ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი
21:30. ჩემპ კარი. მსოფლიო სერია (აშშ)
24:00. უიქენდის ახალი ამბები
00:15. ფრენბურთი. მსოფლიო გრან პრი. დომინიკელთა რესპ. – პოლონეთი]
01:15. ახალი ამბები
02:00. ახალი ამბები

**SPORT 1**

06:55. გზა პეკინისკენ
06:55. უკრაინის სპორტის ისტორია. 1957 წელი
07:10. ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. 2006/07. ბეტისი-ვალენსია
09:05. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. პრევიუ
10:00. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. სნდერლენდი-ტოტენჰემი
11:45. ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. პრევიუ
12:10. ფეხბურთი. გერმანიის ჩემიონატი. I ტური. ბიერნი-ჰანზა
14:00. პრემიერ ლიგის სამყარო
14:40. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. ასტონ ვილა-ლივერპული
17:25. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბირმინჰემ სიტი (LIVE)
18:20. პლაჟის ფეხბურთი. კიევი
19:30. ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. V ტურის ჩემპიონატი
19:55. ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. ტური
22:10. ფეხბურთი. შუდამერიკანას თასი. მიმოხილვა
22:40. სპორტკლუბი წარმოგიდგენთ: მძლეოსნობის ვარსკვლავები
22:55. ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ატლეტიკო (პალ)–პალმეირასი (LIVE)
00:55. ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. I ტური. მანჩესტერ იუნაიტედი - რედინგი

ტურნირების მიმოხილვა

# ნადალს გაუჭირდა

მონრეალში მიმდინარე მასტერსის სერიის ტურნირზე, მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს **როჯერ ფედერერმა** და **რაფაელ ნადალმა**. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა 45 წუთში მოუთავა ხელი იტალიელ **ფაბიო ფონინის**, ნადალს კი სამი სეტი დასჭირდა ფრანგი **პოლ-ანრი მატიეს** დასამარცხებლად.

ტურნირის დაწყებამდე, ფონინის რეიტინგში 139-ე ადგილი ეკავა და მთავარ ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპის გავლით მოხვდა. პირველ წრეში მან მცირე სენსაცია მოახდინა - ბრიტანელ ამომავალ ვარსკვლავ **ენდი მარეის** აჯობა, ვისაც კვლავ აწუხებს მაჯის ტრავმა. სამაგიეროდ, შვეიცარიელ მაესტროსთან შეხვედრაში ოდენ ორი გეიმის მოგება მოახერხა.

*"ზოგჯერ, როცა ჩოგბურთელები სწრაფად იგებენ თამაშს, ამბობენ, რომ რიტმში შესვლაც ვერ მოასწრეს. ეს მართალი არაა. როცა სწრაფად იგებ, ესე იგი, შეხვედრის დასაწყისიდანვე რიტმში შედიხარ და ისე თამაშობ, როგორც გინდა. ფაბიოს კარგი მომავალი აქვს, მაგრამ ჯერაც ბევრი უნდა ისწავლოს. ამ შეხვედრაში მისგან პრობლემა თითქმის არ შემქმნია. ისე, რა შედარებაა, მაგრამ ამაზე უარესად არც კარლოვიჩთან მითამაშია"*, - განაცხადა ფედერერმა, ვისაც მეოთხედფინალში მეტოქეობას გაუწევს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ავსტრალიელი **ლეიტონ ჰიუიტი**.

მესამე წრეში ჰიუიტს სამი სეტი დასჭირდა სლოვაკი **დომინიკ ჰრბატის** დასამარცხებლად. მან პირველი სეტი დათმო და მეორეს ტაიბრეიკზეც ორი მატჩ პოინტის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ორივე მოიგერია, ტაიბრეიკი მოიგო და შემდეგ გადამწყვეტ სეტშიც მიაღწია გამარჯვებას.

ძნელი გამოცდა ჩააბარა ნადალმაც. მისი და მატიეს შეხვედრის პირველი სეტი იმაზე მეტ ხანს გაგრძელდა, ვიდრე ფედერერს თამაშის მოსაგებად ეყო. თავიდან ფრანგი გაშმაგებით უტევდა თავის ტიტულოვან მეტოქეს და მერვე გეიმში მიზანსაც მიაღწია - ბრეიკი მოიპოვა, რაც საკმარისი გამოდგა სეტის მოსაგებადაც.

მეორე სეტშიც ნადალს თავიდან ძალიან გაუჭირდა. თავის პირველ სამ სერვის-გეიმში მან ექვსი ბრეიკ პოინტი მოიგერია. სამაგიეროდ, მეექვსე გეიმში, თავად შეძლო მეტოქის მოწოდებაზე ქულის აღება და ეს უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა.

საინტერესო გამოდგა მესამე სეტიც, რომლის დასაწყისშიც, მეტოქეებმა თითო ბრეიკი გაცვალეს. შემდეგ კი, მეხუთე გეიმში ნადალმა კიდევ ერთხელ მოიგო მეტოქის სერვისი და ეს უპირატესობა ორი გეიმის შემდეგ, კიდევ ერთი ბრეიკით გაამყარა. გამარჯვება კი საკუთარ მოწოდებაზე მოიპოვა.

*"მატიე შესანიშნავი ჩოგბურთელია. დღეს ის მეტად თავდაჯერებულად თამაშობდა. მე კი პირველი სეტის ბოლოსა და მეორეს დასაწყისში თამაში არ გამომდიოდა. განსაკუთრებით კი ფორჰენდით ვარ უკმაყოფილო. მერე, ერთ მომენტში, ძალიან კარგი გამჭოლი დარტყმა შევასრულე, რის შემდეგაც თამაშიც გამოვასწორე. თუმცა, ბოლომდე კმაყოფილი არც მერე ვყოფილვარ"*, - განაცხადა ნადალმა, ვისაც მეოთხედფინალში კანადელი **ფრენკ დანცევიჩი** დაუპირისპირდება, რომელმაც სამ სეტში შეძლო ესპანელი **ფერნანდო ვერდასკოს** დამარცხება.

მეოთხედფინალშივე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ამ სეზონის აღმოჩენა, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ჯერჯერობით, შესანიშნავად მოთამაშე, ამერიკელი **ენდი როდიკი**. პირველმა იოლად მოუგო ჰარდის არგენტინელ სპეციალისტ **დავიდ ნალბანდიანს**, მეორეს კი ასევე არ გასჭირვებია კვიპროსელი **მარკოს ბაღდატისის** დამარცხება. სხვათა შორის, როდიკმა რამდენჯერმე თავგანწირული თამაშით მეტოქისგანაც დაიმსახურა ტაში.

ლოს ანჯელესში მიმდინარე ქალთა მეორე კატეგორიის ტურნირის მესამე წრეში, ძნელი გამარჯვება მოიპოვა ტურნირის პირველმა ნომერმა, რუსმა **მარია შარაპოვამ**, ვისაც სამი სეტი და თითქმის სამი საათი დასჭირდა ჰოლანდიელი **მიხაელა კრაიჩეკის** დასამარცხებლად.

შეხვედრის განმავლობაში, შარაპოვამ თავისი მოწოდება ცხრაჯერ წააგო. სამაგიეროდ, მეტოქის მოწოდებაზე ათი გეიმი მოიგო. პირველ ორ სეტში გამარჯვებული ტაიბრეიკზე გამოვლინდა. გადამწყვეტ სეტში, პირველმა ბრეიკი უიმბლდონის მეოთხედფინალისტმა კრაიჩეკმა მოიპოვა და 4:3 დაწინაურდა. მაგრამ რუსმა იქვე ბრეიკით უპასუხა. მეცხრე გეიმში კრაიჩეკს კიდევ ორი ბრეიკ პოინტი ჰქონდა, მაგრამ ამჯერად შარაპოვამ მათი გამოყენების საშუალება არ მისცა. მეათე გეიმში კი შარაპოვამ გამარჯვებას მესამე მატჩ პოინტზე, მას შემდეგ მიაღწია, რაც მოწოდებაზე ბექჰენდით შესრულებული დიაგონალური დაბრუნებით უპასუხა, რაზეც მომწოდებელმა ვერაფრით უპასუხა.

შარაპოვას მეოთხედფინალში ტურნირის მოქმედი ჩემპიონი, მისივე თანამემამულე **ელენა დემენტიევა** დაუპირისპირდება, ვისთანაც შარშან აქვე, ნახევარფინალში წააგო. დემენტიევამ თავისი მეტოქის, სლოვაკი **დანიელა ჰანტუხოვას** ავადმყოფობით ისარგებლა. ჰანტუხოვას თამაშამდეც რესპირატორული პრობლემები ჰქონდა, მაგრამ პირველი სეტი მაინც ჩაამთავრა, მაგრამ მეორე შუა გზაზე შეწყვიტა.

ჰანტუხოვა მესამე ჩოგბურთელია, ვინც ტურნირის მსვლელობისას გაცივდა. ანალოგიური ავადმყოფობა შეეყარათ სერბ **ელენა იანკოვიჩსა** და ბერძენ **ელენი დანიილიდუს**. ამათგან კი მხოლოდ იანკოვიჩი აგრძელებს ტურნირს, ვინც მესამე წრეში მხოლოდ სამი გეიმი მოაგებინა ავსტრიელ **სიბილ ბამერს**.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



დანცევიჩი შემდეგ ცეკვას ნადალთან შეასრულებს

**ATP**

**როჯერს კაპი**

მონრეალი (კანადა). მასტერსის სერია. ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 2 450 000 დოლარი**

**მესამე წრე**

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:1, 6:1; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-პოლ-ანრი-მატიე (საფ) 3:6, 6:3, 6:2; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ) 6:2, 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 14), 7:6(8), 6:3; **ენდი როდიკი (აშშ, 5)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ) 6:2, 6:3; **რადეკ სტეპანეკი (ჩეხ)**-ტომი ჰაასი (გემ, 12) 6:3, 2:6, 6:2; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა)**-ჰრბატი (სლვკ) 6:7(10), 7:6(6), 7:5; **ფრენკ დანცევიჩი (კან)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 4:6, 6:4, 6:3

**WTA**

**ისტ ვესტ ბენკ კლასიკი**

ლოს ანჯელესი (აშშ). მეორე კატეგორია. ჰარდი

**საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი**

**მესამე წრე**

**მარია შარაპოვა (რუს, 1)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 7:6(4), 6:7(3), 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერბ, 2)**-სიბილ ბამერი (ავსტ, 13) 6:2, 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 3)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 16) 6:2, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 4)**-კატარინა სრებოტინკი (სლო, 15) 6:1, 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 9)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 5) 6:3, 4:1 ჰანტუხოვას ტრავმა; **ვირჟინი რასანო (საფ)**-სანია მირზა (ინდ) 6:1, 7:6(6); **ვიქტორია აზარენკა (ბელა)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:1, 6:2; **მარია კირილენკო (რუს)**-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 6:4



ტურის შემდეგ

# კონტადორი ბრალდებას უარყოფს

ტურ დე ფრანსის ახალმა ჩემპიონმა, ესპანელმა **ალბერტო კონტადორმა** მადრიდში სპეციალური პრესკონფერენცია მოაწყო, რომელზეც განაცხადა, რომ არასოდეს გამოუყენებია დოპინგი. ეს იყო მისი გამოხმაურება იმ უამრავი ბრალდების გამო, რომლებიც მთელი მსოფლიოს პრესაში იწერება მას შემდეგ, რაც კონტადორი ტურის ჩემპიონი გახდა.

*"აკრძალული პრეპარატები არასოდეს გამომიყენებია. ტური ყოველგვარი სტიმულატორის გარეშე მოვიგე და გული მწყდება, როცა მესმის, რომ ვიღაცას ჩემი გამარჯვების სამართლიანობაში ეჭვი ეპარება. ტურ დე ფრანსის მოგება ნებისმიერი ველომრბოლისთვის საოცნებო საქმეა და ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელი. მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი, თუ ამ გამარჯვების შემდეგ, ჩემი მისამართით ამდენ სიყალბეს მოვისმენდი. ჩემი თხოვნა იქნება, გჯეროდეთ ველოსპორტისა და მისი ჩემპიონების, რადგან სხვანაირად, ამ სპორტს მომავალი არ ექნება"*, - განაცხადა კონტადორმა, ვისთან ერთადაც, პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ესპანეთის სპორტის მინისტრი **ხაიმე ლისავეცკი**, ამერიკულ გუნდ "დისქავერი ჩენელის" ბელგიელი შეფი **იოჰან ბრუინეელი** და კონტადორის ოჯახის წევრები.

კონტადორმა განაცხადა, რომ ეს პრესკონფერენცია მის მიერ გადადგმული იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან იმ ხალხმა, ვინც მას არ იცნობს, მისი რეპუტაციის სიწმინდეში შეიტანეს ეჭვი და თავიანთი ეჭვები მკითხველს გააცნეს.

შეგახსენებთ, რომ შარშან კონტადორის სახელი დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოში იყო მოხსენიებული, მაგრამ მოგვიანებით, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა 24 წლის ესპანელ ველომრბოლს ყოველგვარი ბრალდება მოუხსნა. ეს ამბავი ტურზე მის გამარჯვებამდე ბევრს არავის ახსოვდა. მაგრამ როგორც კი კონტადორმა ფრანგული ველომარათონი მოიგო, მაშინვე შარშანდელ ამბავს სკანდალის სუნი აუვიდა. შედეგად, კონტადორი არ დაუშვეს ჰამბურგის კლასიკურ რბოლაზე.

*"ტური ყოველგვარი სტიმულატორის გარეშე მოვიგე და კიდევ ბევრი რბოლის მოგებას ვაპირებ. მინდა, ველოსპორტი სპორტის პოპულარული სახეობა იყოს და მის პოპულარობაში მეც შევიტანო წვლილი. მაგრამ ამგვარი სკანდალებით მიზანს ვერ მივაღწევთ. ახლა ჩემი მთავარი მიზანი, სპორტსმენის რეპუტაციის სუფთა შენარჩუნებაა და თანახმა ვარ, დოპინგთან მებრძოლ ორგანიზაციებთან ყოველთვის ვითანამშრომლო, რათა ყოველთვის გავიარო შემოწმება და ამით ნებისმიერი ეჭვი გავფანტო. თუ ვინმეს ჩემს სიმართლეში ეჭვი ეპარება, თანახმა ვარ, დნმ-ის ტესტიც გავიარო, რათა ამით საბოლოოდ დავუსვა წერტილი ჩემს წინააღმდეგ წამოწყებულ უსაფუძვლო კამპანიას. და თუ ამ სიბინძურეს წერტილი არ დაესმება, მაშინ გპირდებით, რომ ცილისმწამებლებს სასამართლოში მოუწევთ პასუხისგება"*, - ამბობს კონტადორი, ვინც ორი წლის წინათ თავის ტვინზე უმძიმესი ოპერაცია (თავის ქალის ტრეპანაცია) გადაიტანა და მაშინ ექიმები მას ინვალიდობას უწინასწარმეტყველებდნენ.

ცნობისთვის, ოპერაციამდე კონტადორს თავის ტვინის სისხლით მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა. ოპერაციის დროს კი მას თავის ქალა ყურიდან ყურამდე გადაუხსნეს, რისი კვალიც ახლაც ეტყობა.

■ ■ ■

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ფუნქციონირებას წყვეტს კონტადორის გუნდი "ტაილუინდ სპორტსი", რომლის გენერალური სპონსორიც ტელეარხი "დისქავერი ჩენელი" იყო. ტელეკომპანია ამ სეზონის ბოლოს წყვეტს სპონსორობას, გუნდის ხელმძღვანელობამ კი ვერ შეძლო ახალი სპონსორის მოძებნა, რის გამოც, თავისი არსებობის დასრულების შესახებ გამოაცხადა.

აღსანიშნავია, რომ "ტაილუინდის" ერთ-ერთი მფლობელია ტურის შვიდგზის ჩემპიონი, ამერიკელი **ლენს არმსტრონგი**. მან პირობა დადო, რომ ადრე თუ გვიან, გუნდს აღადგენს. თუმცა, როდის მოხდება ეს, ამის თქმა თავადაც უჭირს. ველოსპორტში თავის მოღვაწეობას წყვეტს ბრუინეელიც, ვინც არმსტრონგის გამარჯვებათა თანამონაწილე იყო. ამავე დროს, ჯერჯერობით, გუნდის გარეშეა დარჩენილი "დისქავერი ჩენელის" 27-ვე წევრი, მათ შორის, ტურის ჩემპიონი კონტადორი, მესამეადგილოსანი ამერიკელი **ლევი ლაიპჰაიმერი** და უკრაინელი **იაროსლავ პოპოვიჩი**.

სამაგიეროდ, არსებობას აგრძელებს გერმანული "ტე-მობილი", რომლის სპონსორობაც კიდევ სამი სეზონით იკისრა გერმანულმა საკომუნიკაციო გიგანტმა "დოიჩე ტელეკომმა". ბევრი მიმომხილველი დარწმუნებული იყო, რომ "ტე-მობილიც" დაიშლებოდა, მაგრამ გერმანული კომპანიის ხელმძღვანელობამ ეს არ ისურვა.

გვინდა, ველოსპორტში მოღვაწეობა გავაგრძელოთ და მისი იმიჯის გამოსწორებაში წვლილი შევიტანოთო, - აცხადებს "დოიჩე ტელეკომის" დირექტორთა საბჭოს წევრი **ჰამიდ ახავანი**.

ამის დასტურად, გუნდმა შექმნა სპეციალური ფონდი, რომლის მთავარი მიზანი დოპინგთან ბრძოლაა. ფონდის კაპიტალი მილიონი ევროა. ამ ფონდთან თანამშრომლობა კი გუნდის ყველა მრბოლისთვის სავალდებულოა. კერძოდ, ისინი ვალდებულები იქნებიან, თავიანთი ხელფასიდან ფონდში გარკვეული თანხა გადარიცხონ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




ალბერტო კონტადორი

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ ბოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა